პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგის 13—38.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 31 ივლისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 175 (2218)

დღიური

— ანტი - მილიტარისტული მიტინგი ვარშავაში. — პოლიციის თავდასხმა მიტინგის მონაწილეებზე.
— ფინეთის კომუნისტების პროცესი. — გამოირკვა, რომ პოლიცია აწამებდა პოლიტპატიმრებს.
— ბელა კუნის განთავისუფლება.
— რუანის (საფრანგეთი) მეზღვაურებმა გადასწყვიტეს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ.
— ეგვიპტელ ნაციონალისტების ბრძოლა ანგლოფილური მთავრობის წინააღმდეგ.
— სამხრეთ-სლავიაში შესდგა ახალი მთავრობა.

სოფლად მუშაობის გასაძლიერებლად

კორესპონდენცია სოფ. ქვემორეხში (გორის მაზ.) არსებულ მდგომარეობის შესახებ. (იხ. დღევანდელი „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი“) ჩვენს წინაშე აყენებს მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს სოფლად მუშაობის დარგიდან. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ კორესპონდენციაში მოყვანილ ფაქტებზე საგანგებოდ შეჩერება.

ჩვენ ეხლა ვატარებთ პურის დამზადების კამპანიას. ამასთან დაკავშირებით, როგორც ხსენებულ კორესპონდენციიდან ვტყობილობთ, სოფლად ვრცელდება პროვოკაციული ხმები, თითქო ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდეს გლეხობას ძალით ჩამოართვას პური. ამ პროვოკაციის ანკესზე ეგებიან სოფლის უფრო შეუგნებელი ფენები.

ეჭვს გარეშეა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების ბოროტი მტრების ბნელ მუშაობასთან. ისინი მოწადინებული არიან ჩაშალონ ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია, რომლის წარმატებაზე საგრძნობლადაა დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი სამეურნეო განვითარება; ისინი ცდილობენ პურის დამზადება გამოიყენონ უკმაყოფილების გამოსაწვევად გლეხობაში და მშრომელთა ძალა - უფლების შესასუსტებლად.

მაგრამ ამავე დროს უდავოა, რომ ასეთ პროვოკაციის გავრცელებას ხშირად ხელს უწყობენ ზოგიერთი მუშაკები, რომელნიც არღვევენ პარტიის სათანადო დირექტივას პურის დამზადების საქმეში არაჩვეულებრივ, უხეშ-ადმინისტრატიულ ზომების გადაჭრით უარყოფის შესახებ.

აქედან—უსასტიკესი ბრძოლა პროვოკატორების და მათი უნებლიე მოკავშირეების—პარტიის ხაზის დამამახინჯებელთა წინააღმდეგ—ასეთია ჩვენი ერთი მთავარი ამოცანათაგანი. პურის დამზადების წარმატება აუცილებლად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, მაგრამ იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ ეს ზიანს არ მოაყენებს მუშათა კლასს და გლეხობის კავშირს და ხსენებული პარტიული დირექტივა მტკიცედ იქნება გატარებული. ადგილობრივმა პარტ - ორგანიზაციებმა ამას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და პურის დამზადების საქმეს გაუწიონ სისტემატიური ხელმძღვანელობა.

კორესპონდენცია ქვემორეხიდან საგულისხმოა სხვა მხრივაც. ის ერთგვარ სურათს იძლევა იმ კლასობრივ ბრძოლისას, რომელიც სოფლად წარმოებს. ხაზგასასმელი აქ ის არის, რომ ღარიბი გლეხობა არ ყოფილა შეკავშირებულ დარაზმულ - კულაკობის წინააღმდეგ და უკანასკნელი კიდევ ახერხებს მის ექსპლოატაციას, თურმე მოიპოვებიან მევახშეები, რომელნიც დაუსჯელად საარაკო პროცენტებს იღებენ ღარიბებზე გაცემულ სესხში. ამასთან საბჭო, რომელიც ღარიბ გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს, თურმე არავითარ ზომებს არ ღებულობს ამ თავის მოვალეობის აღსასრულებლად და კულაკების აღვირახსნილობის ასალაგმავად. კიდევ მეტი: საბჭოში გამძვრალან ზოგიერთი კულაკებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ღარიბთა კრებებზე და ჯგუფებზე აქ წარმოდგენა არა აქვთ. როგორც სჩანს, არ წარმოებს არავითარი მუშაობა მათი პოლიტიკურ - საზოგადოებრივ აქტივობის განსავითარებლად. მაშინ როცა პირობები ისეთია (ღარიბთა მტრობა და სიძულვილი კულაკებისადმი და სხვ., როგორც კორესპონდენცია გვამცნევს), რომ ღარიბთა ორგანიზაციისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობს.

როცა ვლაპარაკობთ ღარიბ გლეხობის შეკავშირებაზე, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით კოოპერაციის უდიდეს როლს ამ საქმეში. მაგრამ პირდაპირ დაუჯერებელ რამეს გვაუწყებს კორესპონდენცია. ღარიბ გლეხებს კოოპერატივიდან საქონელს არ აძლევენ, იმ მიზეზით, რომ ისინი კოოპერატივის წევრები არ არიან. არ არიან კი იმიტომ, რომ არ აქვთ საშუალება საწევრო გადასახადი შეიტანონ. ღარიბთა კოოპერატიულ შეკავშირების ფონდზე, მათ უფასოდ მიღებაზე კოოპერაციაში აქ არაფერი იციან.

საჭიროა ს. ქვემორეხში შექმნილ მდგომარეობის სასწრაფოდ გამორკვევა და გადაჭრილი ზომების მიღება იმ აღმაშფოთებელ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

ამავე დროს კორესპონდენცია ერთხელ კიდევ სვამს საკითხს საერთოდ სოფლად მუშაობის, კერძოთ ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ. პარტიის პოლიტიკა ამ დარგში ყველასათვის ცნობილი და გარკვეული უნდა იყოს: მეტი ყურადღება,- მეტი ენერგია ამ პოლიტიკის გატარების საქმეში—აი, რისკენ მოუწოდებთ ჩვენ ადგილობრივ პარტიულ და სხვა სათანადო ორგანიზაციებს. ჩვენ ყოველ მიზეზ გარეშე უნდა აღმოვფხვრათ ქვემორეხის მაგალითების მსგავს რამის არსებობის შესაძლებლობა სოფლად.

დ ი ა დ ი   გ ზ ა

მეოთხედი საუკუნის წინად მტკიცე ისტორიულ გზას დაადგა ბოლშევიზმი. რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა ჩვენს პარტიას; ამავე ყრილობაზე რევოლიუციონურ ბრძოლას საფუძვლად დაედო ბოლშევიკური პროგრამა, შემუშავდა ჩვენი ძირითადი სტრატეგიული და ტაქტიკური ხაზი და ჩამოყალიბდენ ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპები. მეორე ყრილობიდან იწყება ის დიადი რევოლიუციონური გზა, რომელსაც ახასიათებენ უდიდესი მნიშვნელობის ამბები, სახელოვანი გმირული კლასობრივი ბრძოლები და უძლიერესი და უმძაფრესი ბრძოლა ბოლშევიკური იდეების გამარჯვებისათვის. ამ გზას განაგრძობს დღეს ჩვენი პარტია და აშენებს სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო პროლეტარული აჯანყების მომწყობ ცენტრს და კერას.

ჩვენი პარტია ჩაისახა თვითმპყრობელური რუსეთის მუშათა უბნებში. მისი აკვანი იყო მუშათა მოძრაობის აზვირთებული ტალღა, რომელმაც გადალახა თვითმპყრობელობის ყოველგვარი დაბრკოლება. მისი ძიძები იყვენ ნიკოლოზის ფარაონები და ოპრიჩნიკები. იმ „სათამაშოებს“, რომლებითაც მას უხვად აჯილდოვებდა ძველი საზიზღარი წყობილება, წარმოადგენდენ ყაზახის მათრახები, ჟანდარმის ბორკილები, საპყრობილეს საკანი, გადასახლება, კატორღა და ხშირად მუხანათური ტყვიები. სხვადასხვა ქალაქებში დაფანტული და დაქსაქსული მუშათა პატარა პროპაგანდისტული წრეები შეერთდენ ერთ მთლიან ფოლადისებურ ცენტრალისტურ და დისციპლინით აღჭურვილ ბოლშევიკურ პარტიაში, რომელმაც შემდეგ წაუშლელი სახელი მოიხვეჭა.

ცარიზმის ცეცხლითა და მახვილით დევნილ პარტიას მეტად მძიმე პირობებში იჩენდა იშვიათ რევოლიუციონურ სიმტკიცეს და უდიდესი დახელოვნებით აწარმოებდა თავის მუშაობას. მართლაც მეტად მძიმე ისტორიულ პირობებში მას არა ერთხელ დაუგვირგვინებია წარმატებით ბრძოლა. ბოლშევიკურ პარტიას ებრძოდნენ ბატონყმური დესპოტია, „ლიბერალური“ და კონტრ - რევოლიუციონური ბურჟუაზია, სხვადასხვა სახისა და ჯურის ოპორტუნისტები, ლიკვიდატორები და მენშევიკები, მაგრამ იგი მაინც აკეთებდა თავის საქმეს. მას არასოდეს მტრის გააფთრებული ბრძოლის დროსაც კი, არ დაუკარგავს თავისი გარკვეული და მკაცრი რევოლიუციონური სახე, იგი მუდამ პროლეტარიატის ერთგული მებრძოლი პარტია იყო. ჩვენი მუშათა კლასის სისხლი და ხორცი. იგი ყოველთვის მასთან იყო. ყოველთვის მეთაურობდა მას. იგი ყოველთვის იზიდავდა იმას, რაც მუშათა კლასში საუკეთესო იყო, იგი ყოველთვის ზრდიდა მას, როგორც რევოლიუციის უშიშარ ბელადსა და ჰეგემონს. და ამ განუწყვეტელ, გააფთრებულ ბრძოლაში იბრძმედებოდა და იღესებოდა ჩვენი ბოლშევიკური იარაღი.

თავის 25 წლის სახელოვანი არსებობის განმავლობაში პარტიამ მართლაც გიგანტიური ბრძოლის გამოცდილება დააგროვა. პროლეტარიატის ამოძრავება ოთხმოცდაათიან წლებიდან, 1905 წლის რევოლიუციის— ამ ოქტომბრის „გენარალური რეპეტიციის“—ტალღების აზვირთება აღვირახსნილ რეაქციისა და ბნელეთის მოციქულების პარპაშის ხანა, ლენინის სახელოვანი დღეები, მსოფლიო იმპერიალისტური ხოცვა - ჟლეტისა, და შოვინისტური ციებ - ცხელების საშინელი წლები, თებერვალი, ივლისი, შემდეგ ოქტომბრის ქექა - ქუხილი და გრიგალი, სამოქალაქო ომი, სოციალიზმის მშენებლობა—მთელი ეს ვეებერთელა გზა ჩვენმა პარტიამ განვლო ღირსეულად ბოლშევიკური დროშით ხელში.

საუკეთესო და თავგანწირული ამხანაგები, საუკეთესო მებრძოლი პროლეტარები დაიღუპნენ ეკლიან გზაზე, მათი ჯანმრთელობა და სიცოცხლე შესწირეს თავიანთ პარტიას. მათი პარტიის ერთგული და უანგარო შვილების ხსოვნის წინაშე, რომლებიც მუშათა კლასის საქმისათვის დაიღუპნენ, ხრის დღეს ძლევის დროშებს ჩვენი საკავშირო კომუნისტური პარტია, საერთაშორისო პროლეტარული არმიის უერთგულესი და უძლეველი რევოლიუციონური რაზმი, რომელიც უზარმაზარ სახელმწიფოს განაგებს.

დიდია ჩვენი პარტიის ძალა და მისი უანგარო თავდადება იმ კლასისათვის, რომელსაც იგი მეთაურობს. მისი ძალა გამოიხატება ფოლადისებურ მთლიანობაში ლენინის მოძღვრების საფუძველზე, რევოლიუციონურ მოქნილობაში, რკინისებურ შემჭიდროებაში და შეურყეველ პროლეტარულ დისციპლინაში. აი რატომ „გაბედა“ მან და გადასდგა ისეთი ისტორიული ნაბიჯი, როგორიც კალიბრიობის არც ერთ კოლმუზს არ დასიზმრებია.

ჩვენი პარტიის ბრძოლისა და მუშაობის მეოთხედი საუკუნე საუცხოვო გაკვეთილს აძლევს ყველა პროლეტარულ რევოლიუციონურ პარტიას, კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციას. მეორე ყრილობის მნიშვნელობა, მთელი ჩვენი 25 წლის არსებობის მნიშვნელობა დიდად სცილდება „რუსეთის“, საბჭოთა კავშირის ფარგლებს. ჩვენი პარტიის გზა— ამ სიტყვის ღრმესი მნიშვნელობით—ინტერნაციონალური. კომინტერნის ყოველი რაზმი ბევრ რაიმეს ისწავლის და უნდა ისწავლოს კიდეც ჩვენი პარტიის გამოცდილებაზე.

მეორე ყრილობიდან მე - 15 ყრილობამდე დიდი პროლეტარული „წინასწარმეტყველის“ ლენინის ხელმძღვანელობით და მას შემდეგ კოლექტიური ლენინური ხელმძღვანელობით მტკიცე და იმედიანი ნაბიჯით მიდის წინ ახალ ბრძოლებისა და გამარჯვებისაკენ ჩვენი პარტია, რომელიც ცოცხალი ძაფებითაა დაკავშირებული დაუვიწყარ მეორე ყრილობასთან. და პროლეტარიატის ყველა მტრისათვის—ფაშისტური დიქტატორებისა, იმპერიალისტური მოძალადეებისა და საზიზღარი იუდებისათვის მე - 2 ინტერნაციონალის ყვითელ ორდენიდან—არ მოიპოვება უფრო მრისხანე ძალა, ვიდრე ჩვენი ბოლშევიკური საკავშირო კომპარტია და ბოლშევიკური კომუნისტური ინტერნაციონალია.

დიახ, ისტორია თავის საქმეს აკეთებს. ძველ ლენინურ „ისკრა“-დან დაიწყო ოქტომბრის ცეცხლი და ეს რევოლიუციონური ცეცხლი უსათუოდ მსოფლიო კომუნისტური რევოლიუციის ხანძრად გადაიქცევა.

„პრავდა“ 29 თებერვალი.

ინგლისი და იაპონია აღშფოთებულია ჩინეთ-ამერიკის შეთანხმებით

ჩინეთ-იაპონიის ჯარების შეტაკება შანდუნში.-ბრძოლა ჩჟილის პროვინციაში

მუშათა დიდი დემონსტრაციები საფრანგეთში.-ლიმჟის მუშების თავდასხმა ციხეზე

ჩინეთ-ამერიკის შეთანხმების შემდეგ

გამოძახილი კელოგის ნოტაზე

შანხაი, 29 ივლისი. პრესაში და საზოგადოებაში დიდი გამოძახილი ჰპოვა კელოგის ნოტამ. ჩინელთა და უცხოელთა გაზეთები ნოტის შესახებ მოწინავე წერილებს ათავსებს. ყველა წერილში სჩანს ორი მომენტი: ჩინურ გაზეთებში—კმაყოფილება და ზეიმი, ხოლო ინგლისურ პრესაში—სიბრაზე და ნოტის მნიშვნელობის შემცირების მიერ გამოწვეული შთაბეჭდილების შესუსტების ცდა.

გომინდანის ცეკას ორგანო (შანხაიში) ანალიზს უკეთებს ნოტას და სწერს, რომ ნოტაში აღნიშნულია მხოლოდ საკითხი ტარიფების გადათვალიერების შესახებ და არაფერია ნათქვამ საკითხებზე ექსტერიტორიალობის, ამერიკის ჯარების ჩინეთში ყოფნის და ჩინეთის წყლებში მყოფ სამხედრო გემების შესახებ, რადგან, როგორც სჩანს, ამ საკითხების განხილვას შესაძლოდ, სთვლიან მხოლოდ სატარიფო ავტონომიის საკითხის გადაჭრის შემდეგ. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ნოტაში ორ ადგილას არის ლაპარაკი ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის და სხვა მოქალაქეებთან თანასწორ დამოკიდებულების შესახებ. გაზეთების აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ სანამ სხვა ქვეყნები სარგებლობენ ექსტერიტორიალობის უფლებით და სხვა პრივილეგიებით, შეერთებული შტატების რესპუბლიკაც არ იტყვის უარს ამაზე. ამავე დროს გაზეთი თავს ინუგეშებს, რომ ასეთი ინტერპრეტაცია„ არ ეთანხმება ნოტის ძირითად ტონს, რომელიც ურთიერთ პატივისცემას და თანასწორ უფლებებს ეყრდნობაო“.

ტაჩუნის საგენტო (ფინ-იუ-სიანის არმიის ბეჭდვითი სიტყვ. ბიურო) იუწყება, თითქოს ინგლისის მთავრობა კელოგის ნოტის ზეგავლენით ემზადება მოლაპარაკების დასაწყებად ნანკინის ინციდენტის მოწესრიგების შესახებ, სანამ განხილულ იქნება ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულებების გადათვალიერების საკითხი.

მადლობა კელოგს

შანხაი, 29 ივლისი. შანხაის ჩინურმა სავაჭრო პალატამ კელოგს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მადლობას უცხადებს მისი ნოტისათვის. (ადს).

ელჩები განცვიფრებული არიან

შანხაი, 29 ივლისი. ინგლისური ორგანოს „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზ“-ის კორესპონდენტის ცნობით, ზოგიერთი ელჩის აზრით ხელშეკრულების დადება ნიშნავს ნანკინის მთავრობის ცნობას იმაზე ადრე, ვიდრე ნანკინის მთავრობა მოგვცემდეს დამამტკიცებელ საბუთს, რომ ის შესძლებს იმ პირობების შესრულებას, რომლებიც დაკავშირებულია ჩინეთის საბაჟო ავტონომიის ცნობასთან. ელჩები მით უმეტეს განცვიფრებულნი არიან იმით, რომ 1926 წლის გაზაფხულზე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ არ მიიღებენ არავითარ ზომებს ამ პირობების შესრულებამდე. (ადს).

იაპონიის ოფიციოზი ნერვიულობს

პეკინი, 29 ივლის. იაპონის მისიის ოფიციოზი პეკინში „ნორტ ჩაინა სტანდარტ“ სასტიკად აკრიტიკებს ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულებას. გაზეთის აზრით, ხელშეკრულება გამოიწვევს შეერთებული შტატების და სხვა სახელმწიფოთა მთლიანი ფრონტის რღვევას. გაზეთი სწერს, რომ ხელშეკრულების მიზანია დაბრკოლების შექმნა იაპონიისათვის. (ადს).

გერმანიის მისია ნანკინში გადავა

შანხაი, 29 ივლისი. ამ დღეებში შანხაიში ჩამოვა გერმანიის ელჩი ჩინეთში. ჩინეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეში ფიქრობენ, რომ გერმანიის მისია ნანკინში გადავა. (ადს).

„ხელი შორს ჩინეთისაგან“

ბერლინი, 29 ივლისი. ბერლინში გამართა დიდი მიტინგი, რომელიც მოიწვია „ხელი შორს ჩინეთისაგან“ საზოგადოების საერთო გერმანიის კომიტეტმა. (ადს).

შეტაკებები ჩაგილიში

პეკინი, 29 ივლისი. „ნორტ ჩაინა სტანდარტ“-ის ცნობით, სამხრეთელთა არმიისა და ანგოცზიუნის (დამშვიდების არმია) ნაწილებს შორის მოხდა რამდენიმე შეტაკება. ბრძოლა გაიმართა სანგოს (60 კილომეტრის მანძილზე პეკინიდან) მახლობლად. პეკინში ჩამოიყვანეს 800 მდე დაჭრილი. პეკინის პოლიტიკურ მოღვაწეთა უმრავლესობა ამ ცნობას გადაჭარბებულად სთვლის. (ადს).

შეტაკება იაპონელებსა და ჩინელებს შორის

პეკინი, 29 ივლისი. ტაჩუნის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, შანდუნის პროვინციაში ქალაქ ჩჟოუცზუნის მახლობლად (100 კილომეტრის მანძილზე ცზინანის აღმოსავლეთით, ცზინან-ცინდაოს რკ. გზის ხაზზე) მოხდა შეტაკება იაპონიის ჯარსა და ჩინელთა რაზმებს შორის, რომლებშიაც ირიცხება 2.000 ჯარისკაცამდე. იაპონიის ჯარის ნაწილები უტევენ ჩინელ ჯარის კაცებს. რაიონში მდგომარეობა უდიდესად სერიოზულია. იაპონიის საგენტოს ტოხოს სიტყვით, ჩინელები ცდილობენ ზიანი მიაყენონ იაპონიის გარნიზონებს, რომლებიც დაბანაკებულნი არიან რკ. გზის ხაზის გასწვრივ. (ადს).

მუკდენი და ნანკინი

პეკინი, 29 ივლისი. იუწყებიან, რომ ჩჟან-სუე-ლიანმა ენ-სი-შანს და ჩან-კაიშის აცნობა, რომ სხვადასხვა ობიექტიური გარემოების გამო მუკდენის ხელისუფლებას არ შეუძლია აღმართოს მანჯურიაში გომინდანის დროშა. „მიუხედავად ამისა,—აცხადებს ჩჟან-სუე-ლიანი,—უცვლელი რჩება მუკდენის ჯგუფის სურვილი მიაღწიოს შეთანხმებას სამხრეთელებთან“. იაპონიის სააგენტოს ტოხოს ცნობით, ჩან-კაი-შიმ ჩჟან-სუე-ლიანს აცნობა, რომ ის შესაძლოდ სთვლის არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას მანჯურიაში. შემდეგ ჩან-კაი-ში აღნიშნავს, რომ რადგან შექმნილ პირობებში შეუძლებელია შეთანხმების მიღწევა დაუყოვნებლივ, ამიტომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს მაინც „მორალური თანამშრომლობა“ მუკდენსა და სამხრეთელებს შორის. (ადს).

„მემარცხენე“ გომინდანელები.

პეკინი, 29 ივლისი. „სინ-ვენ-ბაო“-ს ცნობით, „მემარცხენე“ გომინდანელთა კონფერენციაზე გადასწყდა მონაწილეობა მიიღონ „მემარცხენეებმა“ გომინდანის ცეკას მეხუთე პლენუმში.

გაზეთის თანამშრომელთან საუბარში, „მემარცხენეთა“ ერთ-ერთმა ბელადმა ჩენ-შუ-ხენმა განაცხადა, რომ მემარცხენეები მოითხოვენ: მასიური სახალხო მოძრაობის დაუყოვნებლივ განახლებას, რათა „კომუნისტებს არ მიეცეთ მდგომარეობის გამოყენების შესაძლებლობა“, პარტიაში დისციპლინის აღდგენას, გენერალი სიმუსის პოსტის გაუქმებას.

მემარცხენეთა მეორე წარმომადგენელმა ლი-ფუ-ლინმა გაზეთის წარმომადგენელს განუცხადა, რომ თუმცა გუანდუნში სრული სიწყნარეა, მაგრამ იქ კომუნისტები მხოლოდ მოელიან „ხელსაყრელ მომენტს“ და ამიტომ არმიის დათხოვნა გუანდუნში ნაადრევია“.

სამხედრო მოქმედებები ჩენ-ჩჟოუში

პეკინი, 29 ივლისი. გაზეთი „შუნ-ბაო“ გონკონგიდან იუწყება იმ „სერიოზული ამბების“ შესახებ, რომელიც მოხდა ჩენ-ჩჟოუში, ხუნანის სამხრეთით; ფიქრობენ, რომ ამ რაიონში სამხედრო ოპერაციები სწარმოებს. დაწვრილებით არაფერი იციან. (ადს).

ნანკინ-შეერთებული შტატების მოლაპარაკება

შანხაი, 29 ივლისი. ნანკინის მთავრობის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი უ-ჩაგამ-ჩუ დაინიშნა ნანკინის მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად შეერთებული შტატების წარმომადგენელთან (ჩინეთში), მაკ-მერისთან, მოსალაპარაკებლად. (ადს).

ბრძოლა კონსტიტუციისათვის ეგვიპტეში

ლონდონი, 29 ივლისი. რეიტერის სააგენტო ქაირიდან იუწყება:

„ეგვიპტეს დათხოვნილი პარლამენტის და სენატის დეპუტატები —ვაფდის პარტიის წევრები (ეგვიპტეს ნაციონალისტების პარტია) შეგროვდენ კერძო სახლში, რითაც დაარღვიეს მთავრობის ბრძანება, რომლითაც ასეთი კრებები აკრძალულია. მათ მიიღეს რეზოლიუცია, სადაც აცხადებენ, რომ პარლამენტი არსებობს და კონსტიტუციის ძალით უფლება აქვს გამართოს კრებები. რეზოლიუცია მოითხოვს მთავრობის გადაყენებას. შეკრებილთ ხელი მოაწერეს დეკლარაციას, სადაც აცხადებენ, რომ ძალა არა აქვს დღევანდელი მთავრობის ღონისძიებებს და იმ შეთანხმებებს, რომელიც მთავრობამ დასდო ან შეიძლება დასდოს. დეკლარაციის ხელის მომწერნი სდებენ ფიცს —უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცონ კონსტიტუცია. (ადს)

ბელა კუნის განთავისუფლება

ვენა, 29 ივლისი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„სასჯელის ვადის მოხდის გამო, ვენის სასამართლომ 27 ივლისს ბელა კუნი გადასცა პოლიციას, რომელმაც გაგზავნა ის ლიუნდენბურგში, საიდანაც კუნი გადასცეს ჩეხო-სლოვაკიის პოლიციას. ჩეხო-სლოვაკიის პოლიციის ორგანოებმა ბელა- კუნი გადასცეს გერმანიის ხელისუფლებას, რომელმაც გაგზავნა ის სვინემიუნდის ნავთსადგურში, საიდანაც კუნი საბჭოთა გემით გაემგზავრა ლენინგრადში. ბელა კუნის მგზავრობის დროს არავითარ გამოსვლებს არ ჰქონია ადგილი“. (ადს)

„მედვეი ოილ კომპანის“ მანევრი

ლონდონი, 29 ივლისი. კომპანიამ „მედვეი—ოილ—კომპანი“, რომელიც კონტროლს უწევს ინგლისის ბაზარზე საბჭოთა ნავთის გამანაწილებელ კომპანიათა ჯგუფს, გამოაცხადა, რომ მომავალში საბჭოთა კავშირიდან შემოზიდული ნავთის პროდუქტების ღირებულების 5 პროც. გადაირიცხება ყოფილ მესაკუთრეთა საკომპენსაციო ფონდში. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია კომპანიის თავმჯდომარის განცხადება, სადაც ნათქვამია: „ამ ღონისძიების მიზანია მოსპოს იმ პრეტენზიათა ყოველივე კვალი, რომელიც შესაძლებელია ჰქონდეთ ნავთის პროდუქტების განმანაწილებელთ და მომხმარებელთ „მედვეი“-სა და „პაუერ პეტრო“-ის კომპანიათა მიმართ, და განაიარაღოს მტრულად განწყობილი კონკურენცია. ნავთის მიწოდების კონტრაქტებს რუსებმა ხელი მოაწერეს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამდე, და ის პირობები, რომლებშიაც მოხდა ურთიერთობის შეწყვეტა, არ უკარგავს ამ კონტრაქტებს სავალდებულო ხასიათს. კომპანიები „მედვეი“ და „პაუერი“ სთვლიან, რომ სინამდვილე დაამახინჯებს ამ შემთხვევაში; შედეგად ამას მოჰყვა ის, რომ საზოგადოებრივ აზრი მივიდა იმ დასკვნამდე, ვითომ აღნიშნულ კომპანიებს, რაღაც დამოკიდებულება აქვთ რუსეთის იმ წარმოებებთან, რომლებიც პროდუქციას ანაწილებენ ინგლისში. ამ აზრს არავითარი საფუძველი არა აქვს, ვინაიდან „მედვეი“-სა და „პაუერ“-ის კაპიტალებში არ მოიპოვება არც ერთი პენი რუსული ფულისა ან ისეთი ფულისა , რომელიც ეკუთვნოდეს რუსეთის ქვეშევრდომთ. „მედვეი“-სა და „პაუერ“-ის კომპანიებსა და საბჭოთა კავშირს შორის არ არსებობს არავითარი დამოკიდებულება, გარდა კონტრაქტებისა ნავთის ყიდვის შესახებ ბათომში.

„დეილი—ექსპრეს“-ის ცნობით, კომერციულ წრეებში კამპანია „მედვეი“-ს ნაბიჯს მეტად მოხერხებულ ოინად სთვლიან.

„თუ ეს კამპანია,—სწერს გაზეთი,—შესძლებს ძველებურად ჰყიდოს ნავთი კომბინატების ფასებზე დაბლა, და ამავე დროს მოახერხებს ყოფილ მესაკუთრეებს განსაზღვრული კომპენსაცია აძლიოს,—ამან შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მს საზოგადოებაზე, რომელიც დღემდე ფიქრობდა, რომ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გამოიხატება იმ ბენზინის ყიდვაში, რომელიც მოპოვებულია უმთავრესად ჰოლანდიის და ამერიკის ნავთიან ადგილებში“.

მუშათა დემონსტრაციები

პარიზი, 29 ივლისი. ჰავასის ცნობით, ლიმჟში (საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში) ქალაქის მუშებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია. ისინი თავს დაესხენ საპატიმროს იმ მიზნით, რომ გაენთავისუფლებიათ გაფიცვასთან დაკავშირებით დაპატიმრებული მუშა. დემონსტრანტებმა ჟანდარმების მოსვლამდე მოასწრეს საპატიმროს ალაყაფის კარების დამტვრევა. ამჟამად საპატიმრო დაკავებულია ჟანდარმერიის მიერ.

კომუნისტურ „ჰუმანიტე“-ს ცნობით. ტრიანში 3.000 მუშამ მოახდინა გრანდიოზული დემონსტრაცია რატუშის შენობის წინ. დემონსტრაცია მოეწყო პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ სასამართლომ ადგილობრივი გაზეთის რედაქტორს მისცა 18 თვით პატიმრობა და 1.500 ფრანკი ჯარიმა რეზერვისტების წინააღმდეგ წერილების მოთავსებისათვის. (ადს)

„ბომბეი ქრონიკლ“ თურქეთ-ავღანისტანის შეთანხმების შესახებ

ქაბული, 29 ივლისი. „ბომბეი ქრონიკლი“ აქვეყნებს წერილს ავღანისტანის ფადიშაჰის მოგზაურობის შესახებ. გაზეთი სწერს:

„ფადიშაჰის მოგზაურობის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება თურქეთსა და ავღანისტანს შორის. ამ ხელშეკრულების შედეგად მოჰყვება მჭიდრო თანამშრომლობა სპარსეთსა, თურქეთსა, ავღანისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებათ ინგლისზე, რომელიც ცდილობდა ავღანისტანის დახმარების მოპოვებას.

ინდოეთის დაცვის მხრივ ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ იმ თანამშრომლობას, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ექნეს საბჭოთა კავშირს, სპარსეთს, თურქეთს და ავღანისტანს შორის ინგლისის წინააღმდეგ. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით საშიშია ინგლისისათვის იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის ფლოტი ხმელთა შუა ზღვაზე და ატლანტის და წყნარ ოკეანეზე იქნა დაკავებული. (ადს)

ახალი მთავრობა სამხრეთ-სლავიაში

კოროშეცის კაბინეტი

ვენა, 29 ივლისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ- სლავიის მეფემ დაამტკიცა კოროშეცის მიერ შედგენილი ახალი მთავრობა. გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა მარინკოვიჩი. (ადს)

ვენა 29 ივლისი. სამხრეთ- სლავიის მთავრობის ახალ შემადგენლობაში რადიკალებმა დაჰკარგეს ორი პორტფელი დემოკრატების და სლავიანელ კლერიკალების სასარგებლოდ. ოპოზიციური პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ „ახალი მთავრობა, ხორვატიის პროვოკაციაა“ და რომ კოროშეცი ბელგრადის გეგემონისტების აგენტიაო. (ადს)

საქმე სკუპშტინაში მომხდარ მკვლელობის შესახებ

ვენა, 29 ივლისი. რადიჩმა სასამართლოში უჩივლა სკუპშტინაში მომხდარ მკვლელობათ დამნაშავეებს. რადიჩი მოითხოვს, პასუხისგებაში მისცენ არა მარტო უშუალო მკვლელი— პუნიშა რაჩიჩი, არამედ 23 სხვა დეპუტატი, რომელთაც ბრალად სდებს თანამონაწილეობას,და აგრეთვე სკუპშტინის პრეზიდენტი პერიჩი, პრემიერი ვუკიჩევიჩი და კარის მინისტრი იანკოვიჩი.გამომძიებელი თავის მხრივ წინადადებას იძლევა ბრალდება გავრცელდეს რადიკალური პარტიის ორ დეპუტატზედაც— პოპოვიჩზე და იოვანოვიჩზე, რომელნიც, თითქოს მონაწილეობას იღებდენ მკვლელობის მომზადებაში. (ადს)

ფინეთის კომუნისტების პროცესი

ჰელსინგფორსი. 29 ივლისი. აბოს კომუნისტების პროცესზე ბრალდებულმა ხირველმა, რომელსაც პოლიცია მნიშვნელოვან როლს აკუთვნებს არალეგალურ მუშაობაში, განაცხადა, რომ პოლიცია სასტიკად აწამებდა მას საპყრობილეში ყოფნის დროს. ხირველმა განაცხადა, რომ პოლიცია სცდილობდა მიეღო იმისაგან ცნობები ფინეთის კომუნისტური ბიუროს მუშაობის შესახებ. მას შეაძლიეს 50.000 ფინეთის მარკა და დაჰპირდენ ამერიკაში გაგზავნას, თუ იგი იტყოდა, სად იმყოფება ფინეთის ბიუროს არქივი. 30 მაისს პოლიციის აგენტებმა გადასწყვიტეს, მიემართათ ძალისათვის ჩვენების მისაღებად. ხირველს შეუბოჭეს ხელები ბორკილებით და ჩასვეს დახურულ ავტომობილში. გზაში მას რამდენჯერმე აუხვიეს თვალები, აშინებდნენ რევოლვერით და სიკვდილს ემუქრებოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ავტომობილი გაჩერდა და ხირველი შეიყვანეს სადგომში, სადაც ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოშვებული. იქ მას ხელახლად დაეკითხეს ფინეთის ბიუროს არქივის შესახებ. რადგან ხირველმა არ უპასუხა, მას დაუწყეს ცემა. ერთმა აგენტმა ხელზე მაგრა მოუჭირა ყელსახვევი, რის შემდეგაც ხირველმა გრძნობა დაჰკარგა. როდესაც იგი გრძნობაზე მოვიდა, შუბლზე ბრაუნინგი მიადეს და უთხრეს: ამ ბრაუნინგიდან ხშირია უკაბედი გასროლაო. როდესაც დაინახეს, რომ ამით ვერაფერს გახდებიან, ხირველი დააბრუნეს საპყრობილეში. ეს ამბავი გრძელდებოდა ხუთ საათს. გაზეთი „მუშათა ორგანიზაციების უწყებები“-ს ცნობით, ხირველის ჩვენებამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. (ადს)

ომის საწინააღმდეგო მიტინგი ვარშავაში

ვარშავა, 29 ივლისი. გაიმართა ომის საწინააღმდეგო მიტინგი, რომელიც მოაწყო სეიმის კომუნისტურმა ფრაქციამ. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტურმა დეპუტატმა სიპულამ. მან ხაზი გაუსვა იმ საფრთხეს, რომელსაც ინგლისის მეთაურობით კაპიტალისტური სახელმწიფონი ამზადებენ ომის მოწყობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სიპულამ აღნიშნა აგრეთვე პოლონეთის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა ლიტვის მიმართ. სიპულას მუქარით და ყვირილით აწყვეტინებდნენ სიტყვას „ოხრანკის“ აგენტები, რომლებიც სიტყვის შემდეგ დაერიენ მიტინგის მონაწილეებს. კომუნისტურ დეპუტატს როსიაკს კეტით სცემეს და დააშავეს. პოლიციამ მიტინგის 9 მონაწილე დააპატიმრა. (ადს)

საფრანგეთის პრესის გავლენით

პრაგა, 29 ივლისი. საფრანგეთის პრესის გავლენით მთელი ჩეხური პრესა მკაცრ წერილებს ათავსებს ვენაში გამართულ გერმანელ მომღერალთა გუნდების დღესასწაულის წინააღმდეგ, როგორც ავსტრიის გერმანიასთან შეერთების დემონსტრაციის წინააღმდეგ. ჩეხ- სოციალ- დემოკრატების ორგანო „პრავო ლიდუ“ სხვა გაზეთებსავით სასტიკათ ჰკიცხავს დღესასწაულს და ცდილობს ამ დემონსტრაციის პასუხისმგებლობა თავიდან მოხსნას ავსტრიის სოციალ- დემოკრატებს. გაზეთები, რომლებიც გერმანულ ენაზე გამოდიან, სწერენ, რომ შეუძლებელია წინააღმდეგობა გაეწიოს გერმანელების ბუნებრივ მისწრაფებას გაერთიანებისაკენ. გერმანელი სოციალ- დემოკრატების ორგანო „სოციალ- დემოკრატ“-ი გადაჭრით აცხადებს, რომ ავსტრია უნდა შეუერთდეს გერმანიასო. (ადს)

გ ა ფ ი ც ვ ე ბ ი

7.000 მელითონეს ლოკაუტი

ბერლინი, 29 ივლისი. დილსკის რაიონის მეტალურგიული მრეწველობის მწარმოებელთა კავშირმა ლოკაუტი გამოუცხადა 20 საწარმოოში ჩაბმულ 7.000 მელითონეს. ლოკაუტი წარმოადგენს იმ გაფიცვის პასუხს, რომელიც ხელფასის 10 პროცენტით მოსალოდნელი შემცირების გამო, გამოცხადებული იყო ლითონის ერთ-ერთ ქარხანაში დილენბურგში. (ადს)

ღელვარება სამხრეთ- ინდოეთის რკინისგზაზე

ქაბული, 30 ივლისი. დაიწყო მღელვარება სამხრეთ- ინდოეთის რკინის გზაზე გაფიცვასთან დაკავშირებით. გაფიცულთა და პოლიციის შორის მოხდა მრავალი შეტაკება. გაფიცულები აჩერებდენ მრავალ მატარებელს, რომლებზედაც შტრეიკბრეხერები მუშაობენ. ბევრ რაიონში პოლიციამ ცეცხლ იარაღი იხმარა, ბევრგან ტყვიით გაუმასპინძლდა გაფიცულებს. (ადს)

არეულობა ჯუტის ფაბრიკებზე ინდოეთში

ქაბული, 29 ივლისი. ბომბეიდან მიღებული ცნობით, ჯუტის ფაბრიკებში, მომხდარ არეულობასთან დაკავშირებით, ბოურის რაიონში ხელისუფლებამ დააპატიმრა 50 მუშაზე მეტი.

საგაფიცვო მოძრაობა რუანის მეზღვაურთა შორის

პარიზი, 29 ივლისი. იმის გამო, რომ მწარმოებლებმა უარჰყვეს მეზღვაურების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რუანის მეზღვაურებმა ერთხმად დაადგინეს—გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა. მეზღვაურებმა ხმის უმრავლესობით გადასწყვიტეს შეუერთდენ შრომის უნიტარულ (რევოლიუციონურ) კონფედერაციას. რუანის დოკერების გაფიცვა გრძელდება. შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც მოუწოდებს მუშებს—ბოიკოტი გამოუცხადონ გემებს, რომლებიც გაფიცვის გამო სხვა ნავსადგურებში მიდიან, და მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ გაფიცულებს. (ადს).

ტრამვაის მუშათა გაფიცვა რიგაში

რიგა, 29 ივლისი. 28 ივლისს დილით დაიწყო ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა. ტრამვაის მოძრაობა მთლად შეწყვეტილია. მუშა-მოსამსახურენი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და ორი უკანონოთ დათხოვნილი მუშის უკანვე მიღებას. (ადს).

მუშა-ქალთა დემონსტრაცია

ლონდონი, 29 ივლისი, 29 ივლისს ტრაფალგასკვერში გაიმართა მუშა-ქალთა მრავალათასიანი დემონსტრაცია ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებით. დემონსტრაციის ოფიციალური საბაბი იყო საბჭოთა კავშირში გასამგზავრებელი მუშა ქალთა სამშვიდობო დელეგაციის გაცილება.

„საბჭოთა კავშირში გაგზავნილ დელეგაციას დავალებული აქვს—გადასცეს რუს მუშებს ინგლისელი მუშების აღტაცება საყოველთაო განიარაღების პროექტის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარადგინა სადაც ჯერ არს— განაცხადა მიტინგზე მთლიანი ფრონტის ქალთა კომიტეტის მდივანმა ტერნერმა“.

დელეგაცია გაემგზავრა საბჭოთა კავშირში 29 ივლისს საღამოთი.

ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის კონფერენცია

ლონდონი 29 ივლისი. შესდგა ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის კონფერენცია, ორატორებმა გააკრიტიკეს ახლახან გამოქვეყნებული მუშათა პარტიის საარჩევნო შეთანხმება და აღნიშნეს, რომ ამ პროგრამას მხედველობაში აქვს ლიბერალურ პარტიასთან შეთანხმება. კონფერენციამ მიიღო პროგრამა, რომელიც მოითხოვს ბანკების წიაღის და მრეწველობის ძირითადი დარგების დაუყოვნებლივ ნაციონალიზაციას ისე, რომ კაპიტალისტებს ჩამორთმეული ქონება არ აუნაზღაურდეთ. პროგრამა მოითხოვს აგრეთვე კაპიტალის დაბეგვრას, კოლონიებისა და დომინიონების სრული დამოუკიდებლობის აღიარებას და საბჭოთა კავშირის ცნობას. (ადს).

პარლამენტი და კონტრ-პარლამენტი რუმინეთში

ვენა, 29 ივლისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის სენატმა და ქვედა პალატამ მიიღეს კანონები, რომლებშიაც გათვალისწინებულია: რუმინეთის ვალიუტის სტაბილიზაციის მომზადება, რუმინეთის მთავრობისათვის მოლაპარაკების წარმოების უფლების მინიჭება საგარეო სესხისა და იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ რუმინეთის სამხედრო დავალიანება საფრანგეთისადმი და სახელმწიფო დავალიანება საფრანგეთისა, ინგლისისა ბელგიისა და შვეიცარიისადმი.

პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა პრემიერი ბრატიანუ, რომელმაც განაცხადა, რომ რუმინეთის პრესტიჟის შელახვამ შინაური და გარეშე მტრების მიერ აუცილებელი გახადა ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო ბანკების დახმარება სტაბილიზაციის ჩასატარებლად. ამიტომ ამ საემისიო ბანკების გადაწყვეტილებას რუმინეთის ვალიუტის სტაბილიზაციისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოპოზიციონური ნაციონალურ-გლეხური პარტიის მიერ მოწვეული ეგრეთწოდებული კონტრ-პარლამენტის სხდომათა შესახებ, ცენზურის გამო, ჯერ არავითარი ცნობა არ მოსულა. კონტრ - პარლამენტის სხდომები სწარმოებდა პარლამენტის სხდომების პარალელურად. გაზეთი „ტიმინიატა“ ჰფიქრობს, რომ ნაციონალურ-გლეხური პარტიის ცეკამ კონტრ-პარლამენტის სხდომაზე გაატარა პროტესტის რეზოლიუცია მთავრობის მოქმედებათა წინააღმდეგ საგარეო სესხის საკითხში. რეზოლიუცია გაეგზავნება სარეგენტო საბჭოს, რომელსაც პარტია კვლავ მოსთხოვს ბრატიანუს მთავრობის გადაყენებას. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

ცაპი მალმგრემის დედასთან

სტოკჰოლმი, 29 ივლისი. ცაპი იტალიის კონსულის თანხლებით სტოკჰოლმში გაემართა მალმგრემის დედასთან შესახვედრად. ცაპიმ მალმგრემის დედას გადასცა კომპასი, რომელიც მისთვის მალმგრემს გადაუცია. საუბარი შეეხებოდა იმ პირობებს, რომლებშიაც ცაპიმ და მარიანომ მალმგრემი დასტოვეს. (ადს).

ნობილე სდუმს

კოპენჰაგენი, 29 ივლისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კოპენჰაგენისკენ მიმავალმა ნობილემ უარი სთქვა გადაეცა დაწვრილებითი ცნობები კატასტროფის და ექსპედიციის მონაწილეთა ყინულზე ყოფნის შესახებ ნობილემ მოიმიზეზა რომიდან ინსტრუქციის უქონლობა და თავისი მდგომარეობა, როგორც ოფიცრისა, რომელიც მოვალეა ანგარიში უპირველეს ყოვლისა იტალიის მთავრობას წარუდგინოს.

ნობილეს ექსპედიციის მექანიკოსი ჩეჩიონი ყავარჯენით დადის. პროფესორი ბეჰოუნეკი ფიქრობს პირდაპირ პრაღაში გამგზავრებას მთელი მისი მეცნიერული დაკვირვებანი გადარჩენილია. (ადს).

„მონტე სერვანტე“-სი ისევ დაზიანდა

ყინულისმჭრელი „კრასინი“, 27 ივლისი, „კრასინ“-ის წყალმყვინთავებმა გამოკვლევის დროს „მონტე სერვანტეს“-ის მარცხენა გვერდზე აღმოაჩინეს ახალი ნახვრეტი, სიგრძით 4 მეტრამდე, საიდანაც ტრიუმში წყალი შედიოდა. წყალმყვინთავები შეუდგნენ დაზიანებული ადგილის შეკეთებას.

ყინულისმჭრელი „კრასინი“, 29 ივლისი. მუშაობა პირველი ნახვრეტის შესაკეთებლად დამთავრდა. გრძელდება წყლის გადაქაჩვა ტრიუმიდან. გემმა წყლიდან უკვე საგრძნობლათ აიწია ზევით. შეუმოწმებელი ცნობებით, სამგზავრო გემმა „რეზოლიუტ“-მა, „მონტე სერვანტეს“-ის კაპიტანის მოთხოვნით, ბერგენში უნდა შეიაროს და „მონტე სერვანტეს“-ის მგზავრები თავისთან გადასხას. (ადს).

ლუნდბორგის ნაამბობი

სტოკჰოლმი, 29 ივლისი. შვედმა მფრინავმა ლუნდბერგმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ნობილემ სთხოვა მას, პირველ რიგში გადაერჩინა მთავარი მექანიკოსი ჩეჩიონი. როდესაც ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, მან დაასახელა სხვა ოთხი პირი, და მხოლოდ ყველას დაჟინებითი თხოვნის შემდეგ დასთანხმდა აეროპლანში ჩაჯდომას. ლუნდბორგის დაუნახავს, რომ ნობილემ თან წამოიღო რამდენიმე წიგნი, ალბომი, დღიური და სანავიგაციო ჟურნალები. როგორც ლუნდბორგი ადასტურებს, მას არ შეუმჩნევია, რომ მალმგრემსა და ნობილეს შორის უსიამოვნებას ჰქონოდა ადგილი. ჩეხო-სლოვაკიელმა პროფესორმა ბეჰოუნეკმა გადასცა მას, რომ მალმგრემმა ორ იტალიელ ოფიცერთან ერთად თავისი ნებით დასტოვა ნობილე; ვინაიდან დარჩენილი ჯგუფის მდგომარეობა მეტად უიმედო იყო, ყველა ჰფიქრობდა, რომ წასულების ბედი უკეთესი იქნებოდა. (ადს).

შვეციის ექსპედიციის შეხვედრა სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 29 ივლისი. ჩამოვიდნენ შვეციის ექსპედიციის მონაწილენი. სადგურზე მათ შეხვდნენ თავდაცვის მინისტრი სამხედრო ავიაციის უფროსი, არმიის უმაღლესი თანამდებობის პირები და ბევრი სხვა ხალხი, რომელმაც ოვაციები გაუმართა ჩამოსულ ექსპედიციას. (ადს).

უკომენტაროდ

ბერლინი, 29 ივლისი. გერმანიის პრესა უკომენტაროდ აქვეყნებს ცნობებს „კრასინ“-ის მიერ „მონტე სერვანტეს“-ის გადარჩენის შესახებ. ზოგიერთი გაზეთი, მაგალითად ცენტრის პარტიის ორგანო „გერმანია“, ხაზს უსვამს იმ ამბების სათაურებს, სადაც „კრასინ“-ის დამსახურება აღნიშნულია. „აბენდ ბლატ“-ი ჰკიცხავს სანონსო საზოგადოებას, რომელსაც ეკუთვნოდა გემი „მონტე სერვანტეს“-ი იმისათვის, რომ უკანასკნელმა არ გამოაქვეყნა კაპიტანის ცნობა ავარიის შესახებ და, ამრიგად, გერმანიაში უბედურების ამბავი გაიგეს მხოლოდ მოსკოვის დეპეშებიდან. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პროტესტი

ფინეთის მუშების დევნის წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანებასთან ერთად, მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს—პროტესტი განაცხადონ იმ ძალადობის გამო, რომელსაც მიმართავენ ფინელი ფაშისტები ფინეთის მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ აპრილში ფინეთის პოლიციამ მოახდინა დაპატიმრებანი მთელ ფინეთში. დააპატიმრეს მუშათა და პროფესიონალური მოძრაობის წარმომადგენელნი, მუშათა ორგანიზაციების გაზეთები აკრძალეს, რედაქციები დაბეჭდეს. ფინეთის პოლიცია და მთავრობა ტერორს იმითი ასაბუთებენ, თითქოს ბრალდებულები კომუნისტურ მუშაობას ეწეოდნენ. პრესა ცრუ ხმებს ავრცელებს, თითქოს დაპატიმრებულებმა სახელმწიფოებრივი ღალატი ჩაიდინეს. ვერც ფინეთის ოხრანკის პროვოკაცია და ვერც ბურჟუაზიული პრესის ინსინუაციები ვერ დაფარავენ ფინელ მუშებისა და საერთაშორისო პროლეტარიატისაგან თეთრი ტერორის ახალი გამწვავების ნამდვილ მიზეზებს. ეს მიზეზები უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად იმაში მდგომარეობენ, რომ უკანასკნელ ორ წელს ფინეთში სწრაფად ვითარდება მუშათა მოძრაობა.

საბჭოთა კავშირის და ნორვეგიის პროფორგანიზაციებს თავის მოვალეობად მიაჩნიათ პროტესტი განაცხადონ ფინეთის მუშათა კლასის დევნის წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის მუშებმა უნდა აღიმაღლონ ხმა თეთრი ტერორის ახალი ტალღის წინააღმდეგ. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ანრი ბარბიუსის წიგნი საქართველოს შესახებ.

მოსკოვი, 30 ივლისი. ანრი ბარბიუსმა დასაბეჭდათ გაამზადა წიგნი თანამედროვე საქართველოს და ამიერ-კავკასიის შესახებ. „იზვესტია“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ერთი თავი ამ წიგნიდან. ამ თავში ბარბიუსი თავისებურად მოხდენილად და ლამაზად ასწერს საღამოებსა და იმ შეხვედრებს, რომელიც ჰქონდა მას საქართველოში ყოფნისას. კერძოთ აწერილია შეხვედრა ამხ. სილია თოდრიასთან, ბერიძესთან და სხვებთან. მოყვანილია აგრეთვე ამ ამხანაგებთან საუბრის შინაარსი და პირადი შთაბეჭდილებანი.

ქართველების შესახებ ბარბიუსი სწერს: „პატიოსნება გამოსჭვივის ამ კეთილშობილ რასის თვითეულ ადამიანის სახიდან“-ო.

ეხება რა საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მომენტებს, ბარბიუსი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ დევნას, რომელსაც ქართული კულტურა განიცდიდა ცარიზმის დროს. „მენშევიკების გაბატონების შემდეგ, განაგრძობს ბარბიუსი—მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. მენშევიკები განაგრძობდენ ცარიზმის ყველაზე უსაძაგლეს ტრადიციას: ერთი ერის წასისიანებას მეორეზე“. მშრომელი ხალხი არ იყო კმაყოფილი მენშევიკების ბატონობით, ის მთელ რიგ აჯანყებებს აწყობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ აჯანყებებს მენშევიკები ყველგან ცეცხლითა და მახვილით აქრობდენ.

წიგნის ეს თავი თავდება ვახშამის აღწერით ერთ ქართულ ოჯახში, რომელიც ბარბიუსის თანდასწრებით ყოფილა გამართული.

ამხ. ბირუშოვის გამოსვლა.

მოსკოვი, 30 ივლისი. მებამბეობის საკავშირო ყრილობაზე გამოვიდა ამიერ - კავკასიის წარმომადგენელი ამხ. ბირუშოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის მებამბეების მომარაგებას პურით ნაკლები ყურადღება ექცევა. გარდა ამისა, მებამბეთათვის ინვენტარისა და სამუშაო იარაღების მიწოდების საქმე ჯერ კიდევ კერძო პირების ხელშია, სახელმწიფო ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ამ საქმეს.. ბირუშოვმა მოითხოვა აღნიშნულ დეფექტების გამოსწორება.

ნიჟნი - ნოვგოროდის ბაზრობა.

მოსკოვი, 30 ივლისი. ნიჟნი - ნოვგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მალიშევმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ბაზრობა უსათუოდ დანიშნულ დღეს გაიხსნება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმოსავლეთს, მოსალოდნელია ჩინელ ვაჭრების ჩამოსვლა.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს კუსტარულ მრეწველობის ნაწარმოებთა მისაზიდათ ბაზრობაზე.

ღამის ცნობები

დელეგატების ამორჩევა

ბერლინი, 29 ივლისი. ბერლინის მეტალისტთა პროფკავშირებმა დელეგატები აირჩია გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების მეორე ყრილობაზე, რომელიც დანიშნულია 3 სექტემბრისათვის. არჩევნებზე გაიმარჯვა პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობის სიამ, რომელსაც ხმა მისცა 16.000 კაცმა, რეფორმისტების კანდიდატებს კი ხმა მისცა 13.000 კაცმა.

დემონსტრაცია ამნისტიით განთავისუფლებულთა პატივსაცემად

ბერლინი, 29 ივლისი. დრეზდენში გაიმართა მასიური დემონსტრაცია ამნისტიით განთავისუფლებულთა პოლიტპატიმართა პატივსაცემად. ჩამოსულთა შესახვედრად სადგურზე შეიკრიბა რამდენიმე ათი ათასი მუშა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ დანარჩენ პროლეტარ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას. მიტინგმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა კომინტერნის კონგრესს და მოლცს.

შანის წინადადება

ტოკიო, 30 ივლისი. გაზეთები იუწყებიან: ჩინეთის ელჩი იაპონიაში ეწვია გარეშე საქმეთა მინისტრს და წინადადება მისცა იაპონიის მთავრობას—გადადოს დროებით წესების შემოღება, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ იაპონელთა უფლებრივი მდგომარეობა ჩინეთში; მანვე წინადადება მისცა იაპონიის მთავრობას, დაწყებულ იქნას მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების გადათვალიერების შესახებ. (ადს).

„უორკერს პარტი"-ს მზადება არჩევნებისათვის

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. „უორკერს პარტი"-ს მზადება შტატების საკანონმდებლო კრებების არჩევნებისათვის წარმატებით მიმდინარეობს. „უორკერს პარტი"-ს იმედი აქვს რომ მომავალი არჩევნების დროს პარტიის კანდიდატები წარმოდგენილ იქნება გაცილებით უფრო მეტ შტატებში ვიდრე წინა არჩევნების დროს, კერძოდ იგი ვარაუდობს თავისი წარმომადგენლების გაყვანას საკანდიდატო სიებში [illegible], რაც პირველი შემთხვევა იქნება „უორკერს პარტიისა"-თვის (ადს).

„ტომასის ტრიუმფი"

ლონდონი, 30 ივლისი. რკინიგზელთა სამი მთავარი პროფკავშირი შეუთანხმდა რკინის გზის კომპანიების წარმომადგენლებს, რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის შემცირებას რკინიგზების მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო. შეთანხმება ძალაში შედის ერთი წლის ვადით.

რკინიგზელთა კავშირის თავმჯდომარემ ტომასმა მიღწეული შეთანხმების შემდეგ ერთ ბანკეტზე განაცხადა: „პირველად ინგლისის ისტორიაში რამდენიმე მილიონმა მუშამ მთელ ქვეყანას იმის მაგალითი მისცა თუ რანაირი მოქმედებაა საჭირო".

ინგლისის მუშათა წრეებში აღნიშნავენ რომ ეს შეთანხმება ხელფასის შემცირების პრეცედენტს წარმოადგენს მრეწველობის სხვა დარგებში. ბურჟუაზიული პრესა აღტაცებით ეგებება „ტომასის ტრიუმფს" და მის ახალ შეთანხმებას სთვლის „უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად მშვიდობიანობის დასამყარებლად მრეწველობაში". (ადს).

მოლცი ფალკენშტეინში

ბერლინი, 30 ივლისი. 29 ივლისს მოლცი მივიდა ფოგტლანდის ცენტრში—ფალკენშტეინში, სადაც 1920 წელს მუშებმა მისი ხელმძღვანელობით შექმნეს „წითელი ალმასკომი". მასხმოლცს აღტაცებით შეხვდნენ. ქალაქი მორთული იყო ბაირაღებითა და ყვავილებით. ასეთი მანიფესტაცია ფალკენშტეინში არასოდეს არა ყოფილა. მოლცი მოუწოდებდა მუშებს, განეგრძოთ ბრძოლა ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის, მთლიანი ფრონტის შესაქმნელად და კომპარტიისათვის მხარის დასაჭერად.

ამხ. ლიტვინოვი ბერლინში

ბერლინი, 30 ივლისი. აქ ჩამოვიდა ამხ. ლიტვინოვი, რომელიც მიემგზავრება მოსკოვისაკენ. საბჭოთა კავშირის საელჩოში გამართულ იქნა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ სტრეზემანი, შუბერტი და გერმანიის მოსკოველი ელჩი ბროკდორფ-რანცაუ. (ადს).

გორკი კავკავში

მოსკოვი, 30 ივლისი. 30 ივლისს თბილისიდან კავკავში ავტომობილით მოვიდა გორკი, რომელსაც გარნიზონი შეხვდა მებრძოლ წითელ არმიელთა სასაფლაოზე. (ადს).

სხვადასხვა

გაზ. „სოციალ-დემოკრატ"-ის კონფისკაცია პროკურორის განკარგულებით, ყველგან კონფისკაცია უყვეს გაზეთ „სოციალ-დემოკრატ"-ის უკანასკნელ ნომერს, რომელშიაც მოთავსებულია საპროტესტო წერილი პროფკავშირების ცენტრალური ბიუროსა და მუშათა სხვა ორგანიზაციების დახურვის წინააღმდეგ. (ადს).

ზანგები „თეთრ" პროფკავშირებში იოჰანესბურგიდან (სამხრეთ აფრიკის კავშირი) მიღებული ცნობებით, სამრეწველო და სამღებრო წარმოებათ მუშების გაერთიანებულმა პროფკავშირმა დაადგინა, მიიღოს კავშირში სამრეწველო წარმოებაში ჩაბმული 700 ზანგი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სამხრეთ აფრიკაში თეთრი პროფკავშირი თავის წევრებად იღებს ადგილობრივ მუშებს. მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ სამხრეთ-აფრიკის ტრედიუნიონების გენერალური საბჭო, რომელიც აერთიანებს თეთრ პროფკავშირებს, არ დაამტკიცებს კავშირის გადაწყვეტილებას და გამორიცხავს მას თავის შემადგენლობიდან. (ადს).

გლეხკორ ბაღდასაროვის საქმე

პირველი დღე

მარდაკერტი, 27 ივლისი. დაიწყო გლეხკორ ბაღდასაროვის საქმის გარჩევა. 26 ივლისის დილის სხდომაზე, აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს სესიამ მოისმინა გლეხკორის ჩვენებანი.

ბაღდასაროვმა გამოაქვეყნა მის მიერ დაწერილი მთელი რიგი საგაზეთო შენიშვნები სხვადასხვა თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებების შესახებ. თავისი მკაცრი მხილებებით ბაღდასაროვმა რაიონულ მუშაკთა შორის გაიჩინა ძლიერი მტრები, რომლებიც ყოველ მიზეზს ეძებდნენ, რომ მოეკლათ იგი. რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარეთ დანიშნულმა ცენზმე მკრტიჩიანმა ბაღდასაროვის საქმიანობას გაეცნო ადგილობრივი მუშაკების ინფორმაციის მიხედვით და ჩქარა გასცა განკარგულება ბაღდასაროვის დაპატიმრების შესახებ იმ საბაბით, რომ მან მიითვისა (ბრალი დასდეს) სხვისი მოსავალი.

ბაღდასაროვი დააპატიმრეს და მოათავსეს ციხეში. რამდენიმე დღის შემდეგ მკრტიჩიანმა ინახულა იგი. შეხვედრას ბაღდასაროვი შემდეგნაირად აგვიწერს:

„როცა მკრტიჩიანმა ციხის ეზოში დამინახა, დამიწყო ყვირილი და მოითხოვა, რომ კამერაში წავეყვანე. მკრტიჩიანს მაღლა ხელი და მიბიძგა, მე მაშინ გადავქერი, თითქოს პირველად მე ვუბიძგე მკრტიჩიანს. შეხედეთ მას და მე. ის სამჯერ უფრო ჯანმრთელია ჩემზე. როგორ შემეძლო მე მისთვის მებიძგა. შემდეგ, როგორც ხელში მოვედი რაიონულ პარტკომის მდივანი მარტიროსიანი და დამიყვირა: „ეგი შენ, არამზადავ, ვინ არის მკრტიჩიანი? შეიკრიბენ სხვებიც და დამიწყეს ცემა, მკრტიჩიანმა წიხლი ჩამკრა მუცელში. ტკივილისაგან მე დავეცი და გონება დავკარგე, როცა გამოვფხიზლდი, დავინახე, რომ როგორც ცემის გამო ხელები სისხლში მქონდა გასვრილი. ტკივილი ძლიერ მაწუხებდა და ექიმი მოვიკითხე. გზით მიმავალმა გლეხმა ა. ხაჩატრიანმა მოსძახა დაიძახა: „ნუ გეშინია ბაგრატ, მე ყველაფერი დავინახე"-ო.

რამდენიმე დღის შემდეგ, შეიარაღებულ ცხენოსან რაზმის თანხლებით, ბაღდასაროვი გადაიყვანეს სტეპანაკერტში. ბაღდასაროვის შეკითხვაზე—თუ რისთვის არის იგი დაპატიმრებული, მას უპასუხეს, რომ ბრალდება წაყენებული აქვს ბანდიტიზმში და კონტრ-რევოლიუციონერობაში.

გაზ. „კომუნისტ"-ში დაიბეჭდა წერილები, რომლებიც შეიცავდნენ ყარაბაღის მუშაკთა მკაცრ კრიტიკას ბაღდასაროვის საქმის გამო. ბაღდასაროვი მიიყვანეს პოლიტ-ბიუროს უფროსთან, სადაც იმყოფებოდა ყარაბაღის ორი პასუხისმგებელი მუშაკი, რომელთაც თან ჰქონდათ გაზ. „კომუნისტ"-ის ნომრები. პოლიტბიუროს უფროსი შეეცადა გამოეტყუა წერილის ავტორის ვინაობა და მუქარით დაიწყო ყვირილი: „მე შენ გაჩვენებ სეირს, რომ ასეთი ალიაქოთი აგიტეხია".

თანამშრომლებმა, რომლებიც აწარმოებდნენ საქმის გამოძიებას, ურჩიეს ბაღდასაროვს ნაწილობრივ ეღიარა დანაშაული.

მალე ბაღდასაროვი განთავისუფლებულ იქნა და მიეცა მოწმობა, რომ სათანადო მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო საქმე მოსპობილია.

მიუხედავათ ამისა, ბაღდასაროვის დევნა მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ბაღდასაროვის დაკითხვის შემდეგ დაიწყო მოწმეების დაკითხვა. მოწმეთაა გამოწვეული 125-ზე მეტი კაცი. (ადს.)

მეორე დღე

მარდაკერტი, 28 ივლისი. მოწმეების დაკითხვის პირველ დღეს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოწმე ტერ-დანიელიანის ჩვენებამ. ტერ-დანიელიანი, ყოფილი დაშნაკი, ამტკიცებს, რომ იგი ჩვეულებრივი წევრი იყო დაშნაკების პარტიისა. მაგრამ დაკითხვის დროს ირკვევა, რომ ტერ-დანიელიანი, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში გადასახლებული იყო, პარტიის თვალსაჩინო მუშაკს წარმოადგენდა. 1921 წელში სომხეთიდან, ზანგეზურის გავლით მოხვდა მთიან ყარაბაღში, სადაც მიიღო ქრაბერტის რაიაღმასკომის მდივნის თანამდებობა, ბაღდასაროვმა თავის დროზე აღნიშნა ეს ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ ქრაბერტის რაიონის მეთაურნი მფარველობას უწევდნენ ბნელ ელემენტებს.

სასამართლოში ტერ-დანიელიანი იძლევა ჩვენებას, რომლითაც ბრალდებულებს, განსაკუთრებით ბედოდ ხურშუდოვს, ახასიათებს, როგორც ლაზარ გუკასოვის ხელისშემწყობს. მისი სიტყვით, ბრალდებულებმა იცოდნენ, რომ ბაღდასაროვი გლეხკორი იყო და თავიანთ თათბირზე არა ერთხელ გადაუწყვეტიათ შური ეძიათ. რაიონულ აღმასკომის ახალი თავმჯდომარე მკრტიჩიანი მალე მოექცა გუკასოვის ჯგუფის გავლენის ქვეშ, ქეიფობდა მასთან ერთად, საჩუქრად მიიღო ცხენი და სხვ.

ბრალდებულები ხაზს უსვამენ მოწმის უტად საეჭვო პოლიტიკურ და ზნეობრივ ფიზიონომიას. მაგრამ შეკითხვაზე— თუ რატომ ჩაბეს იგი საბჭოთა მუშაობაში, ბრალდებულები დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ იძლევიან.

მოწმე მარიამ კაკალიანი სასამართლოს მოუთხრობს, რომ ბაღდასაროვი, როცა ის მილიციის უფროსი გახდა, კონფისკაცია უყო ჯეჯიან ლიან გულბეითურს, შემდეგ კი, აჩიკარის ვამი, შურის საძიებლად მან კაკალიანი გამოასახლა იმ სახლიდან, რომელიც მისმა ქმარმა თავისი სიმამრის ბაღდასაროვისაგან იყიდა.

თურქი გლეხი სადიხ ადასტურებს, რომ ბაღდასაროვი ორი მილიციელისა და ოთხი ბანდიტის თანხლებით თავს დაესხა სოფელს და გაიტაცა 12 ცხვარი.

ავაგიმ საკიანი, რომელიც ბაღდასაროვთან ერთად ციხეში იჯდა, ამბობს, რომ მას არ შეუმჩნევია გალახვა, თუმცა იმ დროს ციხის ეზოში იყო.

პარტიის წევრი ჰაიკ გრიგორიანი, რომელიც მილიციონერად მსახურობდა ბაღდასაროვთან, აცხადებს, რომ ბაღდასაროვმა თავის ძმას გადასცა ჩამორთმეული 3 სული მინაური საქონელი.

მოწმე კარაპეტ ჯამგარიანი უარყოფს თავის წინანდელ ჩვენებას ბაღდასაროვის გალახვის შესახებ და აცხადებს, რომ ბაღდასაროვმა იძულა — ელაპარაკა მის სასარგებლოდ. მოწმე იმასაც ამბობს, რომ ბაღდასაროვი ციხის უფროსად იყო დაშნაკების ხელისუფლების დროსო.

მოწმეების ყველა ბრალდებას ბაღდასაროვი შემდეგნაირად უპასუხებს:

„შინაური საქონლის კონფისკაცია შეეხო მხოლოდ ქურდებს. ჩამორთმეული საქონლის ნაწილი ირიცხებოდა მილიციის შემოსავალში, ნაწილი საჯაროთ იყიდებოდა, ნაწილი კი რაიგდებოდა ჯამაგირის ანგარიშში.

ბაღდასაროვი აღნიშნავს, რომ ბრალდებულები ჯგუფი და მათი მეგობრები, განსაკუთრებით ლაზარ გუკასოვი, დიდ მუშაობას ეწეოდნენ იმისათვის, რომ მოწმეებს ელაპარაკათ მათ სასარგებლოდ.

მესამე დღე

მარდაკერტი, 29 ივლისი. პროცესის მესამე დღეს გაგრძელდა მოწმეების დაკითხვა.

ნაწილობრივ ირკვევა ბაღდასაროვის როლი დაშნაკების ხელისუფლების დროს. მოწმეები აცხადებენ, რომ ბაღდასაროვი ადგილობრივ ხმბატ კაზარიანს ემსახურებოდა და თვეების განმავლობაში საპატიმროს უფროსად იყო. ამავე დროს მოწმეები ლაპარაკობენ იმ დიდ სამსახურზე, რომელსაც მაშინ ბაღდასაროვი უწევდა კომუნისტების არალეგალურ ორგანიზაციას. წითელი ჯარის შემოსვლის შემდეგ, 1920 წელს, ის შევიდა კომპარტიაში. იბადება ეჭვები — სამაზრო კომიტეტმა დაამტკიცა თუ არა ბაღდასაროვი პარტიის წევრად? ოთხი ბრალდებული კატეგორიულად აცხადებს, რომ ბაღდასაროვი არ ყოფილა პარტიაში.

პროცესზე ზოგიერთმა მოწმეებმა უარყვეს გამომძიებელთან მიცემული წინანდელი ჩვენებები, მხარეებმა აღძრეს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე, პასუხისგებაში იქნას მიცემული ბაღდასაროვის მოწმეები მიხეილ მირზაბეკოვი — ყალბი ჩვენების მიცემისათვის, ბაბაიანი — მოწმეების სწავლებისათვის. (ადს)

ნორვეგიის კომუნალურ მუშათა დელეგაცია ბაქოში

ბაქო, 29 ივლისი. ბაქოში ჩამოვიდა ნორვეგიის კომუნალურ მუშაკთა დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით, რომელიც ორ დღეს დარჩება ბაქოში. დელეგაციამ დაათვალიერა ელექტრონის რკინის გზა. სარეწავები. ალიბაირამოვის სახელობის ქალთა კლუბი და სხვ. (ადს).

ტყვარჩელის პრობლემა

ამ დღეებში საქართველოს ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულმა ტყვარჩელის კომისიამ მოიწვია ნავთსადგურის მშენებლობის სპეციალისტების თათბირი. თათბირმა განიხილა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრანსპორტისა და იმ ნავთსადგურის ასაგებ ადგილის არჩევის საკითხი საიდანაც ტყვარჩელის ქვა-ნახშირს გაიტანენ როგორც საბჭოთა კავშირის ბაზრებზე, ისე უცხოეთში.

თათბირი ერთხმად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნავთსადგურის აგება, უფრო მიზანშეწონილია ოჩემჩირეში. ეს გადაწყვეტილება სავსებით ეთანხმება „იუგოსტალისა" და საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. სათბობი მასალის განყოფილების გადაწყვეტილებას ამავე საკითხზე.

ამჟამად ტყვარჩელის რაიონში საბჭ. კავშირის გეოლოგიური კომიტეტის სპეციალური ექსპედიცია აწარმოებს გეოლოგიურ მუშაობას ტყვარჩელის ქვანახშირის ფენების სიძლიერის გამოსარკვევად სხვადასხვა ადგილებში.

პარალელურად საქართველოს გზატკეცილების სამმართველო აწარმოებს მუშაობას ტყვარჩელ-ოჩემჩირეს გზატკეცილის გასაყვანად. უკვე დამთავრებულია ტყვარჩელსა და ოჩემჩირეს შორის გასაყვან რკინის გზის გამოკვლევა, რომელიც ტყვარჩელის კომისიის განკარგულებით სწარმოებდა. დამთავრდა აგრეთვე მდინარე გალიზგას ენერგიული გამოკვლევა. ამ მდინარეზე ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებიდან 4 კილომეტრის დაშორებით აგებული იქნება დიდი ელსადგური, რომელიც ენერგიას მიაწოდებს, როგორც ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებს, ისე სოხუმსა და აფხაზეთის სხვა ადგილებს.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ტყვარჩელის კომისიის თავმჯდომარემ ინჟ. შეინაძემ აცნობა, რომ ამჟამად აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაციისათვის მოეწყოს საკავშირო მნიშვნელობის ტრესტი. (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

28 ივლისის დილის სხდომა

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

მოსკოვი, 30 ივლისი. კომინტერნის კონგრესის 28 ივლისის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. ზაპოტოცკის თავმჯდომარეობით. სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო.

ამხ. ჩენ ხუანის სიტყვა

„ჩინეთი,—ამბობს ამხ. ჩენ ხუანი (ჩინეთი),—წარმოადგენს იმ ბრძოლის ცენტრალურ ასპარეზს, რომელსაც სწარმოებს იმპერიალისტებს შორის წყნარ ოკეანეზე ბატონობისათვის. ჩინეთის ეხლანდელ სიტუაციაში აუცილებელია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერება. ერთად-ერთი გამოსავალი—მასების მობილიზაცია გადამწყვეტი რევოლიუციონური ბრძოლისათვის. მიუხედავად ბურჟუაზიის ღვარძლიანი სიხარულისა კანტონის აჯანყების დამარცხების გამო, ჩინეთის რევოლიუცია მაინც ცოცხლობს. გლეხთა მასები წარმოადგენენ რევოლიუციის მთავარ ძალას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩინეთის რევოლიუცია არ უნდა გადაიქცეს გლეხურ რევოლიუციად. იგი ბოლომდე უნდა მიიყვანონ რევოლიუციონერმა მუშებმა, რომლებიც უნდა დაუკავშირდნენ გლეხთა მასებს, ახლო მომავალში აუცილებელია რევოლიუციონური ტალღის ახალი აზვირთება, და სასურველია, რომ თეზისებში ეს გარკვევით იქნას გამოხატული".

ამხ. ულბრიხტის სიტყვა

„უკანასკნელ წლებში,—ამბობს ამხ. ულბრიხტი (გერმანია),—ზოგიერთი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ აფასებდა მასების რევოლიუციონურ განწყობილებას, ხოლო ზოგიერთი ამხანაგი პესიმისტურად უყურებდა მასების მებრძოლ განწყობილებას. მე ვფიქრობ, რომ ევერტისა და მისი მომხრეების შემარიგებელი ტაქტიკა მემარჯვენე გადახრის მიმართ, ხელს უშლის პარტიას დასძლიოს ეს გადახრა. ევერტის გუშინდელი სიტყვა მოწმობს, რომ ის გადაჭარბებულად აფასებს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, განსაკუთრებით ინგლისში, და სათანადოდ ვერ აფასებს სტაბილიზაციის წინააღმდეგობებს. ის აგრეთვე აზვიადებს სოციალ-დემოკრატიის ძალებს და ვერ ხედავს, რომ რეფორმისტული ლიდერების შეზრდა სახელმწიფო აპარატთან აღრმავებს უფსკრულს რეფორმისტულ ხელმძღვანელ წრეებსა და მუშათა ფართო მასებს შორის, რაც ქმნის კომპარტიისათვის ხელსაყრელ პირობებს სოციალ-დემოკრატიული მასების დასაპყრობად.

ევერტმა ხაზი არ გაუსვა, რომ უკანასკნელ არჩევნებზე გერმანიაში კომპარტიამ დიდ წარმატებას მიაღწია სამრეწველო ოლქებში. მემარჯვენეთა პოზიცია ჩვენი ტაქტიკის შესახებ პროფკავშირებში აბსოლიუტურად შემცდარია. ისინი იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ სანამ ჩვენ ვერ შევძლებთ ხელი შევუშალოთ პროფკავშირთა ბიუროკრატიას პროფკავშირებიდან ოპოზიციის გამორიცხვაში მანამდე ოპოზიცია აშკარად არ უნდა გამოვიდეს. შემდეგ ჩვენ იმისი მოწმენი ვართ, რომ მთლიანი ფრონტის ქვედა ფენებში სწორად ვერ იყო განხორციელებული და სათანადოდ არ ხდებოდა რეფორმისტული ხელმძღვანელი ზედა ფენის გამაშკარავება".

ამხ. ლომინაძის სიტყვა

„ძირითადი საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება,—ამბობს ამხ. ლომინაძე,—არის საკითხი ომის საფრთხის შესახებ. დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ სათანადოთ ვერ შევაფასებდეთ რევოლიუციონური განვითარების პერსპექტივებს, რომლებიც მომდინარეობენ კაპიტალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგობათაგან".

ამხ. ლომინაძე ეკამათება ამხ. პეპერს და აღნიშნავს, რომ ამხ. პეპერი უფრო მეტად, ვიდრე ამხ. ევერტი (გამოტოვებულია) ევროპის მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესს და შემცდარად პესიმისტურად აფასებს ამერიკის პროლეტარიატის გარევოლიუციონერების პერსპექტივებს.

„შეერთებულ შტატებში მწიფდება ისეთი სიტუაცია, როდესაც საჭიროა გამოყენებულ იქნან იმ ტაქტიკის ძირითადი მომენტები, რომელიც წამოაყენა მე-9 პლენუმმა ინგლისისა და საფრანგეთისათვის. დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს ამხ. ბუხარინის თეზისების იმ პუნქტს, რომელშიაც ლაპარაკია კანტონის აჯანყებაზე, ეს პუნქტი ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს უღებს ყოველგვარ ლაპარაკს, თითქოს კანტონის აჯანყება მხოლოდ პუტჩი იყო. ყველა იმათ, ვინც „აფრთხილებდა" ჩინელ ამხანაგებს, რომ აჯანყება არ მოეხდინათ, ჩინელ ამხანაგებს შეუძლიათ უპასუხონ ლენინის სიტყვებით—ლენინი ამბობდა, რომ სანამ გამარჯვების იმედის ჩრდილი მაინც არსებობს, უნდა შევეცადოთ აჯანყების მოხდენას.

ამხ. ლევისტონის სიტყვა

„ოპოზიცია ჩვენს პარტიაში,—ამბობს ამხ. ლევისტონი (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები),—შემცდარად აფასებს ამერიკის კაპიტალიზმის განვითარებას. ცეკას უმრავლესობა აღნიშნავს ამერიკის კაპიტალიზმის ძლიერების ზრდას, ხოლო ოპოზიცია უსამართლოდ და უსაფუძვლოდ უსაყვედურებს მას, თითქოს ცეკას უმრავლესობა რეკლამას უკეთებს კაპიტალიზმს. უმცირესობა გადაჭარბებულად აფასებს იმ დეპრესიის მნიშვნელობას, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომელიც წარმოადგენს რაციონალიზაციის შედეგს და არა კაპიტალიზმის აღსასრულის დასაწყისს.

ამხ. ბრანტის სიტყვა

„პოლონეთის კომპარტიის ხაზი,—ამბობს ამხ. ბრანტი (პოლონეთი),—სწორია და მან მნიშვნელოვან წარმატებებამდე მიგვიყვანა. უთანხმოება ოპოზიციასთან უმნიშვნელოა, მაგრამ მე უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად უმნიშვნელო უთანხმოებისა, უმცირესობას მაინც აღებული აქვს განსაზღვრული გეზი გათიშვისაკენ".

ამხ. ერკოლის სიტყვა

„იტალიის დელეგაცია,—ამბობს ამხ. ერკოლი (იტალია),—ეთანხმება ამხ. ბუხარინის თეზისებს. სავსებით სწორია იმაზე მითითება, რომ ჩვენ უნდა შევისწავლოთ არა მარტო ხელსაყრელი მომენტები, არამედ არახელსაყრელიც, ვინაიდან ჩვენი შეცდომების მთავარ წყაროს წარმოადგენს დღევანდელი სიტუაციის არასაკმაოდ შესწავლა. ფართო მასების გამემარცხენება უდავო ფაქტია. ეს პროცესი თავის გამოხატულებას პოულობს ბრძოლაში მწარმოებელთა შემოტევის წინააღმდეგ და სიმპატიების ზრდაში კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის მიმართ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ფართო მასების გამემარცხენების პროცესს დიდი სიძნელეები ეღობება, და სწორედ ამიტომ ბრძოლა მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ უნდა გახდეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ჩვენ საკმაოდ ვერ ვიბრძოდით სოციალ-დემოკრატიული მუშების მოსახიდავად და საკმაო მონაწილეობას ვერ ვღებულობდით მუშების ყოველდღიურ ბრძოლაში. ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ უნდა დაუკავშირდეს მასების დაპყრობისათვის წარმოებულ ბრძოლას".

ამხ. ბენეტის სიტყვა

„როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა ზრდას, ამბობს ამხ. ბენეტი (ინგლისი),—ამავე დროს ხაზი უნდა გავუსვათ იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა ზრდას. ჩვენ მოწმენი ვართ იმპერიალისტური პოლიტიკის სიმპტომების თანდათანი ზრდისა ბრიტანეთის მუშათა პარტიაში, რომელიც ცდილობს დაამყაროს თავისი ჰეგემონია ყველა მუშათა პარტიაზე ბრიტანეთის იმპერიის ყოველ ნაწილში. მეცხრე პლენუმის მიერ ინგლისის რეფორმიზმის მიმართ დასახული ტაქტიკა რადიკალურად სცვლის იმ პოლიტიკას, რომელიც დღემდე ტარდებოდა ამ მიმართულებით. ჩვენ სასტიკად ვებრძვით ამერიკის კომპარტიის ფრაქციულ ბრძოლას და საჭიროდ მიგვაჩნია მისი მტკიცე კონსოლიდაცია. დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა მუშაობა გაძლიერდეს ზანგებს შორის. ამ მუშაობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამერიკის კომპარტიისათვის".

ამხ. რეიმანის სიტყვა

„ჩვენი პარტიის დამარცხება „წითელი დღის" გატარებაში,—ამბობს ამხ. რეიმანი (ჩეხო-სლოვაკია),—ამას მოწმობს, რომ არსებობენ სერიოზული ოპორტუნისტული ტენდენციები. ამჟამად ადგილი აქვს ტენდენციას, რომ ეს დამარცხება მიაფუჩეჩონ და აქედან სათანადო გაკვეთილები არ გამოიტანონ. „რუდე პრავო" ცდილობს პასუხისმგებლობა დამარცხებისათვის ხელმძღვანელობას მოხსნას და პარტიულ მასებს გადააკისროს, მუშაობის ლეგალური ფორმებისადმი მისწრაფების ძლიერი ტენდენცია უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს პარტიის განვითარების გზაზე. მთავარი ბრძოლა მიმართული უნდა იქნეს ოპორტუნისტული გადახრების დაძლევისაკენ პარტიის შიგნით".

ამხ. ტიტელის სიტყვა

„მე მინდა აღვნიშნო, რომ კომპარტიის ესენის ყრილობის მიერ დასახული სწორი ხაზი ყოველთვის სწორად არ ტარდება ცხოვრებაში. პარტიის და პროფკავშირების ეხლანდელი პოლიტიკა და პარტაპარატის ბიუროკრატიზაცია აუცილებლად გამოიწვევენ მთლიანი ფრონტის ტაქტიკის ჩაშლას. პარტიული ხელმძღვანელობის გაუბედაობა და მერყეობა ოპორტუნისტული შეცდომების წყაროა (ცხარე პროტესტი გერმანიის დელეგაციის სკამებზე). თვითკრიტიკა და სრული კონცენტრაცია უნდა დაუპირისპირდეს ეხლანდელ შინაპარტიულ კურსს".

შემდეგი სხდომა მოხდება 28 ივლისს, საღამოს 8 საათზე.

28 ივლისის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 30 ივლისი. თავმჯდომარეობს ამხ. რემელე. გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

ამხ. ბიიოს სიტყვა

„ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირებმა,—ამბობს ამხ. ბიიო (საფრანგეთი),—დიდ წარმატებას მიაღწიეს ანტიმილიტარისტულ პროპაგანდის დარგში. ჩვენ უნდა ვამხილოთ სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანიზაციები მილიტარიზმთან დამოკიდებულების საკითხში და ვებრძოლოთ მუშათა ახალგაზრდობის შორის არსებულ პაციფისტურ ილუზიებს".

ამხ. ხერვიკის სიტყვა

„პოლონეთში,—ამბობს ამხ. ხერვიკი (პოლონეთი),—ადგილი აქვს პროლეტარიატის გამემარცხენებას. ამას საუკეთესოდ ამტკიცებს საგაფიცვო მოძრაობის ზრდა. ის ოპორტუნისტული შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნენ ლოძის ფეიქართა გაფიცვის ხელმძღვანელობაში, უკანასკნელ დროს წარმოადგენდნენ უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზს პოლონეთის პარტიაში. კონგრესმა უნდა მოაგვაროს პოლონეთის კომპარტიის მდგომარეობა და მტკიცე ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიას".

ამხ. ოპიცის სიტყვა

„გერმანიაში ისე, როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში,—ამბობს ამხ. ოპიცი (გერმანია),—ადგილი აქვს პროლეტარიატის გამემარცხენებას. გერმანიის კომპარტიამ საჭირო დასკვნა გამოიყვანა აქედან და დიდ მნიშვნელობას აძლევს პროფკავშირების მუშაობას პროფინტერნის მეოთხე კონგრესის გადაწყვეტილებათა გასატარებლად. მემარჯვენენი გერმანიის კომპარტიაში შემცდარ შეხედულებებს ადგიან საკითხში მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისადმი და პროფკავშირთა მუშაობისადმი დამოკიდებულების შესახებ. ევერტის შეხედულებები სოციალ-დემოკრატიის განვითარებაზე და მის მიერ ბრძოლის პერსპექტივების შეფასება ძირიანად შემცდარია".

ამხ. იუნგბაუმის სიტყვა

„პოლონეთის ფაშიზმი,—ამბობს ამხ. იუნგბაუმი (პოლონეთი),—ატარებს დასავლეთ უკრაინის სისტემატიურ პოლონიზაციას. მის ამოცანას წარმოადგენს ომის მომზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ დავთარი აურია დასავლეთ უკრაინის კომპარტიის რამდენიმე ცნობილ წევრს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ პარტიული მასები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. რენეგატების უმნიშვნელო ჯგუფი განმარტოებული დარჩა".

ამხ. შენფელდერის სიტყვა

„ივლისის აჯანყების შემდეგ ვენაში,—ამბობს ამხ. შენფელდერი (ავსტრია),—ავსტრიის კომპარტიაში უთანხმოებამ იჩინა თავი. კომინტერნის აღმასკომის მიერ ჩვენი პარტიისადმი მიმართულ წერილში ლაპარაკია ავსტრომარქსიზმის გაკოტრებაზე. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ივლისის ამბების შემდეგ სოციალ-დემოკრატიის გავლენა კი არ შემცირდა, არამედ პირიქით, გაძლიერდა, ჩვენ გვინდა, რომ კომინტერნმა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ავსტრიის კომპარტიას მძიმე ბრძოლაში".

ამხ. მიცკევიჩ-კაპსუკასის სიტყვა

„პილსუდსკი,—ამბობს ამხ. მიცკევიჩ-კაპსუკასი (ლიტვა),—რომელსაც მხარს უჭერენ ინგლისი და საფრანგეთი, გადამწყვეტ შეტევას ამზადებს ლიტვის წინააღმდეგ. მხოლოდ პოლონეთის მუშათა კლასს კომპარტიის მეთაურობით შეუძლია ხელი შეუშალოს პოლონეთის ფაშიზმის ანექსიონისტურ გეგმებს. მაგრამ პოლონეთის კომპარტიამ დღემდე ვერ შესძლო მოეწყო მასიური საპროტესტო მოძრაობა პოლონეთის მთავრობის სამხედრო მზადების წინააღმდეგ. პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი დაკავშირებულია ომის მზადებასთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პოლონეთის კომპარტიის ხაზი სავსებით სწორია. მაგრამ პრაქტიკულ მუშაობაში უმრავლესობამაც და უმცირესობამაც შეცდომები დაუშვეს".

ამხ. ჩუინ გუანის სიტყვა

„მოძმე კომპარტიები,—ამბობს ამხ. ჩუინ გუანი (ჩინეთი),—საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ჩინეთის და კოლონიების რევოლიუციონური მოძრაობისათვის დახმარების ამოცანას. ამხანაგებს სწორი წარმოდგენა არა აქვთ ჩინეთის რევოლიუციის განვითარებაზე. ჩინეთის რევოლიუცია ამჟამად პროლეტარულ რევოლიუციად გადადის".

ამხ. ბენედიქტის სიტყვა

„ავსტრიის კომპარტიას,—ამბობს ამხ. ბენედიქტი (ავსტრია),—ივლისის აჯანყების დროს საუცხოვოდ ეჭირა თავი და პირველ რიგებში იბრძოდა, მაგრამ მან ვერ შესძლო შეექმნა ფართო ორგანიზაციული ბაზისი მოძრაობისათვის და გარკვევით გამიჯნულიყო სოციალ-დემოკრატიისაგან. უმცირესობა ვერ აფასებს ავსტრიის მუშათა კლასის გამემარცხენებას. თუ დავსძლიეთ პესიმისტური განწყობილება ჩვენს რიგებში, მაშინ ჩვენ კომინტერნის დახმარებით შევსძლებთ ძლიერ მებრძოლ ერთეულად გადავაქციოთ ჩვენი პარტია".

ამხ. ტელმანის, ხითაროვის, ულბრიხტის, პეპერის და ლომინაძის სიტყვების და მოკლე დამატებითი განცხადებების შემდეგ საღამოს სხდომა დაიხურა. (ადს).

30 ივლისის დილის სხდომა

მოსკოვი, 30 ივლისი. კომინტერნის კონგრესის 30 ივლისის დილის სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდნენ მომხსენებლები.

შილლერმა საბოლოო სიტყვაში სთქვა:

„ორატორებს საერთოდ საკმაო ყურადღება არ მიუქცევიათ ახალგაზრდობათა შორის მუშაობის საკითხისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს ტელმანი და ეს გასაგებიცაა. გერმანიაში მჭიდრო თანამშრომლობაა პარტიასა და კომკავშირს შორის.

ორატორები დაეთანხმნენ ჩემს მოხსენებას ახალგაზრდობის კომინტერნის ამოცანების შესახებ და კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ კომკავშირში პოლიტიკური მუშაობის შეზღუდვის თვალსაზრისის მომხრენი არ აღმოჩნდნენ კამათის დროს. კომუნისტური ახალგაზრდობა გადაჭრით ემხრობა თვითკრიტიკას, აღიარებს თავის შეცდომებსა და ნაკლს და ყოველგვარ ზომებს მიიღებს კომკავშირის პოლიტიკურ გავლენასა და ორგანიზაციულ მდგომარეობას შორის არსებულ დისპროპორციის აღმოსაფხვრელად. ახალგაზრდობის კომინტერნის მე-V კონგრესი შესცვლის მუშაობის მეთოდებს ჩვენი გავლენის ორგანიზაციულად განმტკიცების მიზნით. კონგრესი მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლების მიხედვით შემუშავებული იქნება ახალგაზრდობაში აქტიური მუშაობისა და სასპორტო ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების მეთოდები. ამასთანავე ერთად მიღებულ იქნება ზომები ადგილობრივ ორგანიზაციებისა და უჯრედების მუშაობის გამოსაცოცხლებლად წარმოებებში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი გადასჭრის იმ ამოცანებს, რომლებიც სდგანან მის წინაშე იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების თანამედროვე პერიოდში".

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ბუხარინი, რომელსაც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. ამხ. ბუხარინის სიტყვა გაგრძელდა მთელ დილის სხდომაზე. ამხ. ბუხარინის მოხსენების თეზისები მიღებულია ერთხმად საფუძვლად და დაწვრილებით დასამუშავებლად გადაეცა სპეციალურ კომისიას.

გერმანიის დელეგაციის წინადადებით, ერთხმად მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: „კონგრესი იწონებს კომინტერნის აღმასკომის საერთაშორისო საკონტროლო კომისიისა და, აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მოღვაწეობას".

საღამოს სხდომა არ შემდგარა. დელეგატები დაესწრნენ მოსკოვის აქტივის საზეიმო კრებას, რომელიც პარტიის მე-2 ყრილობის 25 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა.

კონგრესის შემდეგი პლენარული სხდომა შესდგება 31 ივლისს საღამ. 5 საათზე. დღის წესრიგში არის ბელის მოხსენება იმპერიალისტურ ომის საფრთხესთან ბრძოლის შესახებ. (ადს).

კონგრესის დღიური

მოსკოვი, 30 ივლისი. კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო დამთავრდა შაბათ საღამოს. კამათი 11 სხდომაზე გაგრძელდა გამოვიდა 90-ზე მეტი ორატორი.

29 ივლისს დელეგატები მიდიან ოქტომბრის ველზე, სადაც დაესწრებიან წითელი არმიის და კონგრესის მონაწილეთა დაკავშირების დღესასწაულს.

კონგრესის მე-16 პლენარული სხდომა მოხდება ორშაბათ დილას. დღის წესრიგშია—ამხ. სტუჩკას, შილერის და ბუხარინის საბოლოო სიტყვები და ამხ. ბელის მოხსენება იმპერიალისტურ ომების საფრთხესთან ბრძოლის შესახებ.

საღამოს დელეგატები, დაესწრებიან მოსკოვის აქტივის კრებას, რომელიც იმართება მეორე ყრილობის 25 წლის თავის აღსანიშნავად.

პროფესორი პარტბილეთით

პროფ. რ. ვ. ვილიამსი

„...ძალიან მარტივ, მეტის-მეტად ჩვეულებრივ პირობებში მოხდა ეს ამბავი. ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტებით არის გაჭედილი ყველაზე დიდი—ქიმიური აუდიტორია და მისი ყოველი შესავალ-გასავალი. ტრიბუნაზეა ორი დაძველებული სკამი და შიშველი მაგიდა.

ის საქმე კი, რისთვისაც აქ სტუდენტები შეიკრიბნენ, იმად ღირს, რომ მთელმა საბჭოთა კავშირმა შეიტყოს.

ტიმირიაზევის აკადემიის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკების რიგებში უნდა მიიღოს პროფესორი ვასილი რობერტისძე ვილიამსი. პროფესორის მხრებზე აწევს 65 წლის სიცოცხლე და 40 წლის სამეცნიერო მუშაობა. როდესაც ის ორი სტუდენტის შემწეობით ტრიბუნაზე ავიდა—მთელმა აუდიტორიამ თითქოს ნიშანი მიეცათო, ერთსულოვნად დაჰკრა ძლიერი ტაში.

ანკეტა საყვარელ საგანს წარმოადგენს იუმორისტებისა და ცირკის კლოუნებისათვის მაგრამ პროფესორი ვილიამსის ანკეტა ძირიან ფესვიანად განსხვავდება ყველა ჩვეულებრივი საანკეტო ფურცლისაგან.

ამერიკელი... გაათავა რეალური სასწავლებელი, პეტროვის სატყეო და სამიწათმოქმედო აკადემია და მიუნხენის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პროფესორია 1892 წლიდან. 1922 წლიდან ტიმირიაზევის აკადემიის მუდმივი დელეგატი მოსკოვის საბჭოში. ტიმირიაზევის აკადემიის მუდმივი საპატიო რექტორი. ნიადაგის მცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი. შემდეგ მოსდევს—სახელმწიფო სამეცნიერო კომისია, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო. დიალექტიკური მატერიალიზმის საზოგადოება; სარედაქციო მუშაობა; სატარიფო ქსელის შედგენა მოჯამაგირეთათვის. პროფესორის წლოვანებასთან როგორღაც შეუთავსებელი დაუღალავი ცოცხალი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე. სწორედ ამის წყალობით მოახერხა პროფესორმა შედარებით ნორჩი, მაგრამ დიდი მომავლის მეცნიერების —ნიადაგის მცოდნეობის ისეთ სიმაღლეზე დაყენება, რომ მას მთელ მსოფლიოში მეტოქეებად მარტო ამერიკელები ჰყავს.

საბჭოთა ქვეყანა, რომელიც მტერსა და მოკეთეს არჩევს, აფასებს მეცნიერულ მოღვაწეობას,—მან მიუსაჯა ვასილი რობერტისძეს ყველაზე საპატიო წოდება—შრომის გმირის სახელი, და პროფესორის სადა პიჯაკზე გამოჩნდა „შრომის წითელი დროშის ორდენის" ცისფერი მინანქარი. რუსეთის ცაკის სიგელებში მ. ი. კალინინის, ა. ვ. ლუნაჩარსკის წერილებში და ყველა დოკუმენტში აღნიშნულია ვილიამსის არა მარტო სამეცნიერო მიღწევები არამედ მისი ღრმა მისწრაფება, რომ მხარ და მხარ მიჰყვეს საბჭოთა საზოგადოებრიობას ებრძოლოს რეაქციონურ მიმართულებას მეცნიერებაში და მის აპოლოგეტებს. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ პროფესორმა ვილიამსმა პირველმა მიიღო ოქტომბრის პლატფორმა იგი მუშათა ფაკულტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო და სტუდენტობამ მას უწოდა არა ოფიციალური, მაგრამ თითქმის ყველაზე საპატიო სახელი „მუშფაკის მამა".

ანკეტის კითხვა გრძელდება... მალი-მალ გაიელვებს წარსულის ნაწყვეტები. დუბასოვის ჟანდარმერია, რომელიც თავისი ჩექმებით აწვება სტუდენტობას, და ერთად-ერთი პროფესორი, რომელიც ბედავს დამნაშავეთა დაფარვას, საერთო სიცილს იწვევს ნიკოლოზ მეორის „უმაღლესად წარწერილი" „რეზოლიუცია რაპორტზე; რაპორტი ეხება „მისი აღმატებულების პროფესორ ვილიამსის მოქმედებას", რომელიც გამოექომაგა გლეხებს და ამხილა წარჩინებული არამზადები:

„ეს საქმე ისე ჩაითვალოს, ვითომც არა ყოფილა", ამბობს რეზოლიუცია.

სტუდენტების პარტიულმა ორგანიზაციამ ერთხმად მიიღო პროფესორი ვილიამსი პარტიაში და სთხოვა მოსკოვის კომიტეტს, რომ პარტიული წესდებისა და წესების მიუხედავად, მიღებულ იქნას ამხ. ვილიამსი პარტიაში საკანდიდატო სტაჟის გაუვლელად.

აი, ფეხზე სდგება თვით ვილიამსიც. იგი აღელვებული დასცქერის აუდიტორიას, რომელიც მას საპასუხოდ უგზავნის მქუხარე ტაშს.

— ჩემმა შესვლამ პარტიაში ცოტა შეიგვიანა, მაგრამ მაინც მას თავისი საფუძველი აქვს. საბჭოთა კავშირის წინაშე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია. არ არსებობს აკადემიური მეცნიერება. არსებობს მეცნიერება რომელიც გვერდში მისდევს პრაქტიკას. მე მინდა გამოვადგე საბჭოთა ქვეყანას, და რჩევა მივცე მას არა მარტო როგორც აგრონომმა, არამედ როგორც ბოლშევიკმაც...

ასე გაიარა კომუნისტური ნათლობა სტუდენტთა სადა ოჯახში მსოფლიო მეცნიერმა და პროფესორმა ვილიამსმა და ჩადგა იგი ბოლშევიკების ფოლადისებურ რაზმში. („ოგონიოკი").

ნიკ. ლაპშინი.

ინგურის ქაღალდის ფაბრიკა

სვანეთიდან თბილისში დაბრუნდა საგანგებო საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც დაათვალიერა ინგურის ქაღალდის ფაბრიკის და აგრეთვე შამგონის ხე-ტყის ქარხნისათვის საჭირო ტყის რაიონები. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორივე წარმოება მრავალი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ნედლეულით—სოჭითა და ფიჭვით.

ინგურის ფაბრიკას წელიწადში დასჭირდება 2 ნახ. მილ. კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალა და ამდენივე ნედლი მასალა დასჭირდება შამგონის ხე-ტყის ქარხანას. (ადს).

პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის, საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტების სააგ.-საპროპ. და ბეჭდვით განყოფილებათა გამგეებს

ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის საგიტ.-საპროპ. და ბეჭდვითი განყოფილება წინადადებას გაძლევთ პარტიის მეორე ყრილობის საკითხების შესწავლას უჯრედების ღია კრებებზე მშრომელ მასების ფართოდ მიზიდვით მოანდომოთ ოთხი სხდომა.

შესასწავლათ გეძლევათ შემდეგი თემები:

1. პარტიის მეორე ყრილობის წინა პერიოდი.
2. მეორე ყრილობა და მასზე ბრძოლა.
3. მენშევიზმი და ბოლშევიზმი მეორე ყრილობის შემდეგ.
4. სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლიუციაში და ბურჟუაზიულ რევოლიუციიდან სოციალისტურისაკენ.

პირველი თემა უნდა იქნეს დამუშავებული აუცილებლად აგვისტოს პირველ კვირაში. დანარჩენი თემები კი—რიგ-რიგობით 25 აგვისტომდე. მასალებს პირველი თემის შესასწავლად აქვე ვაქვეყნებთ.

თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული გაზეთებში მასალები დანარჩენი თემების დასამუშავებლად.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საგ. საპრ. და ბეჭდვითი განყ. გამგე **ს. მამულია**.

პირველი თემა

მეორე ყრილობის წინა პერიოდში

შესავალი

ოცდახუთი წელი შესრულდა მე-II ყრილობის შემდეგ. მეორე ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მით დასრულდა ენერგიული ბრძოლა პარტიის შექმნისათვის; ამასთანავე მე-II ყრილობაზე სოც.-დემ. მუშათა პარტია გაითიშა ორ ნაწილად, მენშევიკურმა ნაწილმა სულ უფრო მეტად გააღრმავა და განავითარა თავისი ოპორტუნისტული გადახრანი და ბოლოს ღირსეული ადგილი მონახა მემამულეებს და ბურჟუაზიასთან ერთად მთლიან კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში ოქტომბრის სოციალისტურ რევოლიუციის წინააღმდეგ.

ბოლშევიზმი კი, რომელიც ჩამოყალიბდა მე-II ყრილობაზე, დარჩა ერთად ერთ რევოლიუციონერ პროლეტარულ პარტიად. მან თავისი ურყევი ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასი ოქტომბრის რევოლიუციის საშუალებით გამოიყვანა სოციალისტური საზოგადოების შენების ფართო გზაზე.

ცხადია, რომ აზრთა სხვადასხვაობა, რომელმაც თავი იჩინა მე-II ყრილობაზე და რომელმაც პარტია მიიყვანა განხეთქილებამდე, არ ყოფილა „შემთხვევითი", ის ერთბაშად ან უეცრად არ წამოჭრილა ყრილობაზე.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მე-II ყრილობაზე გაჩაღებული იდეური, ტაქტიკური და ორგანიზაციული ბრძოლის სურათი, უნდა მოვნახოთ და გავიგოთ ამ უთანხმოებათა სათავეები.

დავასახელოთ მოკლეთ მაშინდელი რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, რომლის ნიადაგზე მიმდინარეობდა სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებათა ბრძოლა.

1. ეკონომიური მდგომარეობა და მუშათა მოძრაობა

მრეწველობა სწრაფად და შეუჩერებლივ იზრდება მე-XIX საუკ. 90 წ.წ. ვითარდებიან ყველა სახის წარმოებანი; იზრდება რკინის გზის ქსელი და სხვ. 1887 წლიდან, ვიდრე 1897 წლამდე ფაბრიკების რაოდენობა გაიზარდა 72 პროცენტით, ხოლო მუშების—59 პროცენტით.

მუშათა კლასი იზრდება სოფლიდან ჩამოსულ გაღატაკებულ გლეხების ხარჯზე.

ამავე დროს სწარმოებს საწარმოთა გამსხვილება (კონცენტრაცია), უზარმაზარ ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა წამოწყებებში თავს იყრის მუშების დიდი რაოდენობა. 1902 წ. 1 იანვრისათვის რუსეთის 64 გუბერნიასა და ოლქში იყო 17.819 საწარმო 1.700.733 მუშით. ამათგან მარტო 236 ფაბრიკაში მუშაობდა 513.800 კაცი, რაც შეადგენს მუშების საერთო რაოდენობის 30 პროც. თითო ფაბრიკაზე საშუალოდ მოდიოდა 2.000-ზე მეტი კაცი.

მუშების ასეთი სერიოზული კონცენტრაცია ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა კლასს ხდიდა დიდ ძალად რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მუშები, თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიმართავდენ ეკონომიურ გაფიცვებს. წარმოების ჩქარი ტემპით ზრდის პირობებში კაპიტალისტებისათვის არ იყო ხელსაყრელი ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის შეჩერება. ამიტომ გაფიცვების დიდი რაოდენობა თავდებოდა მუშების სასარგებლოდ, კომპრომისით, ეს გარემოება ქმნიდა მუშებში ილუზიებს ეკონომიური გაფიცვების ძლიერების შესახებ.

მრეწველობის აღორძინების ხანა 90-იან წ.წ. დასასრულიდან შეიცვალა სამრეწველო კრიზისით, რომელიც ფართოდ გაიშალა 1900-1902 წლებში. ამან გამოიწვია წარმოების შემცირება, ფაბრიკა-ქარხნების დახურვა და საგრძნობი უმუშევრობა. ეს აძლიერებდა მუშების ბრძოლას გაფიცვების საშუალებით. მაგრამ ახლა, სამრეწველო კრიზისის დროს, ეკონომიური გაფიცვები თავდებოდა მუშების დამარცხებით. კაპიტალისტები თვითმპყრობელური მთავრობის დახმარებით სასტიკად აქრობდენ გაფიცვებს მუშებში, თანდათან ქრებოდა ილუზიები ეკონომიური გაფიცვების ძლევამოსილების შესახებ. ამიტომ სულ უფრო და უფრო ეკონომიური გაფიცვები გადადიოდა პოლიტიკურში, რომლის რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, ასე, მაგალითად: პოლიტიკური გაფიცვები ეკონომიურთან შეფარდებით შეადგენდა 1900 წ. 10,5 პროც.; 1902 წ. —14 პროც. და 1903 წ.—22 პროც..

მუშები საკუთარ მაგალითებზე სწავლობდენ, თუ როგორაა დაკავშირებული ფაბრიკა-ქარხნებში მათი ექსპლოატაცია ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობილების სისტემასთან.

2. გლეხობა

არც გლეხობა იყო სახარბიელო მდგომარეობაში. 1861 წლის რეფორმამ გლეხობა დატოვა თითქმის უმიწოთ, რაც მემამულეებს აძლევდა საშუალებას წინანდებურად ეყვლიფათ ის. ბატონ-ყმობის მძიმე ნაშთების დაწოლასთან ერთად გლეხობა იზნიქებოდა მეფის უღლის ქვეშ. მეფის სახელმწიფო [illegible] 1903 წელს უდრიდა 6 ნახ. მილიარდ მან., რომელიც ბოლოს და ბოლოს გლეხების ისედაც მჭლე ჯიბიდან უნდა დაფარულიყო.

კაპიტალიზმის სწრაფი შეჭრა სოფლად ნავთს ასხამდა ცეცხლზე და იწვევდა გლეხების მასიურ გაღატაკებას. **ამ ნიადაგზე ჩაღდებოდა გლეხური ამბოხებები, რომელიც განსაკუთრებით გახშირდა და გამწვავდა ცხრაასიან წლებში.**

მაგრამ გლეხობის პოლიტიკური შეგნება ძალიან დაბალი იყო. ის თავის ამბოხებებში არ ასცილდებოდა მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლას და თვითმპყრობელური მთავრობისაგან მოელოდა ხსნას.

3. ბურჟუაზია

სოფლად დარჩენილი ნახევრად ბატონ-ყმური ერთიერთობა ბორკავდა კაპიტალიზმის განვითარებას. მაგრამ სახალხო მეურნეობაში მაინც ბურჟუაზია თამაშობდა საკმაოდ დიდ როლს, დიდი იყო მისი ხვედრითი წონა. მიუხედავათ ამისა, მისი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ მართვა-გამგეობის საქმეში მეტად უმნიშვნელო იყო. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია ბურჟუაზიის ბრძოლა მემამულეების ჰეგემონიის და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ მუშათა კლასის გაძლიერებული რევოლიუციონური მოძრაობის აჩრდილი აფრთხობდა მას.

ბურჟუაზია თანდათან უფრო მეტად უთვისდებოდა თვითმპყრობელურ წყობილებას.

ბურჟუაზია უჭერდა მხარს რევოლიუციას იმდენათ, რამდენად მას იმედი ქონდა მუშათა კლასის მოძრაობის ხელში ჩაგდების და დაქვემდებარების, მისი უფრო მეტად ლიბერალური ნაწილი, რომელიც თავს იყრიდა არალეგალურ გაზეთ „ოსვობოჟდენიეს" გარშემო, აყენებდა მეტად ზომიერ მოთხოვნილებებს. წვრილმანი რეფორმებით აპირებდა ბურჟუაზია რევოლიუციონურ მოძრაობის განსაზღვრას, ცხადი იყო, რომ ბურჟუაზია, მიუხედავათ მისი ოპოზიციონური განწყობილებისა თვითმპყრობელობის მიმართ, რევოლიუციას ბოლომდე ვერ გაჰყვებოდა, მისი საიმედო მოკავშირედ ვერ გახდებოდა. რევოლიუციის ოდნავ მაინც გაღრმავების პირობებში, ის მას უღალატებდა და შეურიგდებოდა მეფის გვირგვინს.

ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლიუციის მოხდენა, მისი ყველა საკითხის გადაჭრა, იყო მხოლოდ ორი: მუშათა კლასი და გლეხობა.

მუშათა კლასს, როგორც უფრო შეგნებულს და დარაზმულს, უნდა აელო ხელში რევოლიუციონურ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჰეგემონია, მაგრამ ყოველივე ეს მოითხოვდა მუშათა კლასის პოლიტიკურად აღზრდას და მის მომზადებას. ამისათვის საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის ავანგარდის, პოლიტიკური ორგანიზაციის—პარტიის შექმნა, პარტიას გარკვეული უნდა ჰქონოდა მოძრაობის პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხები. ყოველივე ამას წინ ეღობებოდა მაშინდელ მუშათა მოძრაობაში ფეხმოკიდებული მიმდინარეობა „ეკონომიზმის" სახელწოდებით.

4. „ეკონომიზმი"

„ეკონომისტებს" მუშათა კლასის მთავარ და თითქმის ერთად-ერთ ამოცანად მიაჩნდათ ბრძოლა მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მათ აღარ უნდოდათ მუშებში შეეტანათ შეგნება იმისა, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა გამომდინარეობს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ეკონომიური სისტემისაგან და რომ არსებული წესწყობილების ფარგლებში შეუძლებელია მათი მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება, „ეკონომისტები" მსგავსად საერთაშორისო რეფორმისტებისა, ბერნშტეინიანელებისა, აღარ ხედავდენ მუშათა კლასისათვის პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას.

„მუშათა კლასმა"—სწერდენ ისინი, „თავიანთი რიგებიდან უნდა განდევნოს ყველა ისინი, ვინც მას მოუწოდებს პოლიტიკური ბრძოლისაკენ, ისეთივე სიმტკიცით, როგორითაც ისინი სდევნიდენ თავიანთ წრიდან პროვოკატორებსო".

მათ არ ესმოდათ, რომ გარეშე პოლიტიკური ბრძოლისა, თვითმპყრობელობის დამხობისა, შეუძლებელი იყო ეკონომიური ბრძოლის წარმატებით წაყვანა. **„მუშათა კლასს—ეკონომიკა და ბურჟუაზიას—პოლიტიკაო".**—(„კრედო") სწერდენ ისინი.

„ეკონომისტების" შეხედულებებიდან ნათლად გამომდინარეობდა ურყევი დასკვნა იმის შესახებ, რომ მუშათა კლასს აღარ სჭირია არავითარი პოლიტიკური პარტია, რომ მისთვის საკმარისია მხოლოდ ეკონომიურ ორგანიზაციები: საგაფიცვო კომიტეტები, ურთიერთ დამხმარე სალაროები და სხვა ამგვ.

5. „ეკონომიზმი"-ს მასაზრდოებელი ნიადაგი

„ეკონომიზმს" ასაზრდოებდენ კლასიური შეგნებით ჩამორჩენილი მუშები (მაგ. სოფლიდან ახლად ჩამოსული გაღატაკებული გლეხები, რომელთაც თან მოჰქონდათ ილუზიები „ბატიუშკა" მეფის გულკეთილობაზე) და 90 წ.წ. ეკონომიური აღორძინება, რომლის პირობებში ხშირად გაფიცვები მუშების სასარგებლოდ თავდებოდა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ წინეთ, ეკონომიური მოძრაობა სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებით სულ უფრო მეტად ღებულობდა პოლიტიკურ ხასიათს და ამასთან ერთად „ეკონომიზმსაც —ეცლებოდა ნიადაგი.

საჭირო იყო „ეკონომიზმის სრული დაძლევა და „ლიკვიდაცია დაქუცმაცების, დაშლის და მერყეობის პერიოდის". ეს საპატიო ამოცანა წილად ხვდა ლენინის რევოლიუციონურ „ისკრა"-ს.

6. „ისკრა"

ა) **საერთო იდეები.** გაზეთი „ისკრა" იცავდა რევოლიუციონური მარქსიზმის იდეებს წინააღმდეგ მისი რეფორმისტული გადამახინჯებისა ეკონომისტების მიერ. თუ „ეკონომიზმი" იდეურად აიარაღებდა მუშათა კლასს და მის ბრძოლას საზღვრავდა ვიწრო ეკონომიურ, „ცეხური" ინტერესებით, „ისკრა" კი გულმოდგინეთ არკვევდა მუშათა კლასის ისტორიულ მისიას, მიზნებს და ამოცანებს. მან აღიარა პროლეტარული დიქტატურის ისტორიული აუცილებლობა, როგორც [illegible] პირობა სოციალისტური რევოლიუციის წარმატებისათვის. უახლოესი დროისათვის „ისკრა"-მ დასახა შემდეგი ამოცანები: თვითმპყრობელობის დამხობა და შეცვლა დემოკრატიულ რესპუბლიკით; 8 საათის სამუშაო დღე და აგრარულ საკითხის რევოლიუციონურად გადაჭრა. „ისკრამ" წამოაყენა გლეხობისათვის „ჩამონაჭრების" დაბრუნების მოთხოვნილება,—ე. ი. იმ მიწის დაბრუნება, რომელიც წინეთ გლეხების სარგებლობაში იყო და ჩამოერთვათ მათ. ყველა წამოყენებული პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად „ისკრა"-ს საჭიროდ მიაჩნდა მუშათა კლასში სათანადო შეგნების შეტანა და მისი თეორეტიული მომზადება მეცნიერული მარქსიზმის ნიადაგზე, რომ მეცნიერული სოციალიზმი შესისხლხორცებოდა მუშათა მასების მოძრაობას, რითაც ის უფრო ძლიერი გახდებოდა და თავს დააღწევდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ტყვეობას. მარტივად „ისკრელები" სავსებით იზიარებდენ მარქსისა და ენგელსის აზრს იმის შესახებ, რომ მუშათა კლასმა უნდა აწარმოოს ბრძოლა სამი მიმართულებით, სახელდობრ: პოლიტიკური, ეკონომიური და თეორიტიული.

„ეკონომისტები" მარქსისტული რევოლიუციონური თეორიის უარყოფით ხელს უწყობდენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გავრცელებას მუშათა კლასზე.

ბ) **ტაქტიკური შეხედულებანი.** „ისკრა"-ს შეხედულებით დემოკრატიული ელემენტების ხელმძღვანელობა რევოლიუციაში შეეძლო მხოლოდ მუშათა კლასს, ამისათვის მას უნდა ეწარმოებინა ყოველმხრივი რევოლიუციონური ბრძოლა, რომ ჩამდგარიყო დემოკრატიული მოძრაობის სათავეში.

„ისკრა" სარგებლობდა სხვადასხვა დემოკრატიული ელემენტების ყოველგვარი უკმაყოფილებით იმისათვის, რომ ნათელეყო ამ უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზის კავშირი თვითმპყრობელობასთან. ოპოზიციონურ ჯგუფებს „ისკრა" მიუთითებდა რევოლიუციონურ გზისაკენ, როგორც განთავისუფლების ერთად-ერთ საშუალებაზე.

ბურჟუაზია კი იმ თავითვე იჩენდა გადამეტებულ ზომიერებას და არ მიდიოდა წვრილი რეფორმების მოთხოვნის იქით. „ისკრა" ამღავნებდა ლიბერალური ბურჟუაზიის მშიშარობას, გაუბედაობას და გადაჭარბებულ მერყეობას.

პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოკავშირეთ „ისკრა" სახავდა გლეხობას, ვინაიდან **„გლეხობა დარჩა დაბალწოდებად, ცემა-ტყეპის საგნათ, იხდიდა განსაკუთრებულ ხარჯს და არ შეეძლო თავისუფლად მოეხმარა თავისი მიწა და თავისუფლად დასახლებულიყო სახელმწიფოს იმ კუთხეში, სადაც მას მოესურვებოდა".** „ისკრა" სწერდა, რომ გლეხობის შეგნებაზეა დამოკიდებული რევოლიუციის მსვლელობა და დაბოლოვება. ლენინის აზრით რევოლიუციონური სოც.-დემოკ. ამოცანას შეადგენდა, რათა გლეხობისათვის თვალსაჩინოთ დაენახვებინა, რომ მისი ყვლეფა მემამულეების მიერ ემყარება თვითმპყრობელურ მთავრობაზე, რომ მას შეუძლია თავი დააღწიოს ჩაგვრას მხოლოდ მაშინ, თუ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ის მიიტანს სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშს თვითმპყრობელურ წესწყობილებაზე.

გ) **ორგანიზაციული გეგმა.** რათა მუშათა კლასს წარჩინებით შეესრულებინა თავისი რევოლიუციონური ამოცანები, როგორც დემოკრატიული მოძრაობის ჰეგემონისა, მას თავის მხრივ სჭიროდა ხელმძღვანელი პარტია. ამიტომაც „ისკრა" თავგამოდებით იბრძოდა მტკიცე და ცენტრალიზაცია ქმნილ პარტიის შექმნისათვის. მაგრამ, სანამ ასეთი პარტია შეიქმნებოდა, საჭირო იყო საერთო შეხედულებათა გამომუშავება პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში. ამიტომაც ამბობდა ლენინი, რომ „იდეური მთლიანობის გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციული მთლიანობაო", ე. ი. პარტიის შექმნა. „ეკონომისტები პარტიის შექმნაში ხედავდენ „აზრთა" და კრიტიკის თავისუფლების დახშობის საშიშროებას. ამაზე მათ უპასუხებდა „ისკრა", რომ სოც.-დემ. არ არის სამეცნიერო აკადემია; „აზრთა თავისუფლებაზე" ზედმეტია საუბარი მიტომ, რომ პარტია ისედაც თანამოაზრეთა თავისუფალი კავშირია; თუ არ არსებობენ საერთო შეხედულებანი და გამაერთიანებელი აზრები, ისე ყოვლად შეუძლებელია „აზრთა თავისუფლების" ნიშნის ქვეშ პარტიაში მიღებულ იქნან ისეთი წევრები; რომლებიც არ იზიარებენ მის შეხედულებებს და მით ხელს უშლიან მას მთლიანობის შექმნაში და ერთსულოვან ბრძოლაში.

„ისკრა"-ში იქნა გამოქვეყნებული ლენინის ორგანიზაციული გეგმა. ლენინის აზრით დაქსაქსულ და შეუკავშირებელ წრეების მაგიერ ქალაქებში უნდა შექმნილიყო პარტიული კომიტეტები და შემდეგ ძირითადი პარტიული ორგანიზაციები (უჯრედები). ამ არალეგალურ ორგანიზაციების გარშემო მათი ხელმძღვანელობით და კონტროლით უნდა შექმნილიყო მუშათა მასიური ორგანიზაციები, რასაკვირველია, ზედმეტი იყო ლაპარაკი ფართო დემოკრატიზმის შესახებ, რომელსაც ასე აღმერთებდენ „ეკონომისტები" ფართო დემოკრატიზმი თვითმპყრობელობის სუსხი რეაქციის პირობებში წარმოადგენდა ცარიელსა და მავნე ილუზიებს, ვინაიდან ამით პოლიციას მიეცემოდა საუკეთესო საშუალება რევოლიუციონური მოძრაობის დასაუძლურებლად,. მისი საუკეთესო მუშაკების დატუსაღებით და ციხეებში მოთავსებით, კატორღაში გადაგზავნით და სიკვდილით დასჯითაც.

ლენინის გეგმით პარტია უნდა ყოფილიყო აშენებული მკაცრი ცენტრალიზაციისა და კონსპირაციის საფუძველზე მომუშავეთა შორის ფუნქციების სასტიკი დანაწილებით. ორგანიზაციაში თავი უნდა მოეყარა ისეთ პირებს, რომლებიც თავის ერთად ერთ საქმედ გაიხდიდენ რევოლიუციას. **„მოგვეცით მე პროფესიონალური რევოლიუციონერების ორგანიზაცია,—სწერდა ლენინი—„და მე გადავატრიალებ თვითმპყრობელობასო".**

„გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია", სწერდა ლენინი—**„იგივე ამავე დროს კოლექტიური ორგანიზატორია".** სამი წლ. ენერგიული მუშაობით მართლაც „ისკრა" გადაიქცა იმ ორგანიზაციულ ცენტრად, რომლის გარშემო მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე იკრიბებოდა და ირაზმებოდა პარტია. მან მოამზადა მეორე ყრილობა და დიდი დამსახურებით წარსდგა მის წინაშე.

7. უთანხმოებანი „ისკრა"-ს რედაქციაში

„ისკრას" რედაქცია შესდგებოდა, ერთის მხრით „პეტროგრადის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" წარმომადგენლებისა (ლენინი, მარტოვი, პოტრესოვი) და მეორეს მხრივ, „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" წარმომადგენლებისაგან (პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი).

„ისკრას" რედაქციის შიგნით სწარმოებდა გაცხარებული კამათი პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხების გარშემო წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ.

ა) **უთანხმოებანი საერთო პროგრამულ საკითხებში.** რედაქციაში იყო წარმოდგენილი პროგრამის ორი პროექტი—ლენინისა და პლეხანოვის. ლენინის პროექტში გარდა იმისა, რომ ის მკაფიოდ იძლეოდა რუსეთის კაპიტალიზმის კონკრეტულ ანალიზს, მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პროლეტარიატი არის ერთად ერთი რევოლიუციონური კლასი და ის უნდა იქნეს ცნობილი რევოლიუციონურ მოძრაობის ჰეგემონად, რომელმაც უნდა გაიყოლიოს წვრილ მწარმოებელთა მასები. პირველ რიგში მშრომელი და ბურჟუაზიის და მემამულეების მიერ ექსპლოატაციქმნილი გლეხობა.

პლეხანოვის პროექტში პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხი არ იყო საკმარისად გაშუქებული. ბრძოლა სოციალიზმისათვის იყო გამოცხადებული „მშრომელთა და გაყვლეფილთა მასების საქმეთ". თვით „საერთაშორისო სოც.-დემოკრატია იყო აღიარებული საერთოდ მშრომელი მასების და არა მხოლოდ მათი ხელმძღვანელი მუშათა კლასის პარტიათ. ამას გარდა პროგრამა იყო შედგენილი განყენებულად, აკადემიურად. ამაზე ლენინი ამბობდა შემდეგს: „ეს არ არის მებრძოლი პარტიის პროგრამა; ეს პროგრამა შედგენილია მოწაფეთათვის, და მასთან პირველი კურსის მოწაფეთათვის, სადაც მსჯელობენ კაპიტალიზმზე საერთოდ... და არა რუსეთის კაპიტალიზმზე". ლენინის წინადადებით სათანადო შესწორების შემდეგ პლეხანოვმა მეორეთ წარმოადგინა პროგრამის პროექტი, სადაც მან გამორიცხა (რაც არ იყო შემთხვევითი) საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელიც შემდეგ ლენინის წინადადებით იქნა აღდგენილი. პლეხანოვის პროექტი პრინციპიალურ შესწორებათა შეტანის შემდეგ მიღებულ და გამოქვეყნებულ იქნა „ისკრას" რედაქციის სახელით.

X)ბ. **უთანხმოებანი აგრარულ საკითხში.** აგრარული პროგრამის პროექტი იყო შემუშავებული ლენინის მიერ. „ჩამონაჭრების" გლეხებზე დაბრუნების შესახებ წამოყენებულ იდეას რედაქცია სავსებით იზიარებდა. სამაგიეროთ ცხარე დავა ასტყდა მიწის ნაციონალიზაციის საკითხის გარშემო, რომლის შესახებ ლენინი სწერდა, რომ **„ჩვენ თავის დროზე არ ვიტყვით უარს მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის წამოყენებაზეო"**. ლენინს „ჩამონაჭრების" გლეხებზე დაბრუნება მიაჩნდა აგრარულ მოძრაობის სულ უახლოეს ამოცანად; შემდეგ კი სოციალ-დემოკრატიას უნდა წამოეყენებინა მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგი, რომელიც სავსებით მოსპობდა ბატონ-ყმობის ყოველგვარ ნაშთებს.

რადგანაც რედაქციის უმრავლესობა გამოვიდა ნაციონალიზაციის იდეის წინააღმდეგ (აქსელროდმა ნაციონალიზაცია ანტირევოლიუციონურ მომენტად მონათლა), ეს ადგილი პროგრამიდან იქმნა სავსებით ამოღებული, პროექტი ლენინისათვის მისაღები სახით იქმნა დამტკიცებული.

გ. **უთანხმოებანი ტაქტიკურ საკითხებში.** ლიბერალურ მოძრაობას ლენინი აფასებდა, როგორც არა მნიშვნელოვან რევოლიუციონურ ფაქტორს. ლენინი დაჟინებით ამჟღავნებდა ლიბერალური მოძრაობის მეტის მეტ ზომიერებას, მშიშარობას და გაუბედაობას. ასეთი ტონი და ტაქტიკა ლიბერალების მიმართ არ მოსწონდა რედაქციის ზოგიერთ წევრებს, მაგ.: აქსელროდი უფრო ადრე ჯერ კიდევ 90 წ. წ. სწერდა, რომ „რუსეთის ისტორიულმა განვითარებამ მოამზადა ბურჟუაზიის ჰეგემონია აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო",—და მოუწოდებდა მუშებს, რათა მათ თავიანთი რევოლიუციონური გატაცებით არ დაეშინებინათ ლიბერალური ბურჟუაზია და არ გაედევნათ მთავრობის მხარეზე.

დ. **აზრთა სხვაობა ორგანიზაციულ საკითხში.** როგორც ზევით არის აღნიშნული ლენინი მომხრე იყო მტკიცე, ცენტრალიზაციაქმნილ, პროფესიონალურ რევოლიუციონერებისაგან შემდგარ არალეგალური პარტიის შექმნისა. აქსელროდი კი უკიდურესი მომხრე იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის და ლენინის ორგანიზაციული გეგმას ცენტრალიზაციაქმნილი და კონსპირატიულ პარტიის დაარსების შესახებ აცხადებდ „იაკობინურ" იდეებათ. თავისთავად ცხადია, რომ ბურჟუაზიულ ჰეგემონიის დაცვისაგან გამომდინარეობდა აქსელროდის მიერ მუშათა კლასის პარტიის იმგვარად ჩამოყალიბების უარყოფა, რომელიც საჭირო იქნებოდა იმისათვის, რომ მუშათა კლასს შეესრულებია ჰეგემონის როლი. მიუხედავათ იმისა, რომ უთანხმოებანი ხშირად ისეთ გამწვავებას იწვევდენ, რომ „ისკრა"-ს რედაქცია სამჯერ იდგა განხეთქილების საფრთხის წინაშე, (1900, 1901, 1902 წ. წ.). ლენინის მეოხებით „ისკრა" მაინც ინარჩუნებდა რევოლიუციონურ ტონს, და მისი უთანხმოებანი არ სცილდებოდენ რედაქციის ფარგლებს; ისკრელები გამოდიოდენ მთლიანი ფრონტით. თუმცა „ისკრა" ოსტატურად იბრძოდა რუსეთისა და საერთაშორისო რეფორმიზმის წინააღმდეგ. მისი ერთი ნაწილი თვითონვე აკეთებდა, ჯერ მხოლოდ ჩანასახებში რეფორმისტულ საქმეებს. რევოლიუციონურ „ისკრა"-ს რედაქციის წრიდან, რომელიც მთლიანად იბრძოდა მენშევიზმის წინამორბედ ეკონომიზმის წინააღმდეგ, გამოვიდენ მენშევიზმის იდეური მამები. **ამ რიგად რევოლიუციონური „ისკრა"-ს რედაქციაში უკვე ჩაისახა ორი ტაქტიკური ორგანიზაციული და იდეური ხაზი: ბოლშევიკური და მენშევიკური.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტ. საპრ. და ბეჭდვითი განყოფილება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

„მსუბუქი კავალერია“

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. — „მსუბუქი კავალერია“ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის პირველი რაზმია.— „მსუბუქი კავალერია“ შეტევაზე გადადის ბიუროკრატიზმის, ვოლოკიტის, პროტექციონიზმის და საბჭოთა აპარატის სხვა მახინჯ მხარეების წინააღმდეგ. —მაქსიმალური ყურადღება მის მუშაობას

კარგი დასაწყისი

ბრძოლა, რომელსაც ჩვენი პარტია და ხელისუფლება აწარმოებს ბიუროკრატიზმის და ვოლოკიტის წინააღმდეგ, ბრძოლა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისა და განმტკიცებისათვის შეუძლებელია სწარმოებდეს პარტიულ და უპარტიო მშრომელ მასსების ფართო მონაწილეობის გარეშე.

ამ ბრძოლაში მშრომელ მასსების ჩაბმის საკითხი არა ერთხელ ყოფილა განხილული. თვითკრიტიკის ლოზუნგი, რომელიც პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დააყენეს დღის წესრიგში, „თვითკრიტიკა ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით“,—ერთ-ერთი საშუალებათაგანია ბიუროკრატიზმთან და სხვა მავნე გადახრებთან ბრძოლაში მუშებისა და გლეხების ფართო ფენების ჩაბმისათვის.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ ლოზუნგმა აამოძრავა მშრომელები სოფლად და ქალაქად, მიუხედავათ იმისა, რომ კრიტიკა ქვევიდან თანდათანობით უფრო ჯანსაღი, ძლიერი და კონკრეტიული ხასიათის მატარებელი ხდება, —ბოროტმოქმედებათა ცალკე შემთხვევებთან ბრძოლის საქმეში მშრომელთა ფართო ფენების უშუალოდ, პრაქტიკულად ჩაბმის დარგში. ჩვენ ჯერჯერობით მაინც ძალიან ცოტა გვაქვს გაკეთებული.

„ჩვენი მიზანია, რათა ყოველი მშრომელი ჩაებას სახელმწიფო მოვალეობათა უფასოთ შესრულების საქმეში, მას შემდეგ რაც ის თავის განსაზღვრულ, 8 საათის ნაყოფიერ მუშაობას მორჩება; ამ მდგომარეობაზე გადასვლა ფრიად ძნელია, მაგრამ სწორედ ეს არის სოციალიზმის საბოლოო განმტკიცების საწინდარი“. ასე სწერდა ლენინი ამ ათი წლის წინეთ.

ამჟამად ნაწილობრივ დაწყებულია ეს მუშაობა, მუშაობა, რომელიც მიზნათ ისახავს „მშრომელის ჩაბმას სახელმწიფოებრივ მოვალეობის უფასოდ ასრულებაში, მას შემდეგ რაც ის მორჩება განსაზღვრულ, რვა საათის ნაყოფიერ მუშაობას“.

ლენინის ზემოდმოყვანილ წინადადებას ყველაზე უწინ ლენინური კომკავშირი გამოეხმაურა. ა. ლ. კომკავშირის უკანასკნელ ყრილობაზე გადაწყდა საკითხი კომკავშირულ ახლზრდობისაგან მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე, ეგრედწოდებულ „მსუბუქი კავალერიის“ ორგანიზაციის შესახებ.

ყრილობის ამ დადგენილების შესრულებას საქართველოს კომკავშირიც შეუდგა. თბილისის ორგანიზაციაში უკვე დაწყებულია მუშაობა „მსუბუქ კავალერიის“ რაზმების ჩამოსაყალიბებლად. განზრახულია ამ რაზმების დაარსება მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებთან, უჯრედებთან და დაწესებულებებთან. ისინი დაეხმარებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციას მძიმე და რთულ მუშაობის შესრულებაში.

ამ რაზმების დანიშნულებისა და ამოცანების შესახებ ჩვენ დღეს ვათავსებთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ა. ლ. კომკავშირის ცეკას მუშაკების განმარტებას. ჩვენ გვინდა საკითხის მეორე მხარეს მივაქციოთ ყურადღება. „მსუბუქ კავალერიას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა, ის მხოლოდ მაშინ მოგვიტანს სარგებლობას, თუ მისი მუშაობა სათანადო გეგმის მიხედვით იწარმოებს და აგრეთვე, თუ ის უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ხელმძღვანელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველ შედეგის მიღწევა ძნელი იქნება. ეს გარემოება ამ თავითვე უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.

არ უნდა დავივიწყოთ ამხ. სტალინის გაფრთხილება: „მსუბუქი კავალერია“ „მსუბუქ აზროვნების კავალერიათ“ არ უნდა გადაიქცეს.

„მსუბუქი კავალერია“ პირველ რიგში თბილისში მოეწყობა, შემდეგ ის საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებშიაც იქნება ჩამოყალიბებული. ბიუროკრატიზმის და საბჭოთა აპარატის სხვა მავნე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალი, ცოცხალი და მომქმედი ძალა იბმება. საჭიროა ყოველგვარ ზომების მიღება იმისათვის, რომ ეს ძალა მაქსიმალური ნაყოფიერებით იქნეს გამოყენებული.

ვ. ბ—ძე.

სად მოეწყობა „მსუბუქი კავალერია“

თვითკრიტიკის კამპანიის გასაღრმავებლათ და სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოების მიზნით კომკავშირი აწყობს „მსუბუქ კავალერია“-ს, რომელიც იმუშავებს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან. „მსუბუქი კავალერიის“შესახებ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს: „მსუბუქი კავალერია“ ეწყობა კომკავშირის გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს და „ახალგაზრდა ლენინელი“-ს ინიციატივით. ეს ორგანიზაცია ნებაყოფლობითია და მის მიზანს შეადგენს დახმარება აღმოუჩინოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას. „მსუბუქი კავალერიის“ რაზმები მოეწყობა წარმოებების, ფაბრიკა - ქარხნების, სამქროების და დაწესებულებების უჯრედებთან.

„მსუბუქი კავალერიის“ სახელმძღვანელოთ ამიერ კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან დაარსებული იქნება ხუთეული, რომელშიაც შევლენ ამიერკავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, კომკავშირის თბილისის კომიტეტის, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს და „ახალგაზრდა ლენინელის“ წარმომადგენლები. ხოლო რაიონული რაზმების სახელმძღვანელოთ კომკავშირის რაიკომებთან შექმნილი იქნება განსაკუთრებული სამეულები. „მსუბუქი კავალერიის“ რაზმების პრაქტიკული საქმიანობა უნდა გამოიხატოდეს შემდეგში: რაზმის წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ საჩივრების წიგნებში და ყუთებში შეტანილ საჩივრების დაჩქარებით გარჩევას, ამ საჩივრებზე პასუხის დაჩქარებით გაცემას და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას; მათ უნდა აწარმოონ გამოკვლევა გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებზე; იმ დაწესებულებებში რომლებიც უმთავრესად ემსახურებიან ფართო მასას (შრომის ბირჟა, დამზღვევი სალარო, ამბულატორია და სხვ). რაზმების წევრებმა თვალყური უნდა ადევნონ თუ რამდენათ თავის დროზე მოდიან სამსახურში მუშა - მოსამსახურეები, როგორ ექცევიან მთხოვნელებს და სხვ. რაზმებმა თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე რამდენათ სრულდება ადგილებზე მთავრობის დავალებები და სამრეწველო თათბირების დადგენილებები. ამჟამად უკვე ჩამოყალიბებულია რაზმები ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის კომკავშირელ სტუდენტებისაგან და ბეჭდვითი საქმის მუშაკებისაგან, რომლებიც ჯერ ჯერობით არჩევენ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შემოსულ საჩივრებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ჯერ ჯერობით სუსტათ არიან ჩაბმული „მსუბუქ კავალერიის“ მუშაობაში, მათ კი ამ საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლიათ.

კომკავშირის ორგანიზაციებიდან ცენტრს მისდის ცნობები, რომ კომკავშირის მასა ადგილებზე უკვე შეუდგა რაზმების მოწყობას. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას განზრახული აქვთ ამ დღეებში გამოუშვან მოწოდება კომკავშირელებისადმი, რის შემდეგაც ეჭვს გარეშეა „მსუბუქი კავალერიის“ რიგები ბევრათ გაფართოვდება.

როგორ იმუშავებს „მსუბუქი კავალერია“

ჩვენ თანამშრომელს ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში განუმარტეს, თუ როგორ აპირებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია „მსუბუქ კავალერიის“ გამოყენებას, — წარსული მუშაობის გამოცდილებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ბიუროკრატიზმის და სხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა ვერ მოგვცემს დიდ ნაყოფს, თუ იგი მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აწარმოვა მხოლოთ თავისი აპარატის საშუალებით.

უწყება - დაწესებულებებზე და ცალკე მუშაკებზე ზედამხედველობის სისრულის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუშა - მოსამსახურეთა ნებაყოფლობითი მასიური კანტროლი. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა კომუნისტურ ახალგაზრდობა კავშირმა, რომელმაც სპეციალურათ ამ მიზნით მოაწყო „მსუბუქი კავალერია“. ეს ორგანიზაცია უკვე შეუდგა მუშაობას და თუმცა იგი ჯერ ისევ საორგანიზაციო პერიოდში იმყოფება, მაინც ბევრათ განტვირთა საქმეებისაგან მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი. რასაკვირველია ამ ორგანიზაციას ჯერ დიდ მოთხოვნილებებს ვერ წავუყენებთ. ჯერ - ჯერობით კომკავშირელები, ჩვენი ინსპექტორების ხელმძღვანელობით, აწარმოებენ მხოლოთ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შემოსულ საჩივრების განხილვას.

განზრახული გვაქვს ახლო მომავალში „მსუბუქი კავალერიის“ ძალებით ჩავატაროთ საჩივრების წიგნების, დამზღვევ სალაროების, კოოპერაციის და სხვა დაწესებულებების მასიური გამოკვლევა. ერთი სიტყვით „მსუბუქი კავალერიის“ ამოქმედების შემდეგ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ზედამხედველობის საქმე ბევრათ გაუმჯობესდება „მსუბუქი კავალერია“ თავის ყოველ დღიურ მუშაობაში ახლო იდგომება ჩვენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, შეისწავლის მათ და ამ რიგათ თანდათანობით შემუშავდება თანამედროვე სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდა მუშაკთა კადრები.

რასაკვირველია, ბევრი რამ არის დამოკიდებული „მსუბუქი კავალერიის“ მუშაკების კეთილ სინდისიერებაზე, მაგრამ პირველ დღეებში ჩატარებული მუშაობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მსუბუქი კავალერია დიდ დახმარებას აღმოუჩენს მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

ჩვენ გვჯერა, რომ კომკავშირულ მასის მუშაობა კანტროლის საქმეში არ შემოიფარგლება ცენტრით, რომ ეს მუშაობა ფართედ გაიშლება პერიფერიაშიაც.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში (გრიბოედოვის ქ. № 19), გეგმათა გარეშე ინსპექციის შენობაში შემოღებულია „მსუბუქი კავალერიის“ ბიუროს წევრების ყოველდღიური მორიგეობა, მორიგეობა სწარმოებს დღის 12-დან—2½ საათამდე.

სტაჟისა და პრაქტიკის მდგომარეობა თბილისის წარმოება-დაწესებულებებში

(გამოკვლევის შედეგები)

სპეციალისტთა ახალი, სათანადო კვალიფიკაციის მატარებელ კადრის საკითხი დასმულია პარტიისა და ხელისუფლების პირველ ხარისხოვან ამოცანათა შორის. მთელ რიგ თათბირების, დისკუსიების და კამპანიების ჩატარების შემდეგ, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობდენ ასეული დაინტერესებულ სამეურნეო დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლის მუშაკები, პროფესიონალური და სტუდენტთა ორგანიზაციები, —ჩვენ გვაქვს ახალი სპეციალისტთა მომზადების საქმის რაციონალურ დაყენების შესახებ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის ამომწურავი რეზოლიუცია. სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, რეზოლიუცია ამ მიზნისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლეს სასწავლებლების სამოსწავლო მუშაობის დაკავშირებას მეურნეობის სხვადასხვა დარგების საწარმოო პროცესებთან, ისე, რომ ამ კავშირს ჰქონდეს მუდმივი და ორგანიული ხასიათი. ამ ამოცანის გადაჭრა გულისხმობს საწარმოო პრაქტიკის და სტაჟის მიზანშეწონილ ორგანიზაციას. ამ წერილის მიზანია გააცნოს მკითხველთ შედეგები უმაღლეს სასწავლებლების და ტეხნიკუმების პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების მუშაობის პირობების გამოკვლევისა, რომელიც ჩატარებული იქნა საქ.პროლეტ. სტ. ცენტბიუროს დადგენილებით ა.-წ. 7-15 ივლისამდე, ქალაქ თბილისის მთავარ წარმოება- დაწესებულებებში. გამოკვლევა ჩატარდა 29 წარმოება- დაწესებულებაში და შეეხო 363 პრაქტიკანტს და 132 სტაჟიორს.

1 წარმოება -დაწესებულებებში პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების მიღება

ამ მიმართულებით გამოკვლევის მასალებით შემჩნეულია შემდეგი არა ნორმალური გარემოებანი:

ა) ზოგიერთ წარმოება- დაწესებულებებს არა ჰყავთ სავალდებულო რაოდენობა პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების იმ ნორმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს 1926 წ. 14 ივლისის დადგენილებაში პრაქტიკისა და სტაჟის გავლის წესის შესახებ. (საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი, იუსტიციის კომისარიატი, თბილისის ქალაქის აღმასკომი, მუშკოოპი, სას.- სამეურნეო კოოპერაცია და სხვა). გარდა ამისა ყოფილა შემთხვევა, როდესაც წარმოება -დაწესებულებებმა უარი განაცხადეს სავსებით სტაჟიორების და პრაქტიკანტების მიღებაზე.

ბ) მთელი რიგი წარმოება -დაწესებულებაში ახდენენ პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების მიღებას განათლების კომისარიატის გარეშე— პროტექციონიზმის „პრინციპის“ მიხედვით, აშკარად მიღებულ სტუდენტებს, რომლებიც უმთავრესად არიან 1—2 კურსიდან არ გააჩნიათ არავითარი აკადემიური მითითებანი პრაქტიკისა და სტაჟის გავლის შესახებ უმაღლეს სასწავლებლებიდან და ამრიგათ იმყოფებიან ყოველგვარ პასუხისმგებლობის გარეშე. ამ უკანასკნელთა მიმართ.

გ) საქ. შრომის კომისარ. არსებული საუწყებათაშორისო კომისია არ ახდენს პრაქტიკისა და სტაჟის ყველა იმ ადგილების აღრიცხვას, რომლებიც გააჩნიათ ზოგიერთ წარმოება- დაწესებულებებს. ასე, მაგალითად, 1927—28 სამოსწავლო წელს არ ყოფილა პრაქ. და სტაჟ. ადგილები სრულიად აღნუსხული, სახ. ოპერაში და თბილისის დრამის თეატრებში სამხ. აკადემიის და კონსერვატ. სტუდენტთათვის.

2. პრაქტიკისა და სტაჟის გავლის წესი

გამოკვლეული წარმოება- დაწესებულებებიდან სპეციალური პრაქტიკისა და სტაჟის გავლის წესი, რომელიც შემუშავებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად, გააჩნია მხოლოდ: თბილისის მთავარ სახელოსნოებს, კამოს სახელობის საავადმყოფოს, იუსტიციის კომისარიატს და წყალსადენს. მაგრამ ეს წესი ატარებს წმინდა ფორმალურ ხასიათს და მოკლებულია შესრულების შემოწმებას და კონტროლს. ამიერ- კავკასიის რკინისგზათა დაწესებულებებში კონტროლის უქონლობას მივყევართ ისეთ მდგომარეობამდე, რომ ადმინისტრაციამ არ იცის, რა უნდა აკეთოს პრაქტიკანტებს შორის. პრაქტიკანტები დადიან უსაქმოთ. ზოგიერთ შემთხვევებში კი არ ცხადდებიან სამუშაოზე. დანარჩენ დაწესებულებებსა და წარმოებებს, პრაქტ. და სტაჟის გავლის წესი არა აქვთ. ნაწილობრივ, სადაც პრაქ. და სტაჟიორებს წარმოება- დაწ. აძლევენ ხელფასს, შემჩნეულია პრაქტიკოსების გამოყენება წარმ.- დაწესებულებათა სამეურნეო მიზნებისათვის,— სტაჟიორთა აკადემიური მიზნების საზიანოთ. „26“ სახ. ქარხანაში სტაჟიორი მუშაობს დაზგასთან და ასრულებს მუშებთან ერთად გამომუშავების ნორმას, რის გამო დღემდე არა აქვს საშუალება გაეცნოს თავის სპეციალობის სათანადო ცეხს. იქვე საინჟ. ფაკულტ. სტუდენტი სტაჟიორი რამოდენიმე კვირის განმავლობაში მუშაობდა მოანგარიშის თანამდებობაზე.

გარდა იმისა, რომ არ არსებობს თვით წარმოება- დაწესებულების მხრივ გამომუშავებული სპეციალური წესი პრაქტიკისა და სტაჟის გავლის შესახებ, ასეთი არ გააჩნიათ აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლების ზოგიერთ ფაკულტეტიდან (მაგ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი) პრაქტიკაზე მიმავალ სტუდენტებს. ეს აიხსნება იმით, რომ უმაღლესი სასწავლებლების გამგეობა და დეკანატები არ უყურებენ პრაქტიკისა და სტაჟის გავლის საკითხს, როგორც სამოსწავლო გეგმების და პროგრამების აუცილებელ ნაწილს.

3. ხელმძღვანელობა

თანახმად შრომის სახ. კომისარიატის აღნიშნულ ინსტრუქციისა, ზოგიერთ წარმოება- დაწესებულებებს გააჩნიათ თავიანთ ადმინისტრატიულ -ტეხნიკური პერსონალიდან გამოყოფილი ხელმძღვანელები პრაქტიკანტთა და სტაჟიორთა შორის მუშაობის გასაწევად. მაგრამ ხელმძღვანელები კმაყოფილდებიან მხოლოდ წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის პრაქტიკანტების და სტაჟიორების განაწილებით და ზოგადი დირექტივების მიცემით იმ პირებისათვის, რომელთა განკარგულებაში გადადიან პრაქტიკანტები და სტაჟიორები. ამგვარად უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრება დაბალ ტეხნიკურ პერსონალს, ან და იმ სპეციალისტებს, რომლებთანაც მუშაობენ პრაქტიკანტები. ხელმძღვანელობის კონტროლი და შემოწმება ადმინისტრაციის მხრივ არ არსებობს. მაგალითები— ტეხნიკურ ხელმძღვანელების ყურადღებითი დამოკიდებულებისა პრაქტიკანტების მიმართ ძალიან ცოტაა (კონსტრუქტიული განყოფილება ლითონტრესტის), გამონაკლისს შეადგენს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და ქ. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების დაწესებულებანი, რომელთა პრაქტიკანტები და სტაჟიორები უზრუნველყოფილი არიან ხელმძღვანელობით— სათანადო ექიმების მხრივ. უმთავრეს შემთხვევებში კი ხელმძღვანელობა არის ფორმალური, სტუდენტებს უპასუხებენ, როდესაც ისინი ეკითხებიან, მაგრამ წარმოების სისტემატიური და ყოველმხრივ გაცნობის საშუალებას ხელმძღვანელი პერსონალი არ იძლევა.

4. ფაბქარხკომების და ადგილკომების მუშაობა

საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს დებულების მიხედვით (გაზ. „ტრუდ“—„1928 წ. 26 ივნისი) ფაბქარხკომებმა და ადგილკომებმა უნდა მოახდინონ ჩამოყალიბება პრაქტიკანტების და სტაჟიორების ორგანიზაციის და მათგან გამოყოფილ „სტაროსტას“ უნდა აღმოუჩინონ დახმარება მის მუშაობაში. ა.-კ. რკინის გზების დაწესებულებებში მხოლოდ სტუდენტთა დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ ასეთი „სტაროსტები“ გამოყოფილი იქნენ ადგილკომების მიერ, მაგრამ ინსტრუქციას არ ღებულობენ, არ იცნობენ თავიანთ მოვალეობებს და სტუდენტთა ყოველდღიურ შეკითხვებს ვერ აკმაყოფილებენ. უფრო მცირე წარმოებებში და დაწესებულებებში ფაბქარხკომები და ადგილკომები პრაქტიკანტებს და სტაჟიორებს არ აქცევენ არავითარ ყურადღებას (ფაბქარხკომი „26“-ს), მათ არ აინტერესებთ მათი მდგომარეობა, არ აბამენ მათ საზოგადოებრივ, კულტურულ- განმანათლებელ მუშაობაში და საწარმოო თათბირებში. პრაქტიკანტები თავიანთ მხრივ არ „აწუხებენ“ ფაბქარხკომებს და ადგილკომებს. ამგვარ მდგომარეობის შექმნაში ბრალი მიუძღვის აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებს, ცალკე ფაკულტეტებს და დეკანატებს, რადგან პრაქტიკისა და სტაჟის ადგილებზე სტუდენტების გამგზავრების წინ არ აძლევენ მათ ახსნა -განმარტებას —მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

გარდა ჩამოთვლილ ძირითად დაფექტებისა, აღნიშნულია კიდევ გამოკვლევის პროცესში აუარებელი ფაქტები, რომლენიც ამახინჯებენ სავსებით საწარმოო პრაქტიკისა და სტაჟის შინაარსს და აქცევენ მას ზაფხულის პერიოდში სტუდენტთა მხოლოდ მცირეოდენ ფულადი შემოსავლის წყაროთ. ეს ნაკლოვანებები უნდა აღმოიფხვრას. საწარმოო პრაქტიკას და სტაჟს უნდა მიეცეს თავისი აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაცვლად წარმოებასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის კავშირის დამყარებისა, ჩვენ გვექნება მხოლოდ უბრალო დროის გაცდენა სტუდენტობის მიერ. რომლებიც ისედაც დატვირთული არიან უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობით.

ს. გაჩენავა.

მილიციის რიგები უნდა გაიწმინდოს

მილიციის გაჯანსაღების საქმეში თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მოეწყო მილიციის მუდმივი სკოლა, რომელიც წელიწადში 120 გამოწვრთნილ და მომზადებულ თანამშრომელს უშვებს, მოწყობილია ყველა სამილიციო კუთხეები, მოეწყო ტირი, „ავიაქიმი“-ს კურსები, სხვადასხვა წრეები, სწარმოებს მეცადინეობა სამხედრო და სპეციალურ საგნებში და სხვა.

მაგრამ მილიციის გაჯანსაღებისათვის მარტო ეს როდი კმარა. თვითეულ თანამშრომელს, საერთო განვითარების გარდა, უნდა ახასიათებდეს ზნეობრივი სიმტკიცე და საქმისადმი სიყვარული. ამ მხრივ ყველაფერი ვერ არის რიგზე. მილიციაში არიან ჯერ კიდევ ისეთი პირები, რომლებიც შეგნებულათ ბოროტათ იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, ცდილობენ აარიდონ თავი სამსახურს, ჩაიდინონ რაიმე სისაძაგლე, ჩირქი მოსცხონ მილიციის რიგებს. მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს. მე-11 რაიონის უფროსი თანამშრომელი —ყოფილი კურსანტი გედევანიშვილი მთვრალი შევიდა ვერის ბაღში, ასტეხა ჩხუბი, მიაყენა შეურაცყოფა მოქალაქეს, აგინა ვინც კი შეხვდა უშვერი სიტყვებით და სხვა; მე-11 რაიონის უფროსმა თანამშრომელმა შაბაიანცმა ფუნიკულიორზე ქალი მოსტაცა მოქალაქეს და განიზრახა მისი გაუპატიურება; მე-11 რაიმილიციის თანამშრომელი შარუხია გაილეშა და ქუჩაში ასტეხა ჩხუბი; სისხლის სამართლის მილიციის მილიციელები (კარის კაცები) ბარსეგოვი და იანბეგოვი მთვრალი მივიდენ სასტუმრო ეუნეყაში და დაიწყეს მოწმების გასინჯვა; მილიციელი ბახტაძე თავის თავს უწოდებდა „ჩეკის აგენტს“,აშინებდა.როგორც მის ამხანაგ თანამშრომელს, ისე მოქალაქეებსაც, უდიერათ და უხეშათ ექცეოდა მათ და სხვა.

ვინ არიან ეს პირები?

ეს ის პირებია, რომლებსაც დროებით თავშესაფარათ მიაჩნიათ მილიციაში სამსახური და გარეთ იყურებიან; ეს ისეთი პირებია, რომელთაც არც ერთ საბჭოთა დაწესებულებაში არ უნდა ჰქონდეთ ადგილი.

არიან კიდევ ასეთი პირები, თუ არა ჩვენი მილიციის რიგებში? ეჭვს გარეშე არიან, აი მაგალითიც: მოქ. ჯაჯიაშვილი ყოფ. პოლიციელია. თავის დროზე მას გლეხებმა სცემეს. მენშევიკების დროს ის კომისრათ ბრძანდებოდა. დღეს კი უფროს თანამშრომლათ წამოგვეჭიმა. სამწუხაროთ მან შეცდომაში შეიყვანა პარტია და კანდიდატათ გაძვრა,რა თქმა უნდა ამჟამად ის გამორიცხულია პარტიის რიგებიდან,მაგრამ ის და სხვა მისი მგვანსიც მილიციის რიგებიდანაც უნდა გაიცოცხოს. ადმინისტრაციას არ სძინავს, ის ებრძვის ასეთ მოვლენებს, მაგრამ ზოგჯერ ის ვერაფერს ხდება. ზემოდაღნიშნული ბახტაძე, რომელიც ითვისებდა ჩეკისტის სახელს, უდიერათ ექცეოდა მოქალაქეებს და ათასგვარ უზნეობას სჩადიოდა, მოხსნილი იქნა სამსახურიდან. მაგრამ სამი თვის შემდეგ ის აღადგინა სასამართლომ, ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა. ასეთი პირების წინააღმდეგ ბრძოლაში ადმინისტრაციას ყველა უნდა ეხმარებოდეს.

მილიციის გაჯანსაღებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ საქმეში მილიციის ხელმძღვანელ ორგანოებს ხელი უნდა შეუწყონ, როგორც იუსტიციის ისე პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმაც.

გ. ციმბირელი.

ვინ „შეჭამა“ თივა და ქერი

თბილისის მაზრის სამილიციო რაიონები ფურაჟის შეძენის მხრივ ყოვლად დაუშვებელ პირობებში იმყოფებიან.

ავანსებს ფურაჟის სასყიდლად მათ აძლევენ შემოდგომაზე, სექტემბეროქტომბრის თვეებში, როცა თივა და ქერი გლეხებს უკვე გაყიდული აქვთ. ამ დროს ფურაჟზე ფასები ერთი ორად მომატებულია, რადგან ის სოფლის ჩარჩ-ბობოლების ხელშია უკვე დაგროვილი. შარშან მილიციას თივისა და ქერის სასყიდლად ავანსები დაურიგეს სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში. რაიონების უფროსებმა მიღებული თანხები ერთხან ჯიბით ატარეს, მაგრამ თივა ვერ შეიძინეს. ადმინისტრატიულ განყოფილების სამნეო ნაწილს თბილისში მოუხდა ფურაჟის ყიდვა საშინლად აწეულ ფასებში. ნაყიდი ფურაჟი ცენტრიდან რაიონებში იქნა გადაგზავნილი.

ფურაჟის შეძენის საქმეში ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედებასაც.

შარშან აღბულაღის მილიციის უფროსად იყო ვინმე დვალაძე, რომელიც პასუხისგებაში იქნა მიცემული სხვადასხვა ბოროტმოქმედების ჩადენისათვის. სხვათა შორის მას ბრალდებოდა ყალბი ანგარიშების შედგენაც.

ერთ-ერთი ასეთი ყალბი აქტი აღბულაღის აღმასკომის თავმჯდომარის დადასტურებული აღმოჩნდა. აღმასკომის თავმჯდომარეს ამ საქმისათვის პასუხი არავინ მოსთხოვა. დვალაძე კი მოხსნეს სამსახურიდან და „დასაჯეს“ —გადაიყვანეს თიანეთის რაიონის მილიციის უფროსად.

თითქმის ყველა რაიონებს აქვთ თივისა და ქერის დანაკლისი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავის არ სურს ამ მოვლენის მიზეზის გამოკვლევა. ადმინისტრატიულ განყოფილების ინსპექტორები, როცა პროვინციებში მიდიან რაიონის სამმართველოების სარევიზიოდ, დაბეჯითებით ჩასჩიჩინებენ ჟურნალებს, ეძებენ ორთოგრაფიულ შეცდომას, არკვევენ იმას, არის თუ არა ზუსტი სისწორით შეტანილი განცხადების შინაარსი რეესტრის წიგნში, ხოლო არავითარი ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, თუ რამდენი ფუთი თივა და ქერი აქვს მიღებული რაიონებს, რამდენია სახეზე, რამდენი აკლიათ მათ და რა მიზეზით. რევიზია კი ყველაზე უფრო აქ არის საჭირო. იყო შემთხვევა, როცა სამილიციო რაიონები სდგამდენ წარმოდგენებს მილიციის სასარგებლოდ და შემოსული ფულით იძენდენ ანგარიშით დანაკლის თივას.

არავითარი კონტროლი, არავითარი მეთვალყურეობა, აღმინგანის მხრივ არ სჩანს. აღმინგანის სამეურნეო ნაწილს გეგიაძე განაგებს. ჩვენ ურჩევთ მას, თუ თვით არ გაეგება, სხვას მაინც მიბაძოს, სამხედრო ნაწილებიდან აიღოს მაინც მაგალითი და თავის დროზე იზრუნოს საჭირო ფურაჟის შეძენაზე, მილიცია ხომ დროებითი ორგანიზაცია არ არის, რომ ფურაჟი დღეს დასჭირდეს, ხვალ—კი არა?!

ჩემი.

„ობოლი“ შენობა

(კახათი, ზუგდიდის მაზრა)

კახათის თემის გლეხობამ გადასწყვიტა 7 წლიანი შრომის სკოლისთვის შენობის აგება. არჩეულ იქნა საამშენებლო კომისია, გაიწერა გადასახადი, შეაგროვეს კიდეც ის და დაიწყეს შენობის აგება, მაგრამ მის დათავებას საშველი არ დაადგა. თემმა გაიღო ფულად 7.500 მანეთი, 50 საჟენი შეშა მთავრობამ გადასდო ამ საქმისათვის, 500 მანეთი შემდეგ კიდევ დაუმატეს გლეხებმა, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. ერთ წელზე მეტია, რაც შენობის კედლები მოთავებულია, მაგრამ გადახურვისთვის არავინ ზრუნავს.

საქმის გაჭიანურებაში საამშენებლო კომისიის წევრებს მიუძღვით ბრალი. ისინი ფულს გულმოდგინეთ აგროვებდენ გლეხობაში, მაგრამ სად მიდიოდა შეგროვილი თანხა არავინ იცის რიგიანად. ის კი აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც სკოლის აშენებლობა მიდიოდა, საამშენებლო კომისიის წევრები ლადო და მიხეილ დარასელიები და რაჟდენ ნარმანია თავიანთ სახლების საამშენებლო კომისიის თავმჯდომარეებათაც იყვნენ: თავიანთი სახლები მათ დროზე დაასრულეს, ხოლო სკოლის შენობა დღესაც უპატრონოთ არის მიტოვებული.

„ობოლი“ შენობა ყველას სთხოვს: გაიგეთ რაშია საქმე, როდის მეღირსება დამთავრება, მოსთხოვეთ ანგარიში „აღმშენებლებს“ და გამოარკვიეთ ჩემთვის გადაცემული ფულები რომელი „აღმშენებელის“ სახლმა გადაყლაპა. ნუ თუ არავინ გაიგონებს „ობოლი“ სახლის ღაღადს? ნუ თუ მუშათა და გლეხთა ინსპექციას ელოდება თემაღმასკომი?

კოტე მეგრელი.

რა სთქვეს მუშებმა

27 ივლისს, აგურის ქარხნების მმართველმა— ამხ. ჯაფარიძემ ვაკეს აგურის ოთხივე ქარხნის კომუჯრედის სხდომაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ქარხნების საქიანობის დადებითა და უარყოფითი მხარეების შესახებ.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს მუშებმა, რომლებზეც მან ამომწურავი ახსნა-განმარტებანი მისცა. აღსანიშნავია, რომ კრება ორ დღეს გაგრძელდა. კამათში მონაწილეობა მიიღო 24-მა მუშამ.

რა სთქვეს მათ?

პირველყოვლისა მუშებმა გააშუქეს:

აგურის ცუდი ღირსების მიზეზები

გამოირკვა, რომ თიხა საჭირო დროის განმავლობაში არ სველდება წყლით და არ იზილება წესიერად: ნარდ მუშაობით გატაცებული მყალიბლები არ აქცევენ ყურადღებას აგურის სწორ კუთხედად გამოყვანას; ცეცხლფარეშები ხშირად სამუშაოზე შეზარხოშებული ცხადდებიან. ისინი არ აქცევენ ყურადღებას ღუმელების ნორმალურად გახურებას, იძინებენ და ამის გამო აგური ან გამოუწვავი ან სრულიად დამწვარი გამოდის ღუმელებიდან; აგურს, ღუმელში შეწყობის გამოღების და აგრეთვე გადატანის დროს, არ ეპყრობიან ფრთხილად, რის გამო ბევრი აგური ფუჭდება.

რით არის გამოწვეული ზარალი?

ხშირად ერთ ქარხანაში სამუშაოს, ან თიხის უქონლობის გამო მუშები დგანან, მეორე ქარხანაში კი სამუშაოს ვერ აუდიან; ხელსაწყო-იარაღების სიმცირის გამო, ბევრი მუშა არ არის დატვირთული. სრული 8 საათის განმავლობაში; ავდრის უამინდობის დროს მუშები ცდებიან, მათი გამოყენება კი შესაძლებელია; დღიური მუშები არ მუშაობენ ინტენსიურათ. წყლის მილები ხშირად სკდება, ონკანები ფუჭდება და წყალი უსარგებლოთ იკარგება.

ქვიშა მოუვლელი ყრია, ის ქარს მიაქვს; ადმინისტრაცია ითხოვს მუშას, აძლევს მას გასასვლელ ჯილდოს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იმავე მუშას ისევ იღებს სამუშაოზე. ამრიგათ იფანტება სახ[illegible] ფულები. ინსტრუქტორები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას მიწის, თიხის და ნედლი აგურის დამზადების პროცეს და ხარისხს. ისინი არ ზრუნავენ საკმარისი მასალა-ხელსაწყო-იარაღების მომარაგებაზე. ინსტრუქტორები და სხვა თანამდებობის პირებიც ხშირად არ არიან სამუშაო ადგილებზე და არ ადევნებენ თვალყურს საქმეს. ადმინისტრაცია არ იწვევს ინსტრუქტორების თათბირებს ტეხნიკურ საკითხებზე. ის ვერ ღებულობს სათანადო ზომებს იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერათ. გარდა ამისა, ადმინისტრაცია არ იწვევს მუშების თათბირებს ხშირად, ხოლო როცა იწვევს, მუშების წინადადებებს და საწარმოო თათბირების დადგენილებებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ის ვერ ღებულობს აგრეთვე ზომებს კანტორის თანამშრომლებში დისციპლინის განმტკიცებისათვის და ვოლოკიტის აღმოსაფხვრელად. ის ზოგჯერ არ ასრულებს შრომის კანონების — კოლექტიური ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლებს. შესრულების შეუძლებლობის მიზეზებსაც. არ უხსნის მუშებს, რაც გაუგებრობას და უკმაყოფილებას იწვევს.

ადმინისტრაცია არ ზრუნავს ქარხნების [illegible] გაუმჯობესება - გაფართოებაზე. პირიქით, მან 8 ქარხანა გასცა იჯარით. ეს ქარხნები ეხლა კონკურენციას უწევენ სახელმწიფო ქარხნებს და უკეთესი ღირსების აგურს უფრო იაფ ფასებში უშვებენ.

როგორ მუშაობს „სამკუთხედი“

სამკუთხედი (ადმინისტრაცია, უჯრედის ბიურო და ადგილკომი) შეუთანხმებლად მუშაობს. ეს გარემოება იწვევს შრომის დისციპლინის დასუსტებას.

სამკუთხედმა ვერ დააფასა სათანადოთ და ყურადღების გარეშე დასტოვა მუშკორების მრავალი წერილები და მითითებანი.

სამკუთხედმა საჭირო ნაბიჯები არ გადადგა აგურის ღირსების გასაუმჯობესებლად მან სათანადო ორგანოების წინაშე არ აღძრა საკითხი აგურის ქარხნების მუშებისათვის ბინების, სასადილოების და კლუბის შენობის აგების შესახებ.

დასასრულ მუშებმა აღნიშნეს, რომ აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას და ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას სუსტი კავშირი აქვთ აგურის ქარხნებთან და ხელმძღვანელობაც მოიკოჭლებს. კომუჯრედის კრებამ სათანადო რეზოლიუცია მიიღო იმ იმედით, რომ აღნიშნული ნაკლი ამიერიდან გამოსწორებული იქნება.

დამსწრე.

უბის წიგნი რას იტყვის

კარგა ხანია სადგ. ნატანებში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისათვის შენობის აგება იყო განზრახული. დაბოლოს როგორც იქნა განზრახვა სისრულეში იქნა მოყვანილი. შენობა აგეს და რკინის გზის სადგურის ერთ ოთახში თავშეფარებული ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაც ხუთ თვალიან სახლში მოთავსდა.

ყველაფერი ეს კარგია და ჩინებული, მაგრამ გამოსარკვევია აქ ერთი გარემოება: ამ ხუთ თვალიანი სახლის აგება ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ჯერ-ჯერობით ხუთი ათასი მანეთი დაუჯდა, ხოლო ათას ხუთას მანეთამდე კიდევ არის საჭირო სახლის სავსებით მოსათავებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ სახლის ასაგებათ გამოყენებულ იქნა ძველი მასალის საკმაო რაოდენობა, საკითხავია სად და რაში დაიხარჯა ამდენი თანხა?.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო კარგს იზამს, თავის ნამუშევარს თუ გადახედავს ნატანებში და ზოგიერთებს „უბის“ წიგნებს გაუსინჯავს.

შოლტი.

რა ხდება ქვემორეხში

(გორის მაზრა)

ქვემორეხი სამაზრო ცენტრიდან არც ისე შორს (5-6 ვერსი) არის, რომ ეს სოფელი დარჩეს მაზრის ხელისუფლების ყურადღების გარეშე და კულაკების ზეგავლენის ქვეშ მოხვდეს. მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება.

მთელი სოფელი წამოგებულია პროვოკაციის ანკესზე პურის დამზადების საკითხთან დაკავშირებით; აქ მოდებულია ცრუ ხმები, რომ გლეხობას პურს ძალით ჩამოართმევენ. ჩვენ შეკითხვაზე, თუ ვინ ავრცელებს ამ ჭორებს, გვიპასუხეს: „გორიდან კაცი ამოვიდა და გამოაცხადა: ქირნახულის მომკა და გალეწვა არავინ გაბედოს: იქიდან მოვლენ, მოგიზიდამენ გირვანქობით, დანარჩენს წაიღებენ“-ო.

— თუ მართლა ასე იქნება, აღარ დავამუშავებთ მიწას და რაღას წაგვართმევენო,—ამბობდენ გლეხები. ჩვენ განუმარტეთ მათ, რომ ყველაფერი ეს სიცრუეა, მშრომელთა და მათი ხელისუფლების მტრების მიერ გავრცელებული პროვოკაციაა.

არ წარმოებს მუშაობა ღარიბ გლეხობის შეკავშირებისა და მათი დარაზმვისათვის კულაკობის წინააღმდეგ. ამ მხრივ, სხვათა შორის, საინტერესოა ერთი ღარიბი გლეხი ქალის, ევა ქარელაშვილის განცხადება. ის ჩივის სოფლის „ბურჟუაზიების“ პარპაშზე. როცა ჩვენ მიუთითეთ საბჭოებზე, რომლებიც ღარიბ გლეხობის ინტერესებს იცავენ, მან გვიპასუხა: „შვილო, საბჭოში ზოგი კულაკები სხედან და ჩვენზე ყურს არ იბერტყამენ“-ო. არიან ისეთი გლეხები,—განაგრძობს ის,— რომლენიც ღარიბებზე სესხად გაცემულ 10 მანეთიდან თვეში ხუთ მანეთს იღებენ პროცენტების სახით; მათი სახელი და გვარი ყველასი ვიცით.

კულაკის ქალებსაც აღვალწუნებული ყავთ ღარიბი გლეხ ქალები: „მდიდარ გლეხთა ქალებმა ერთად უნდა იარონ, ღარიბ ქალებმა კი ერთად“, ამბობენ ისინი. ღარიბებიც, ცხადია, ძალიან მტრულ განწყობილებაში არიან კულაკებისადმი. —„აპაი, რომ მოვკვდე, მდიდარს გაათხრევინე საფლავი, ღარიბს რატომ მიმართავ“—უპასუხებენ ღარიბი ქალები.

სოფელი ნაკლებად იცნობს კოოპ
რაციას და მის როლს ღარიბ მოსა
ლეობის მდგომარეობის გაუმჯობესე
ბის საქმეში. —„კოოპერატივი ჩ
ღარიბებს არ გვაძლევს უწიგნაკოდ
ქონელს, შეძლება კი არ გვაქვს, რ
ერთბაშად საწევრო გადასახადი შე
ტანოთ. ამნაირად იძულებული ვხ
ბით ექვსი კაპიკიან საქონელში ო
კაპ. მივცეთ“-ო.—ამბობენ ღარ
გლეხები. როდესაც აუხსენით, რომ
თქვენ ვერ შესძლებთ საწევროს გა
ხდას, კოოპერატივის გამგეობაში
და შეიტანოთ განცხადება სიღარ
მოწმობის თანდართვით და საწევ
წიგნაკს უფასოდ მოგცემენ,—ის
განცვიფრდნენ. „როგორ, განა შე
ლება ღარიბი გლეხი გახდეს კოო
რატივის წევრი და მან ფული არ გად
ხადოს“-ო,—ამბობს გაკვირვებუ
ევა ქარელიშვილი.

სოფელი მოწყვეტილია გორს. მი
ხედავათ იმისა, რომ ამ სოფლიდან ქ
დაინახავ ქ. გორში, გზა არ არის, ჰ
ნიათ გზა, რომელიც გაუქმებულა.
შესახებ მიუმართავთ გორის აღმას
მისათვის, საიდანაც მიუღიათ პასუ
„მთელმა სოფელმა უნდა გადაიხა
500 მანეთი და გზას გაგიკეთებთ“
ამჟამად ძველი გზა დაკეტილია ხე
სუფლების მიერ, ვინაიდან გზამ
ლორია ბაღის შუა, რომელსაც ს
ზრო ხელისუფლება საჩვენებელ
ლათ აკეთებს. სამაგიეროდ ახალ გ
გასაყვანად იგი ჯერ-ჯერობით
ვითარ ზომებს არ ღებულობს.
უქონლობა გლეხობაში იწვევს უ
ყოფილებას. ყოფილა ისეთი შემთ
ვა, რომ სოფელ ხელუბნის მცხოვრ
ლებს უცემნიათ ქვემორეხის გლეხ
სათვის იმიტომ, რომ მათ გაია
გზა, ხელუბნელების ადგილზე.
გზის გაყვანა ქვემორეხში ხელის
ლების გადაუდებელ ამოცანას უ
შეადგენდეს.

საჭიროა სოფელ ქვემორეხში შ
ნილი მდგომარეობის საფუძვლ
გამორკვევა და სათანადო ზომ
მიღება ზევით აღძრულ საჭირ-ბო
ტო საკითხების მოსაგვარებლად.

მნახველ

„სახელგამი“-ს მაღაზიები ქუთაისშ

სახელგამი ფრიად სიმპატიური დაწესებულებაა. ამ სიმპატიურ დაწესებულებას გახსნილი აქვს განყოფილებები პროვინციაში. არის ასეთი ქუთაისშიც. მაგრამ რატომღაც ქუთაისი სახელგამის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს.

ასე მაგალითად ლიუქსემბურგის ქუჩაზე მოთავსებულია ცენტრალური მაღაზია, რომელსაც ორი გამგე ჰყავს; ივანე კილაძე და ნიკო ახვლედიანი.

იმავე ლიუქსემბურგის ქუჩაზე ორასიოდე მეტრის მანძილზე მოთავსებულია ფილიალი, რომელსაც ყავს გამგე და გამგის თანაშემწე. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ისინი მეტის-მეტად „გადატვირთული“ არიან უსაქმობით. ფილიალის ბრუნვა უდრის დღიურათ 7-დან 23 მანეთს.

ცხადია, ამდენი გამგეების და თანაშემწეების წყალობით ხარჯები მეტისმეტად გაბერილია. იმის მაგიერ, რომ ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივის თანახმად, ხარჯები 20 პროცენტით შეემცირებიათ, აქ გაადიდეს ის 13 პროცენტით.

მაღაზიის გამგეები საკმაოთ ზრუნავენ მაღაზიის „კეთილმოწყობაზე“, მაგრამ არც თავის თავს ივიწყებენ.

ასე მაგალითად, გადასწყვიტეს მაღაზიისთვის დაზგის შეძენა. დაზგის გამოტანა უფასოდ შეიძლებოდა კომუნალურ მეურნეობის განყოფილებიდან, მაგრამ გამგე კილაძემ საკუთარი დაზგის გასაღება ამჯობინა და მაღაზიას 150 მანეთი გადაახდევინა. დაზგა შემდეგ აღარ დარჩა საჭირო, მაგრამ „ეს ხომ წვრილმანი საკითხია“! დაზგის გარდა კილაძეს სასწორიც ჰქონდა, ვის უნდა შეეძინა ის თუ არა მის გამგებლობაში მყოფ მაღაზიას? სხვაგან გაყი-

დვა, ხომ სახელგამის ღალატს ნიშ
და! კილაძემ არ ჩაიდინა ასეთი საქ
ლი, მან სასწორი მაღაზიას მიჰყიდ
400 მანეთათ აქაც დააძრო. მართ
ასეთი სასწორი სხვაგან 150 მან
იშოვებოდა მაგრამ...

ყოველგვარ საპატიო დაწესებ
ბას ყელამდი სამუშაო უნდა ჰქო
ზედმეტი საათებით და სხვა. სახე
მის ქუთაისის მაღაზია რით ჩამოუ
დება სხვებს? მართალია, აქ უმეტე
მთხვევაში სამუშაო დროის განმავ
ბაშიც არა აქვთ საქმე, მაგრამ
ასეთ „წვრილმანს“ შეუძლია ხელის
შლა ზედმეტი საათებში მუშაობის
მოღებისათვის? რა თქმა უნდა არა.
დმეტ საათებში მუშაობა აქ სისტ
თაა შემოღებული და ეს სისტემა
მათთ განმტკიცებულიც არის.

მარტო ჯამაგირი და ზედმეტ საა
ბში მუშაობიდან აღებული გასამრ
ლო რას ეყოფა ადამიანს?! არც კილ
ძეს ყოფნის. მას ავანსების სისტემ
ქვს შემოღებული, მაისში უკვე ჰქო
და მიღებული ივნისის ჯამაგირი, მ
რამ 31 მაისს მაინც გაიტანა ივლის
და აგვისტოს ჯამაგირების ანგარიშ
230 მანეთი.

არც მოსამსახურეები არიან დაუკმაყ
ფილებელი. მათ 1927 წლიდან აქვთ გ
ტანილი ნისიათ საკანცელარიო ნივთე
ბი, ამ თანხიდან კი 207 მანეთი ჯერ
არ არის დაფარული.

ასეთი ამბებია სახელგამის მაღაზი
ში ქუთაისში. ჩვენ საჭიროთ მიგვაჩ
ამ გარემოებაზე სათანადო ორგანოებ
და პირველ რიგში თვით „სახელგამი
ყურადღების მიქცევა.

„სახელგამისაგან“ სწორედ ამ მიმა
თულებით სჭირია გაძლიერებული ყ
რადღება ქუთაისს.

კაუჭა.

ტერ-დავიათიანის, „ნათლიმამებისა“ დ
ერთი საქმის გამოძიების შესახებ

1927 წ. ივლისში მესამოცდაათე შრომის სკოლაში აღმასკომის საფინანსო კონტროლმა მოახდინა რევიზია. აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედებათა მთელი რიგი: გაფლანგვა, ფალსიფიკაცია, უწესრიგობა, ქაოსი საქმის წარმოებაში და სხვა, სალარო სკოლის საქმის მწარმოებელს ტერ-დავითიანს ებარა და ყველაზე მეტი ბრალი ამ ბოროტმოქმედებაში რა თქმა უნდა მასვე მიუძღვის.

ფინკონტროლის დასკვნით, რომელიც ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა, ტერ დავითიანი დაუყოვნებლივ უნდა გადაეყენებინათ თანამდებობიდან და პასუხისგებაშიაც უნდა მიეცათ. განათლების განყოფილებამ პრეზიდიუმის ყველა დადგენილება გაატარა ცხოვრებაში, მაგრამ ტერ-დავითიანისთვის ხელი არ უხლია.

შემოდგომაზე, როგორც იქნა დიდი ვაივაგლახით ამ სკოლის საქმე გადაეცა გამომძიებელს. ტერ-დავითიანი, რომელიც რევიზიის დროს „დიდ სულიერ ქენჯნას“ განიცდიდა და ძლიერ გახდა, სასამართლოში საქმის გადაცემის შემდეგ მოსულიერდა. მას იმედი მიეცა და, როგორც გამოირკვა შემდეგ, უსაფუძვლო დაც არა.

სკოლიდან დათხოვნილ იქნა ზოგიერთი სრულიად უდანაშაულო მასწავლებლები, ტერ-დავითიანი კი დატოვებულ იქნა თავის ადგილას. განათლების განყოფილების მთავარმა ინსტრუქტორმა ხრისტოლიუბოვმა განაცხადა, რომ ტერ დავითიანის გადაყენება არ შეიძლება, რადგან არ ვიცით რა განაჩენს გამოიტანს სასამართლოვო: „პატივცემულ“ინსტრუქტორის „ლოღიკით“ გამოდის, რომ მასწავლებლების სრულიად უმიზეზოდ მოხსნა თურმე შესაძლებელია სასამართლოს დადგენილების გარეშეც, ხოლო ტერ-დავითიანის გადაყენება კი შეუძლებელი; მიუხედავად იმისა, რომ ტერ-დავითიანი რევიზიის დროს თვითონაც გამოტყდა თავის დანაშაულში და საბუთებიც საკმაო მოიპოვებოდა. აშკარა გახდა, რომ ტერ-დავიათიანს „ნათლიმამები“ მფარველობდენ.

ეს ცოტაა. ყველა ფიქრობდა, რომ თუ საქმე სასამართლომდე მიაღწევდა, ტერ-დავითიანს ვერაფერი უშველიდა. ტერ-დავითიანს კი პირიქით გასამართლების დღეების მოახლოვებასთან ერთად, უფრო და უფრო ხშირად უთამაშებდა ტუჩებზე ღიმილი.

დაიწყო გამოძიება. მაგრამ ვაი ასეთ გამოძიებას. ჯერ იყო და საქმე გადასცეს არა იმ უბნის გამომძიებელს, რომელსაც ის ეკუთვნოდა. „სხვა“ გამომძიებელმა დაიწყო გამოძიება, მაგრამ საქმე მალე მიატოვა, რადგან მას „არ ეხებოდა“ და გადასცა „კუთვნილებისამებრ“. „კუთვნილმა“ გამომძიებელმა დაიწყო გამოძიება და ის იყო საქმე უნდა გარჩეულიყო, რომ...

რომიც სწორედ აქ არის ხსენებელი. ნათქვამია კაცს თითო მფარველი არ დაელევაო. ტერ-დავითიანს თურმე ყავს კარგი მეგობარი (მგონი ნათესავიც) კაცი ერთ-ერთი გამომძიებელი რომელიც აღნიშნულ სკოლის ახლო ცხოვრობს. ამ ახლო მცხოვრების გავლენის თუ სხვა მიზეზების გამო მოხდა ისე, რომ ტერ-დავითიანის საქმემ „განისვენა“ გამომძიებელის მაგიდის უჯრათა “წიაღსა შინა“.

ამ ხნის განმავლობაში სკოლას მოევლინა ახალი გამგე, რომელმაც თუმცა იცოდა ტერ-დავითიანის „საქმენი საგმირონი“, მაგრამ „შევიდა მის მდგომარეობაში“ და დაპირდა „ცოდვათა პატიებას“ თუ მას ოქტომბრის ამნისტია მოხსნიდა სასჯელს. ტერ-დავითიანიც დატრიალდა, პურმარილი მოიმზადა და სკოლის გამგეს „რისხვაც“ აიცილა. სასამართლოში ხომ თავისი „ბედი“ საიმედო კაცის ხელში ჰქონდა მოქცეული.

გავიდა ერთი წელი, წლის თავზე „გულმავიწყმა“ გამომძიებელმა ძველი საქმე მზის სინათლეზე ამოაძვრინა (უთუოდ ეგონა, რომ ყველაფერი დავიწყებული იყო) და გადასცა მეორე გამომძიებელს, რომლის ხელში ამ საქმემ ერთხელ უკვე გაირა. ამ რიგათ ზღაპარი ისევ თავიდან დაიწყო.

ამსა წინათ, გამომძიებელს შეეკითხეს:—რატომ აჭიანურებენ ამდენ ხანს ტერ-დავითიანის საქმეს და მას მსვლელობას არ აძლევენო?

გამომძიებელმა ოლიმპიური სიდინჯით წარმოსთქვა:—ერთი წელი რა არის, მე ისეთი საქმეებიც მაქვს, რომლების შესახებ მარტო გამოძიება ორ წელიწადს არ დამთავრებულა.

რა იმედი უნდა ვიქონიოთ ასეთი გამომძიებლისა? ცხადია, მის ხელში მესამოცდახუთე შრომის სკოლის საქმეს დამთავრება არ ეღირსება. ჩვენ გვგონია, რომ ამ გამომძიებლის „მუშაობას“ თვით სჭირდება გამოძიება, ტერ-დავითიანის საქმე კი მფარველ „ნათლიმამებთან“ ერთად ყურით უნდა იქნეს გამოთრეული მზის სინათლეზე.

ეკალი.

პარტიული ცხოვრება

უღმერთოთა კავშირის უჯრედში

ჭიათურა, 29 ივლისი. ჭიათურის რაიკომის აგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებულ საინიციატივო ბიურომ რაიონში შექმნა „უღმერთოთა" 8 უჯრედი 3—სოფ. 5—ქალაქში. უჯრედები აერთიანებენ 200 წევრს. ამ დღეებში ჭიათურის რაიონში შესდგა უღმერთოთა რაიონული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 50 დელეგატი. საინიციატივო ბიუროს მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო. არჩეულია უღმერთოთა კავშირის რაიონული საბჭო ანტირელიგიური მუშაობის გასაძლიერებლად მიღებულია მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები. (ადს).

ყურადღება ოსტატებს

სოციალისტურ მშენებლობაში ოსტატს, როგორც კვალიფიციურ მუშას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის ხელმძღვანელობს საამქროს მუშაობას, მას დაკისრებული აქვს სიზუსტით დავალებანი. როგორც წარმოების სათანადო დონეზე დაყენების, ისე მუშების ახალი კვალიფიციური ძალების აღზრდის საქმე. ამიტომ პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ოსტატის მუშაობას, ცდილობს დაუახლოვოს ისინი პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას და ამით უზრუნველყოს ოსტატთა ერთგული მუშაობა ჩვენი წარმოების გასაუმჯობესებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსტატთა შორის მუშაობაში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ჩამორჩებიან. მაგალითისათვის შევეხებით ლენინის რაიონს. ამ რაიონში მოწვეული იყო ოსტატების თათბირი უჯრედის ბიუროებთან ერთად, რომელსაც დაესწრო 58 ოსტატი და 12 უჯრედის მდივანი. თათბირზე გამოირკვა, რომ პარტიული უჯრედები ძალიან სუსტ ყურადღებას აქცევენ ოსტატების მუშაობას. საგულისხმოა აღინიშნოს გარემოება, რომ 261 ოსტატში, რომელიც აღრიცხულია რაიკომის მიერ, კომუნისტები შეადგენენ სულ 37 პროცენტს (97 კაცი).

უპარტიო ოსტატებს შორის არ სწარმოებს არავითარი მუშაობა. უჯრედების ბიუროები იშვიათად ისმენენ ოსტატების მოხსენებას მათი მუშაობის შესახებ, ისინი არ არიან ინტერესებული იმით, თუ რას აკეთებს ოსტატი, სოციალისტური მშენებლობის დროს ოსტატი, რომელსაც დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა ძველად, რევოლუციის წინ, ანაში, რა აწუხებს მას, როგორ დამოკიდებულებაშია იგი მუშებთან, ადმინისტრაციასთან და სხვ.

თათბირმა აგრეთვე ნათელჰყო, რომ წარმოების ხელმძღვანელები ოსტატის მუშაობას ყურადღებას არ აქცევენ, ისინი არ იწვევენ ოსტატთა თათბირებს წარმოების ცალკე საკითხების განსახილველად, არ იყენებენ ოსტატების გამოცდილებას წარმოების რაციონალიზაციის ჩატარებაში.

რაც შეეხება პროფორგანიზაციებს (ფაბრიკომებს), ისინიც ძალიან სუსტად იწვევენ ოსტატებს საწარმოო თათბირების სხდომებზე, ეს იმ დროს, როდესაც ოსტატებს შეეძლოთ ფრიად დიდი დახმარება გაეწიათ და ცა მიეცათ ამ თათბირებისათვის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ქვედა ორგანიზაციებმა ვერ ჩაატარეს სათანადო განმარტებითი მუშაობა ოსტატებს შორის. ოსტატებს დღემდის არ ჰქონდათ წარმოდგენილი თავიანთი როლი წარმოებაში და ის ამოცანები, რომლებსაც უყენებს მათ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ყველა ამ ნაკლის გამოსწორება მოითხოვს სათანადო ღონისძიებებს. თათბირმა, რომელიც მუშაობდა რაიკომის უშუალო ხელმძღვანელობით გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიება, რომლის ცხოვრებაში გატარება, უზრუნველჰყოფს ოსტატთა შორის მუშაობის გამოცოცხლებას და პარტიის ამოცანების შესრულებას.

რაში მდგომარეობს ეს ღონისძიებანი?

უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რა თქმა უნდა, გამოირკვევა და სწორი აღრიცხვა იმის თუ რამდენი ოსტატი მუშაობს წარმოებაში და რას წარმოადგენენ ისინი პერსონალურად. ყოველივე საწარმოო უჯრედმა, სადაც კი ოსტატები მუშაობენ, უნდა ჩაატაროს ოსტატების აღრიცხვა, შეადგინოს მათი სიები საჭიროა აგრეთვე ოსტატების მუშაობის შესწავლა. ამ საქმეში უჯრედს კარგ დახმარებას გაუწევს პარტორგი, რომელიც საამქროში მუშაობს და ყოველდღიურად თვალყურს ადევნებს ოსტატების მუშაობას.

ოსტატების მუშაობის უფრო კარგი შესწავლის და მათი დაახლოების მიზნით საჭიროა ოსტატების თათბირების მოწვევა. ამ თათბირზე, რომლებიც უნდა მოწვეულ იქნან 2—3 თვეში ერთხელ, ოსტატებმა უნდა გააკეთონ მოხსენება თავიანთ მუშაობის შესახებ. თათბირზე განსაკუთრებით უნდა განხილულ იქნეს საწარმოო ხასიათის საკითხები. გარდა სპეციალური თათბირებისა, ოსტატები უნდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა თათბირების მუშაობაში, რომლებიც იკრიბებიან წარმოების ამა თუ იმ საკითხის გასარჩევად, განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს ოსტატების როლი საწარმოო თათბირების საქმიანობაში.

უჯრედების ბიუროებმა უნდა მოისმინონ ოსტატების მოხსენებები იმ კომუნისტების თანდასწრებით, რომლებიც მუშაობენ ამ ოსტატის—ხელმძღვანელობით.

უჯრედებმა აუცილებლად უნდა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშებსა და თვით ოსტატებს შორის იმ მიზნით, რომ გააცნონ მათ ოსტატების წინაშე მდგომი ამოცანები. საჭიროა სპეციალურად ჩატარდეს განმარტება შემდეგ თემაზე: „როგორი უნდა იყვეს ოსტატი წარმოებაში". განსაკუთრებით უნდა გამახვილებულ იქნას საკითხი მუშებისა და ოსტატის შორის დამოკიდებულების შესახებ.

ამას გარდა უჯრედებმა და ადმინისტრაციამ უნდა გააძლიერონ მუშაობა კვალიფიციური მუშების კადრებიდან ახალი ოსტატების წამოყენების დარგში. საჭიროა ახალი სოციალისტური მშენებლობა უზრუნველყოფილი იქნას შეგნებული და მომზადებული ოსტატებით.

ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციას და ოსტატების შორის დამოკიდებულების საკითხს, რადგან ეს დამოკიდებულება ხშირად არანორმალურია.

ტ. რუხაძე.

მიწის საკითხი უნდა მოგვარდეს

(გუბის თემი, ქუთ. მაზრა)

გუბის თემის ღარიბ გლეხთა ჯგუფის თათბირმა, რომელიც შესდგა 26 ივლისს მოისმინა მოხსენება ღარიბ გლეხთა ჯგუფების მაზრო კონფერენციის შედეგებზე.

თათბირმა გამოამჟღავნა, რომ ჩვენს თემში მიწას ფლობენ ისეთი პირები, რომელთაც დაბადებიდან დღემდე მიწაზე გავლით კი უვლიათ, მაგრამ მუშაობით არასოდეს არ უმუშავნიათ.

ჯგუფების თათბირმა იქვე დაასახელა რამოდენიმე ასეთი პირი: 1. ექიმი ნიჟარაძე, მსახურებს სამხედრო დარგში, მიწა არას დროს არ დაუმუშავებია, გუბში კი დღემდე აქვს „3" დღა პირველი ხარისხის მიწა. 2. ალექსანდრე [illegible]. ამ პირს, როგორც არა მიწის მუშას 1923 წლის რეფორმის დროს ჩამოერთვა მიწა. მაგრამ 1926 წელში რაღაც მახინაციებით ჩამორთმეული ადგილები მან ისევ უკან დაიბრუნა. თათბირმა მრავალი ამგვარი მაგალითი აღნიშნა. გამოირკვა, რომ ხიზნებულ პირებს მიწა გაცემული აქვთ იჯარით, ან საზიაროდ სასტიკ ცუდ პირობებში (მოსავლის ნახევარი რჩება მიწის მუშას და ნახევარი მიაქვს მიწის მესაკუთრეს). თათბირმა აღნიშნა, რომ მიწის რეფორმის სწორად გატარებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ რამოდენიმე ასეული დესეტინა პირველ ხარისხის მიწა, რაც ნაწილობრივ მაინც შეამსუბუქებს მიწის სივიწროვეს გუბის თემში.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს სამაზრო აღმასკომის მიწათმოქმ. განყოფილებამ.

გ. ალელიანი.

მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის

(ბაშკიჩეთი, ბორჩალოს მაზრა)

ღარიბ გლეხთა ჯგუფები დღემდე არსებობდა მხოლოდ რამოდენიმე თემ-საბჭოსთან. ეს ელო დღის გაიზარდა და ჩამოყალიბდა. მუშაობა საქმიანია და ღარიბი გლეხობაც ძლიერ კარგად ხვდება ამ მუშაობას, ღარიბმა გლეხებმა უკვე შეიგნეს ღარიბ გლეხთა ჯგუფების მნიშვნელობა.

ღარიბთა ჯგუფების კრებებზე გარჩეული საკითხები, საერთო წესის მიხედვით გადააქვთ თემის სხდომაზე. აქ ხდება ღარიბებისა და შეძლებულების შეჯახება. ღარიბები მტკიცედ იცავენ თავიანთ დადგენილებებს და არ უთმობენ შეძლებულ გლეხკაცობას. ამ დავაში ღარიბ გლეხებს მხარს უჭერს საშუალო შეძლების გლეხობა, რადგან ღარიბ გლეხების ჯგუფების დადგენილება არ ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში სარაიონო კომიტეტი შეუდგა ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბებას გლეხკომებთან. ჯერ-ჯერობით ყველგან არ არის ჩამოყალიბებული ეს ჯგუფები დგება იქ, სადაც უჯრედს შესწევს ძალა სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ.

გლეხკომები დიდ მატერიალურ დახმარებას უწევენ ღარიბ გლეხებს. უხნავენ მიწას ტრაქტორით შეღავათიან ფასებში, აძლევენ სათესლე ხორბალს და სხვა.

ღარიბებმა იმდენად შეითვისეს კრებების მნიშვნელობა, რომ როცა გვიხდება სოფლის ღარიბების კრებების მოწვევა სოფლის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გასარჩევად, თითქმის არც ერთი ღარიბი არ აკლდება. კრებებზე დასმულ საკითხების გარჩევაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ისინი და მიღებულ დადგენილებებსაც ერთგულად იცავენ. ასეთია ღარიბთა ჯგუფების მუშაობა დ. გომარეთში, ყალდგეჯიში, დუმანისში, კაზკათალაში და სხვაგანაც.

ბაშკიჩეთელი.

მუშათა ცხოვრება

გაუნაზღაურებელი თანხები

(წერილი ზუგდიდიდან)

რკინის გზის ზუგდიდის ქალაქის სადგურის უფროსი, მოქ. კოტე გორდეზიანი, კერძო ვაჭრების კარგი მეგობარია; ის ყოველმხრივ ხელს უწყობს კერძო ვაჭრებს და ცდილობს გაამაგროს მათი სავაჭროები. კოოპერატიული დაწესებულებები კი მისთვის დროებით მოვლენას წარმოადგენენ.

გორდეზიანს, როგორც სადგურის უფროსს, უფლება აქვს ვინმეს სახელზე მოსული საქონლის გადასახადი, თუ საქონლის პატრონს გადასახდელი ფული, რომელიც ერგება რკინის გზას, არა აქვს, ჩაუწეროს ვალში და რკინის გზის სასარგებლოდ გადაახდევინოს პროცენტები. ეს კანონი როგორც კოოპერატივზე, ისე კერძო ვაჭრებზეც ვრცელდება, მაგრამ გორდეზიანი ამ კანონს უფრო კერძო ვაჭრებზე ავრცელებს, ვიდრე კოოპერატიულ დაწესებულებებზე, რადგან კოოპერატივს არ შეუძლიან მისცეს გორდეზიანს, მარცხენა ჯიბის სასარგებლოთ რამე. კერძო ვაჭრებიდან კი მას რასაკვირველია აქვს ცოტაოდენი გამორჩენა. ის დიდი სიამოვნებით არ უწერს მათ ფრახტს და ხშირად ფასდადებულ ტვირთსაც ღებულობს ვალში, რისთვისაც ის არავითარ გარანტიას არ თხოვს. კოოპერატიული ორგანიზაციებისთვის კი სამაზრკომის შუამდგომლობაა საჭირო, მაგრამ ზუგდიდის კოოპერატიულ ამხანაგობას არც სამაზრკომის შუამდგომლობამ და არც ხელწერილმა უშველა იმისათვის, რომ მისი საქონლის ფრახტი 600 მანეთამდე ჩაეწერა ვალში სათანადო პროცენტების გადახდით.

მოქ. გორდეზიანს, სრულიად უგარანტიოთ გაცემული აქვს საქონელი შემდეგ კერძო ვაჭრებზე: გ. შენგელიაზე 1528 მან. და 86 კაპ. თ. შენგელიაზე 1160 მ. 70 კაპ. ვ. ბუცხრიკიძეზე 1338 მ. 83 კაპ. ალ. მალაშხიაზე 500 მან. დ. დარასელიაზე 200 მან. ი. კვირტიაზე 175 მან. რ. დარასელიაზე 95 მან. და 86 კაპ. ქ. ყოლბაიაზე 100 მან. და ა. ქირიაზე 10 მან. და 89 კაპ. სულ, კერძო ვაჭრებზე უგარანტიოთ გაცემულია 5.173 მან. და 24 კაპ. მოქ. კ. გორდეზიანის წყალობით ეს თანხა აუნაზღაურებელია.

მასთან, კოტე გორდეზიანი, სისტემატიურად აქირავებს ზაფხულ-ზამთარში სადგურის კუთვნილ რკინის გზის ბრეზენტებს ქორწილებში და ტირილებში თითოს 5—6 მანეთად და აღებული ფულის ქვითარებს კი არ აძლევს მქირავებელს და არც შემოსავალში შეაქვს იგი.

საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს ყურადღება და გადასინჯული იქნეს ზუგდიდის ქალაქის სადგურის უფროსის საქმიანობა.

კოოპერატორი.

როგორ იფლანგება ხელსაწყო იარაღი

(მთ. სახელოსნოები)

ამ ბოლო ხანებში შემჩნეულია ხელსაწყო იარაღების სისტემატიური ფლანგვა სახელოსნოებში. ამაში პირდაპირი დამნაშავეა მიუძღვის საამქროების ადმინისტრაციას; მიუხედავად სათანადო დებულებისა სახელოსნოებში იარაღის შესახებ, ისინი ამ საქმეში იჩენენ სრულ დაუდევრობას.

აი მაგალითები: სახარატო საამქროს ხარატები კონსტანტინოვი და ლეკვეიშვილი, უკვე რვა თვეა მივლინებულნი არიან სხვადასხვა ორგანიზაციებში სამუშაოდ; საიარაღოს კი მათ წასვლის შესახებ მხოლოდ ეხლა აცნობეს. აღნიშნულ ხარატებზე ირიცხება მთელი რიგი იარაღები, რომლებიც საამქროს რომელიღაც კუთხეში, უპატრონოდ არის მიყრილი. საგოგორო საამქროში დროებით მოსულ სალესავ ხარატებს, საიარაღოდან მიაქვთ ხელსაწყო იარაღები საამქროს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის ქვეშ. შემდეგში მათ ხსნიან სამუშაოდან, ხოლო წაღებულ იარაღს არ უბრუნებენ უკან საიარაღოს და არც საამქროს ადმინისტრაცია აქცევს ყურადღებას იარაღის ჩაბარებას.

სასწორთა განყოფილების მეკუზნეცემ მოქ. შუბლაძემ, რამოდენიმე წლის წინად საიარაღოდან, სახელოსნოების ადმინისტრაციის ნებართვით თავისი ხელწერილის ქვეშ წაიღო მთელი რიგი ხელსაწყო იარაღებისა, რომლებიც დღემდე არ დაუბრუნებია უკან, ამის შესახებ საიარაღომ სამჯერ აცნობა სახელოსნოების ადმინისტრაციას, მაგრამ მიმოწერა მარტო ქაღალდზე დარჩა. მოქ. შუბლაძეს როცა გაახსენებენ იარაღის შესახებ, მას სასაცილოდ არ ყოფნის. ამგვარად, დაახლოებით 300 მანეთის იარაღი გაფლანგულად ითვლება.

საიარაღო საგამცემლოს მიერ შეკვეთილ იარაღებს სისტემატიურად აგვიანდება. აგვიანება უფრო ემჩნევა სახარატო საარტახო იარაღის დამზადებას. ხელოსნები დარბიან შეკვეთილ იარაღის დროზე მისაღებად, მაგრამ ხვალიობით ისტუმრებს. იარაღის შესაკვეთი განწესები, ხშირად იკარგება საიარაღო საამქროში. ეს იმიტომ, რომ შესაკვეთ განწესების აღრიცხვა არ სწარმოებს, როგორც შეკვეთილ იარაღის, ისე შესაკეთებლად გაგზავნილ იარაღების ოპერაცია — საიარაღო საამქროში ძლიერ პრიმიტიულად სწარმოებს.

საჭიროა სათანადო ორგანომ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს ზომები ხელსაწყო იარაღების გაფლანგვის წინააღმდეგ.

ნ. გელა.

დისპანსერში სივიწროვეა

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის ვენ. დისპანსერში მუშაობს 5 ექიმი თანაშემწე და 17 სხვადასხვა თანამშრომელი. ყველა თანამშრომლები, დაწყებული დარაჯიდან ექიმამდე, უხდებათ ზედმეტი მუშაობა, რადგან ყოველ კუთხიდან ურიცხვი ხალხი აწყდება დისპანსერს. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე სწარმოებს გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ყოველდღე ისინჯება 140—150 ავადმყოფი.

მიუხედავად ასეთი დიდი მუშაობისა, დისპანსერს, ბინის დაბლა სართულის ნახევარი, რომელშიაც იყო მოთავსებული ეს დაწესებულება, ჩამოართვეს და ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას გადასცეს. ვენ. დისპანსერის უფ. ექიმი ა. ცეკუა, ძალიან ცდილობს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა დახმარება აღმოუჩინოს ყველა ავადმყოფს, მაგრამ შენობის სივიწროვის გამო, შეუძლებელი ხდება ქალების და კაცების განცალკევება ერთიმეორისაგან.

საჭიროა ამ გარემოებას გაუწიოს ანგარიში სათანადო ორგანომ და ჩამორთმეული დაბლა სართული, უკანვე დაუბრუნოს. საჭიროა აგრეთვე რამოდენიმე თანამშრომლის დამატება: ორიოდ ამჟამად არსებულ თანამშრომელთა შემადგენლობით შეუძლებელი ხდება ავადმყოფთა რიცხვის დაკმაყოფილება და მათი საფუძვლიანად გასინჯვა.

კაგუბი.

გამოიკვლიეთ მათი მუშაობა

(რკ. გზის სამასალო საწყობი)

1927 წ. მაისში რკ. გზის მთავარ სამასალო საწყობში, გენერალური აღწერის დროს, მუდმივი ძველი მუშების გარდა ბირჟიდან მიღებულ იქნა 50 კაცი დროებით სამუშაოზე. აღწერა გაგრძელდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. სეზონის მუშები გადარიცხეს ძველ მუშებთან ბრიგადებში, რის გამო შტატი საგრძნობლად გაიზარდა. მიმდინარე წლის თებერვლამდე მუშები მუშაობდნენ და ხელფასსაც იღებდნენ თვეში 70-80 მანეთამდე, მაგრამ 1-ლ თებერვალს, ხარჯების 20 პროცენტით შემცირებასთან დაკავშირებით შეამცირეს მუშების შტატი 54 კაცით. შემცირებაში მოყვნენ ძველი მუშები, სამი წლიდან 25 წლის საწყობში მუშაობის სტაჟის მქონენი, ახლები კი, რომლებიც დროებითი სამუშაოზე იყვნენ მიღებული, დატოვეს.

შემცირებულ მუშებიდან, სამი დღის შემდეგ ორი ისევ უკან დააბრუნეს და სამი დეპოში გადაიყვანეს მუდმივად. დანარჩენ 49 მუშას მიეცა თითო თვის გასასვლელი ჯილდო დაახლოებით 4.000 მანეთის რაოდენობით. ამასთან ერთად, 49 კაცს, უკან დაუბრუნეს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე შესაძენად გაღებული სამ-სამი თვის გადასახადი ფული.

აღსანიშნავია ისიც, რომ შტატში დატოვებულ ბევრი ინვალიდიცაა, რომლებიც არ შეუმოწმებინებიათ საექიმო კომისიისათვის იმის გამოსარკვევად თუ ივარგებს თუ არა ეს თუ ის მუშა სამუშაოზე. უკანონოდ შემცირებული მუშები, დროებით გადაყვანილ იქნენ სხვადასხვა ადგილებზე იმ პირობით, რომ თუ საწყობში მუშების მოთხოვნილება იქნებოდა, პირველ რიგში უნდა უკან დაებრუნებინათ ძველი მუშები, მაგრამ ამაოდ. დღეს საწყობში, სამუშაო საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ დროებითი სამუშაოებზე კვლავ ახლებს იწვევენ. მიიღეს ექვსი ძველი მუშა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ, სხვებთან ერთად ისევ დაითხოვეს.

რატომ არ შეიძლებოდა დროებითი სეზონის მუშების დათხოვა და ძველი მუშების თავის უფლებებში დატოვება? ან თუ 20 პროც-ანი ხარჯების შემცირება ამ მუშებზედაც ვრცელდებოდა, რატომ არ შეიძლებოდა ხსენებული მუშების ერთი თვით საწყობში შენახვა, რადგან ამდენივე მუშის მოთხოვნილება დღეს საწყობში, რასაც ასრულებენ ორ-ორი კვირით ახლად მიღებული მუშები? შეიძლებოდა, მაგრამ ვიღაცამ განგებ მოაწყო ასე და 4.000 მანეთი ტყუილ-უბრალოდ გაიღო სახელმწიფო სალაროდან.

აი კიდევ ორი მაგალითი ასეთი დაუდევრობისა: შეამცირეს მემანქანე ქალი, გასავალი ფულიც მისცეს—მაგრამ მეორე დღესვე მემანქანე მიიღეს. შემცირებაში მოაყოლეს კანტორის მოხელე მარო გურგენიძე, მაგრამ მის ადგილზე დასვეს აბაშიძე მარო, რომელმაც საწყობის სახელოსნოდან მიიღო გასასვლელი ჯილდო.

ასეთია რკ. გზის მთავარ საწყობის ადმინისტრაციის საქმიანობა. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გადასინჯოს მათი მუშაობა.

მათრახი.

მეტი ყურადღება მუშკორთა შენიშვნებს

უკანასკნელ ხანებში, თბილისის საბჭომ გააცხოველა მასიური მუშაობა ყველა დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშკორთა შენიშვნებს. ყველასათვის ცხადია რომ თბილისის პრესაში მოთავსებული მუშკორთა შენიშვნების 50 პროც. მეტი ეხება საბჭოს გამგებლობაში მყოფ წარმოება-დაწესებულებებს.

ამ შენიშვნებზე პასუხის გაცემა, სათანადო ყურადღების მიქცევა და შენიშნული ნაკლის გამოსწორება, ევალება იმ წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებს, რომელთაც მუშკორის მიერ აღნიშნული შენიშვნა ეხება მაგრამ, როგორც ვიცით, მრავალი მითითებანი და გამომჟღავნებული ფაქტი, ხშირად სრულიად უყურადღებოდ რჩება, რაც ფრიად აფერხებს ჩვენი წარმოება-დაწესებულებების ნაყოფიერ მუშაობას და აძნელებს ბიუროკრატიზმის და ყოველგვარ საქმიანობის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლას.

თბილისის საბჭოს მიერ შემოღებული მასიური კონტროლი მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევის დარგში, გულისხმობს ამ საყურადღებო საკითხის ღირსეულად მოწყობას. აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება უკვე შეუდგა პრესაში მოთავსებული შენიშვნების სრულ კლასიფიკაციას და საბჭოს სექციების საშუალებით მასიური კონტროლის წარმოებას.

თბილისის საბჭოს, ამჟამად გამოყოფილი ჰყავს ექვსი სექცია: კომუნალური, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საფინანსო-სამრეწველო და სავაჭრო-კოოპერატიული. განზრახულია დაარსდეს აგრეთვე შრომის სექცია.

პრესაში მოთავსებული შენიშვნები ჯგუფდება განყოფილებების მიხედვით, გადაეცემა სათანადო სექციის ბიუროში, რომელიც სპეციალური კომისიების საშუალებით აწარმოებს გამოკვლევას იმისას, თუ რა სახით გაეცა წარმოება-დაწესებულებამ მუშკორის შენიშვნას პასუხი და რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს პასუხი.

ასეთი მუშაობა მეტად მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემს, როგორც მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევაში, ისე წარმოება-დაწესებულების ნაკლოვანების გამოსწორებაში.

მუშკორებმა ხელი უნდა შეუწყონ თბილისის საბჭოს მუშაობას, როგორც საერთოდ ისე კერძოდ მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევაში.

ჯ. ფ.

ვებრძოლოთ უმიზეზოდ საათების გაცდენას

(მეორე თამბაქოს ქარხანა)

ძველად ფაბრიკა-ქარხნებში დღეების გაცდენა ჩვეულებრივი მოვლენა იყო: ორშაბათი და ხშირად სამშაბათიც გამოცხადებული იყო პატარა კვირეებად. მუშას რომ ორშაბათს ემუშავნა, მას ბოზოლა ხელოსნები მასხარად აიგდებდნენ. ეს ხდებოდა განსაკუთრებით წვრილ ქარხნებში. სამწუხაროდ ასეთი ჩვეულების ნაშთს დღესაც შეხვდებით ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში. ამის დამამტკიცებელ საბუთს იძლევა თამბაქოს მეორე ქარხანა „პროლეტარი"-ს სტატისტიკური ცნობა. მიმდინარე წლის აპრილში უმიზეზოდ გაცდენილი საათების რაოდენობა უდრის 273 სამუშაო საათს, მაისში 133 ს. ივნისში კი ისევ მატულობს და აღწევს 220 სამუშაო საათის უმიზეზოდ გაცდენით გარდა იმისა, რომ წარმოება ზარალობს, საგრძნობი ზარალი მოაქვს მუშის ბიუჯეტისათვისაც, დროა ასეთი მოვლენები მოსპობით და ჩავაბაროთ ისტორიას. მუშა მუდმივად უნდა ადგეს თავის სადარაჯოზე, დაზგასთან და პირნათლად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას.

თემსხველი.

მუშკორთა წერილებიდან

ძაღლებმა აგვიკლეს. პლეხანოვის პრ. № 82 სახლში აუარებელი ძაღლები არიან. ეზოში ისე ვერ შევა კაცი, რომ 5—6 ძაღლი არ გამოეკიდოს.

მცხოვრები.

გაკადნიერებული უფროსი. სად. საჯევახოს უფროსის მოქ. მ. ჟღენტის თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ეს ვაჟბატონი გარდა იმისა, რომ სადგურის მუშებს ამუშავებს პირად საქმეზე, ხშირად ცემითაც ემუქრება მათ; ამას წინად, მისი თანაშემწის, ქუთათელაძის სამტრედიაში გადაყვანის გამო, გაუმართა დიდი ვახშამი, [illegible] მოწყობაშიც მუშა ზაპანახიძეს ცემა დაუპირა და რამოდენიმე მუშაც მოხსნა სამუშაოდან, რადგან მათ უარი განაცხადეს პირად სამსახურზე, საუბკომ, მოგვაშორე გაკადნიერებული უფროსი.

საჯავახოელი.

ვის ჩავაბაროთ სახლის ქირა. უკვე ერთი თვეა, რაც უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სახლი, რომელიც ეკუთვნოდა მოქ. ყიფშიძეს, ჩამოერთვა და გადავიდა აღმასკომის გამგებლობაში, მაგრამ დღემდე სახლს ზედამხედველი არა ჰყავს დანიშნული. მდგმურებმა არ იციან ვის მისცენ სახლის ქირა. აღმასკომს თუ სახლის ყოფ. პატრონს.

მდგმური.

რეცეპტს სცვლიან. (ჭიათურა). ჭიათურის აფთიაქის ფარმაცევტი ძალიან ხშირად თავის ნებით სცვლის რეცეპტში ისეთ წამალს რომელიც არ არის აფთიაქში და სწერს სხვას. ასე მოხდა მაგალითად 22 ივლისს ამას შესაძლებელია მოჰყვეს უბედური შემთხვევა. საფთიაქო სამმართველომ, მიიღოს ზომები.

მნახველი.

მუშა და გლეხ კორესპონდენტის კუთხე

მუშკორთა დევნას ხელს უწყობენ

(წერილი გაგრიდან)

აფხაზეთში, გაგრის მაზრაში, მუშგლეხკორთა მოძრაობა საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ ამ ზრდასთან ერთად გაზრდილა აგრეთვე მუშკორთა დევნაც. ამას წინად ქ. გაგრიდან კრების გათავების შემდეგ, ღამით, მუშკორი სლესარენკო ბრუნდებოდა თავის სოფელ ქოლხიდაში. გზაზე მას თავს დაესხნენ ვიღაც ავაზაკები და მძიმედ დასჭრეს. თავდამსხმელებს სლესარენკო მკვდარი ეგონათ, ამიტომ მიანებეს თავი და მიიმალნენ. ამხ. სლესარენკო კი წვალებით მივიდა მახლობელ ქარხნის მუშათა ბინებში, სადაც მას აღმოუჩინეს დახმარება, ხოლო თავდასხმის შესახებ აცნობეს ადგილობრივ მილიციას ბოროტმოქმედებათა აღმოსაჩენად.

აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ მილიციის უფროსმა ყურიც არ გაიბერტყა და არავითარი ზომები არ მიიღო ბოროტმოქმედთა შესაპყრობად. რას უნდა მიეწეროს გაგრის მილიციის უფროსის ასეთი გულგრილობა?

საჭიროა სათანადო ორგანოებმა გამოიკვლიონ ეს საქმე და სასტიკად დასაჯონ როგორც მუშკორზე თავდამსხმელები, ისე მათი ხელის შემწყობნი.

სარფიელი.

ფსევდონიმს ამჟღავნებენ

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის კლუბთან არსებობს ახალგაზრდათა სექციის ბიურო, რომელიც უშვებს კედლის გაზეთს „მომავალი"-ს სახელწოდებით. გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ზოგიერთა წევრებმა არ იციან კარგათ თავისი მოვალეობა. ისინი ხშირად ამჟღავნებენ მუშკორის ფსევდონიმს, ამის დასამტკიცებლად ამავე კედლის გაზეთის მუშკორებმა მრავალი საბუთები მოიპოვებათ, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლებელია, რომ შემდეგში მუშკორი საჭიროებშიც ჩავარდეს. სარედაქციო კოლეგია თითონ უნდა იყოს დაინტერესებული მუშკორების ფსევდონიმების დაცვაში. მან ეს უნდა შეიგნოს.

ივანე რიონჯესელი.

მეტი ყურადღება კედლის გაზეთს

(თბ. დეპო)

ორი თვეა, რაც თბ. დეპოში არჩეულ იქნა კედლის გაზეთის ახალი სარედაქციო კოლეგია. გაზეთი გამოდის 2 კვირაში ერთხელ. მასში მოთავსებული შენიშვნები შეეხება უმთავრესად წარმოებას და მის მუშაობას. პასუხს შენიშვნებზე აძლევს, როგორც ადმინისტრაცია, ისე პროფორგანოც, მაგრამ პასუხი ხშირად არაა დამაკმაყოფილებელი.

გაზეთში ძალიან ცოტაა კარიკატურები, რაც ნაკლად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ადგილკომი კავშირის წევრებს ახატვინებს სურათებს, მაგრამ ეს ნაძალადევად კეთდება, კარიკატურები არ გამოდის შესაფერისი, ამ მხრივ გაზეთი მოიკოჭლებს.

გაზეთის გამოშვების უმთავრესი ხელის შემშლელი არის ის, რომ მუშები არ ღებულობენ მასში მონაწილეობას, რის გამო გაზეთის შევსება უმთავრესად სარედაქციო კოლეგიის წევრებს უხდებათ.

მუშების ასეთი გულგრილობა კედლის გაზეთისადმი უნდა მიეწეროს ადგილობრივ ორგანოების სუსტ ხელმძღვანელობას კედ. გაზეთზე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ან სადელეგატო კრებაზე, ან კომკავშირის უჯრედზე დასმული ყოფილიყო საკითხი კედლის გაზეთის მნიშვნელობის შესახებ. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ სათანადო ორგანოებმა.

მეთვალყურე.

სოფლის კორესპონდენტთა წრეების მოწყობისა და მუშაობის „ძირითადი დებულებები"

(შემუშავებულია „მუშურ-გლეხური კორესპონდენტის" რედაქციის და ს. კ. პ.(ბ) ც. კ-ის ბეჭდვითი განყოფილების მიერ)

1. სოფლის კორესპონდენტთა წრის ამოცანები

1. სოფლის კორესპონდენტთა წრე წარმოადგენს სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის ქვედა ორგანიზაციას; ეს ორგანიზაცია ნებაყოფლობის საფუძველზე აერთიანებს და აკავშირებს ამა თუ იმ თემის ან სოფლის გლეხებს და გლეხ-ქალებს, რომლებიც სწერენ ადგილობრივ კედლის გაზეთში და სხვადასხვა ნაბეჭდ გაზეთებსა და ჟურნალებში.

სოფლის კორესპონდენტთა წრე არსდება შემდეგი ამოცანების განსახორციელებლად.

ა) მან, ადგილობრივი კედლის გაზეთის და სხვადასხვა ბეჭდვითი გაზეთების მეშვეობით, ხელი უნდა შეუწყოს სოფლის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას და საბჭ. ქვედა აპარატის გაუმჯობესებას.

ბ) ხელი შეუწყოს სოფლის კორესპონდენტთა პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებას იმ მიზნით, რომ მათ შეიმუშაონ სწორი გაგება საბჭოთა მშენებლობის ამოცანების და სოფლის კორესპონდენტის, როგორც სოციალიზმის მშენებლობაში აქტიურად მონაწილე სოფლის მოწინავე საზოგადოებრივი მუშაკის როლისა;

გ) გამოსცეს კედლის გაზეთი, გამოიმუშაოს გამოცდილება კედლის გაზეთის გაძღოლის, ტეხნიკის, კორესპონდენციების გზავნის და სხვა საქმეებში;

დ) ჩააბას სოფლის კორესპონდენტთა მუშაობაში გლეხები და გლეხ-ქალები ღარიბებს და საშუალო ფენებიდან და პრესის საშუალებით მიიზიდოს ისინი საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობისათვის;

ე) განუმარტოს გლეხებს პრესისა და სოფლის კორესპონდენტთა მუშაობის მნიშვნელობა იმ მიზნით, რომ გლეხები ნდობით ეპყრობოდენ პრესას და სოფლის კორესპონდენტებს;

ვ) ხელი შეუწყოს სოფლად გაზეთისა და წიგნების გავრცელებას;

ზ) მიიღოს ზომები სოფლის კორესპონდენტთა დასაცავად დევნისაგან.

2. სოფლის კორესპონდენტთა წრის მუშაობა

2. აღნიშნული ამოცანების საუკეთესოდ განხორციელებისათვის სოფლის კორესპონდენტთა წრე:

ა) აშუქებს ადგილობრივ კედლის გაზეთში და პრესაში სოფლის ან თემის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს და ფაქტებს, ამასთან გლეხობის ყურადღების უფრო მისაზიდად და გაზეთის ავტორიტეტის ასამაღლებლად პირველ რიგში სვამს ისეთ საკითხებს, რომლებიც იმ მომენტში უფრო აინტერესებს გლეხობას;

ბ) აწყობს ცალკე საუბრებს სხვადასხვა საკითხების შესახებ, რომლებიც წამოიჭრებიან სოფლის ადგილობრივ ცხოვრებაში და სოფლის კორესპონდენტთა მუშაობაში, ამასთან ამ საკითხებს მჭიდროთ უკავშირებს საბჭოთა მშენებლობის ზოგადი საკითხებს სოფლად და საბჭოთა პრესის ამოცანებს;

გ) აწყობს მეცადინეობებს, საუბრებს კოოპერაციაზე, სოფლის საბჭოს მუშაობაზე, კულტურულ მუშაობაზე, რევოლუციონურ კანონიერებაზე, კავშირზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის შორის და სხვა, ამასთან ყველა ამ განსახილველ საკითხს უკავშირებს ადგილობრივ პირობებს და სოფლის კორესპონდენტთა მუშაობის ამოცანებს;

დ) აწყობს სოფლის კორესპონდენტთა გამოცემებში წამოყენებული საკითხების კოლექტიურ კითხვას და განხილვას;

ე) აწყობს ადგილობრივ კედლის გაზეთში და სამაზრო, საოლქო და ცენტრალურ გაზეთებსა და ჟურნ. მოთავსებულ სოფლის კორესპონდენტთა შენიშვნებისა და კორესპონდენციების განხილვას, აგრეთვე ადგილობრივ კედლის გაზეთში მიღებულ და ნაბეჭდ გაზეთებში გასაგზავნ შენიშვნების განხილვას, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება ავტორის ფსევდონიმის გამომჟღავნება და სავალდებულოთ დაწესება წრეში სოფლის კორესპონდენტთა ყველა იმ შენიშვნის განხილვა, რომელიც ნაბეჭდ გაზეთში უნდა, გაიგზავნოს;

ვ) ღებულობს ზომებს, რათა დაჩქარებულ იქნეს გამოძიება იმ შენიშვნების გამო, რომლებიც ეკუთვნის წრის სოფლის კორესპონდენტებს, აღნიშნავს კედლის გაზეთსა და ნაბეჭდ გაზეთებში მოთავსებული შენიშვნების შედეგებს;

ზ) აწყობს წრეში კედლის გაზეთის გამოსული ნომრების შინაარსის და გამოსაშვებად განზრახული ნომრების გეგმების განხილვას, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ წრის წევრებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაზეთის დაყენებაში და წარმოებაში და რაც ახალ გლეხებს მიიზიდავს კედლის გაზეთსა და წრეში;

თ) აწყობს წრის ღია კრებებს და იწვევს ამ კრებებზე გლეხებს და გლეხ-ქალებს, რომლებსაც ჯერ არ უწერიათ, მაგრამ რომლებსაც აინტერესებთ სოფლის კორესპონდენტთა მუშაობა და გაზეთები; იმ მიზნით, რომ სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობაში ჩააბას რაც შეიძლება მეტი გლეხი, წრე ქოხ სამკითხველოებთან ან სხვა პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მოსახლეობისათვის დროგამოშვებით აწყობს მოხსენებებს პრესის და სოფლის კორესპონდენტების შესახებ, კედლის გაზეთის საჩვენებელ გასამართებს, პრესის საღამოებს და სხვ., მონაწილეობას იღებს სოფლის იმ პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთო საქმიანობაში, რომლებიც გაზეთზე მუშაობენ;

ი) ხელს უწყობს პრესის გავრცელებას მასის ავტორიტეტს აწევს გზით—სოფლის კორესპონდენტთა შენიშვნების მოღწევებით, სოფლის ყრილობასა და კრებებზე პრესის მნიშვნელობის და სარგებლიანობის განმარტებით, გლეხებისთვის გაზეთებზე და ჟურნალებზე ხელის მოწერის პირობების მიწოდებით; პრესის მეშვეობით ხელს უწყობს საფოსტო განყოფილებების მუშაობას გაზეთებსა და ჟურნალებზე ხელის მოწერის შეკრებაში, გაზეთებისა და ჟურნალების დაგზავნაში და სხვა საქმეებში,

კ) რომელიმე ადგილობრივ სოფლის კორესპონდენტის დევნის დროს, წრე ღებულობს ზომებს მის დასაცავად იმით, რომ ატყობინებს ამ ამბავს მახლობელ ნაბეჭდ გაზეთს, ხოლო პარტიულ-საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მეშვეობით—პროკურორსაც.

3. სოფლის კორესპონდენტთა წრის მოწყობა

3. სოფლის კორესპონდენტთა წრე ეწყობა ადგილობრივ კედლის გაზეთთან, ხოლო იქ, სადაც ასეთი გაზეთი არ არსებობს, წრე თავის პირველ მიზნად ისახავს მის შექმნას.

4. კედლის გაზეთს, რომელსაც სოფლის კორესპონდენტთა წრე უშვებს, ეწოდება ამა და ამ (აღინიშნება სახელი) სოფლის ან თემის გაზეთი და მასში მონაწილეობას იღებს ყველა მსურველი საშუალო და ღარიბ გლეხებიდან.

5. წრისა და კედლის გაზეთის მუშაობას ხელმძღვანელობს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს წრის საზოგადო კრება და მის მიერვე განსაზღვრული ვადით.

6. იმ მიზნით, რომ უკეთ მოეწყოს ურთიერთის ინფორმაცია, სოფლის მიმდინარე ცხოვრებისა და მუშაობის საკითხები, წრე სარედაქციო კოლეგიის მეშვეობით, პირველ რიგში კი მასში შემავალ კომუნისტებისა და კომკავშირელების მეშვეობით, ამყარებს რაც შეიძლება მჭიდრო კავშირს ს. კ. პ. (ბ) და კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან—სათემო აღმასკომთან, სოფლის ან თემის საბჭოსთან, კოოპერატივთან, გლეხკომთან, ქოხ-სამკითხველოსთან და სხ., კედლის გაზეთის გამოსაშვებად და სათანადო ლიტერატურის შესაძენად საჭირო სახსარი და მასალა წრემ უნდა გამონახოს ადგილობრივი პოლიტ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების და დაწესებულებების მეშვეობით და დახმარებით

7. სარედაქციო კოლეგია ცდილობს კედლის გაზეთისა და წრის მუშაობაში ჩააბას ადგილობრივი მასწავლებელი, აგრონომი, და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები.

8. სარედაქციო კოლეგია ამზადებს წრის კრებებს და საკითხთა წესრიგს, კ. პ. (ბ) და კომკავშირის ადგილობრივი უჯრედების რეკომენდაციით და დახმარებით იწვევს მომხსენებლებს და ადმინისტრატიული შემადგენლობის პირებს (მონაწილეობის მისაღებად ამ საკითხების განხილვაში, რომლებიც სოფლის კორესპონდენტებს აინტერესებთ და უშუალოთ დაკავშირებულია მათ მუშაობასთან); სარედაქციო კოლეგია აწარმოებს კედლის გაზეთში შესულ მასალის აღრიცხვას, თვალყურს ადევნებს წრის დღიური წარმოებას, ხელს უწყობს წრის მუშაობის გაშუქებას სოფლის კორესპონდენტთა გამოცემებსა და გაზეთებში, აწყობს კედლის გაზეთებს მონაწილეობას და სხვ.

9. სარედაქციო კოლეგია მთლიანად პასუხს აგებს როგორც წრის მუშაობისთვის, ისე ადგილობრივი კედლის გაზეთის შინაარსისა და იქ მოთავსებული მასალისათვის.

10. სოფლის კორესპონდენტთა წრე ამყარებს მჭიდრო კავშირს მახლობელ ნაბეჭდი გაზეთის რედაქციასთან (სამაზრო ან საოლქო გაზეთთან, ხოლო სადაც სამაზრო ან საოლქო გაზეთი არ არის—ცენტრის გაზეთთან) და თავის მუშაობაში უველაზე უწინარეს ხელმძღვანელობს ამ გაზეთის ჩვენებებით და მითითებებით, აწვდის მას თავისი მუშაობის ინფორმაციას, მიმართავს ამა თუ იმ საკითხების განსამარტებლად და სხ. სათანადო ნაბეჭდი გაზეთის რედაქციის მეშვეობით წრე კავშირს აბამს სამაზრო, საოლქო და სხვა საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

11. როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ნაბეჭდი გაზეთები არ აწყობენ სოფლის კორესპონდენტთა ცალკე, „საკუთარ" წრეებს, რაც რასაკვირველია, შეუძლებელს არ ხდის, რომ ისინი უშუალოთ დაუკავშირდენ თავიანთ სოფლის კორესპონდენტებს და პირადად მათ უგზავნიდენ თავიანთ ინსტრუქციებს.

12. სოფლად არ ეწყობიან ქალებისა და ახალგაზრდების სოფლის კორესპონდენტთა განკერძოებული წრეები —ეს საერთო წესია, მაგრამ ქალთა და ახალგაზრდათა გამოცემებისაგან მიღებულ საკითხთა და მითითებათა განსახილველად, აგრეთვე სპეციალურად სოფლის კორესპონდენტ ქალებს და კორესპონდენტ ახალგაზრდებს, საჭიროების მიხედვით, შეუძლიათ შეიკრიბონ სპეციალურ თათბირებზე. იქ, სადაც, ყოფა-ცხოვრების ან სხვა პირობების გამო (საბჭოთა აღმოსავლეთის ერებში), ვაჟებისა და ქალების ერთად მეცადინეობა ხელს უშლის ქალების დამოუკიდებლობის ხასიათით გამოაშკარავებას, დასაშვებია სოფლის კორესპონდენტ-ქალების ცალკე წრეების მოწყობა. ამასთან საჭიროა ასეთი წრეები ჩაითვალოს მოსამზადებელ საფეხურად სოფლის კორესპონდენტ - ქალების საერთო წრეში შესასვლელად.

პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავისათვის

ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხი მეორე ყრილობაზე

ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხმა წესდების საკითხზე არანაკლებად ახადა ნიღაბი ლეგალურ და რეფორმისტულ მარქსიზმს. ორი ტაქტიკა აქაც ნათლად გამოირკვა. პირველი—ლენინის ტაქტიკა, მეორე—მარტოვ-პოტრესოვის.

ლიბერალურ ბურჟუაზიის როლის დაფასება რევოლუციაში გამომდინარეობდა პრინციპიალური და ტაქტიკურ შეხედულებებიდან და სწორედ აქ უნდა ეჩინა თავი უთანხმოებას. სხვანაირად ბოლშევიზმი და მენშევიზმი ყრილობაზე არ ჩამოყალიბდებოდა.

ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციონური ბუნების გამოაშკარავება ხდებოდა მაშინდელ „ისკრის" მუშაობის საგნათ, ლიბერალებს მხოლოდ ოპოზიციაში დგომა შეეძლოთ, სხვა არაფერი. ეს დებულება აშკარად დამტკიცდა 1905 წლის და 1917 წ. რევოლუციების დროს.

ლენინი ამბობდა—„დიახ, ჩვენ გამოვიყენებთ ლიბერალებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე ჩვენ მუშებს უნდა უთხრათ, რომ ლიბერალური ბურჟუაზია არაზმდა, იგი შეიქმნის საკუთარ პარტიას და საერთო მტრის (თვითმპყრობელობის) დამხობის შემდეგ გამოილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ".

ეს დებულება 100 პროცენტით გამართლდა რუსეთის რევოლუციის დროს.

1905 წ. რევოლუციის დროს ლიბერალური ბურჟუაზია დაკმაყოფილდა ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით—სახელმწიფო სათათბიროს მოწვევით.

1917 წ. ლიბ. ბურჟუაზიამ თვითმპყრობელობის დამხობა თავის დამხობად იგულისხმა და მაშ რეაქციასთან ერთად იმავე მეფის გენერლებთან ერთად, რომლებიც წინად ოპოზიციაში იდგა, ღაირაზმა და სამოქალაქო ომში პროლეტარიატის წინააღმდეგ იბრძოდა.

ლიბერალური ბურჟუაზიის ღალატის და რეაქციონური ბუნების არა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამ მაგალითებს ძლიერ მდიდარია ისტორია და რევოლუციის სინამდვილე.

ცხადია, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კავშირი იმ ფორმით, რომელსაც იცავდა მარტოვ-პოტრესოვის ჯგუფი, იქნებოდა პროლეტარიატის ინტერესების ღალატი, მათი რევოლუციის გატარება იქნებოდა მუშათა კლასის მოტყუილება და სტრუვეს ლეგალურ მარქსიზმისა და ეკონომისტების მიმართულების გამართლება.

სტაროვერის რეზოლუცია პრინციპიალურად განსხვავდება ლენინის და პლეხანოვის რეზოლიუციისაგან.

მარტოვი ლენინის და პლეხანოვის რეზოლუციის წინააღმდეგ გამოდიოდა. მარტოვს მხარს ქართველი დელეგატი კოსტროვი უჭერდა.

მარტოვის ჯგუფის (მომავალი მენშევიკების) საუცხოვოთაა გამოხატული სტაროვერის რეზოლუციაში, მასში აშკარად გამოსჭვივის ბურჟუაზიის იმედი და მასთან შეთანხმება.

რეზოლუციაში ნათქვამია; თუ საჭიროება მოითხოვს პარტია თავისი ცენტრალურ დაწესებულებების საშუალებით დროებით შეუთანხმდება ლიბერალურ მიმდინარეობებს, მაგრამ ერთის პირობით, რომ ეს მიმდინარეობანი აშკარად და პირდაპირ განაცხადებენ, რომ თავიანთ ბრძოლაში თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ ისინი გადაჭრით დადგებიან რუსეთის სოც.-დემოკრატიის მხარეზე და არ წამოაყენებენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მუშათა კლასს.

ამ ყველა დებულების შესახებ ლენინი ირონიულად ილაშქრებდა.

პოლიტიკანის ნაკლებად მცოდნეც კი მიხვდება, რომ აქ სტაროვერის ან გულუბრყვილობაა და ბურჟუაზიის ბუნების არ ცოდნა, ანდა უარის თქმა სოციალ-დემოკრატობაზე.

ყრილობაზე ორმა რეზოლუციამ ამ საკითხზე თითქმის ერთნაირად მიიღო ხმები.

მარტოვ-პოტრესოვის რეზოლუცია ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების შესახებ, შემთხვევითი არ იყო. ეს ოპორტუნიზმი თანდათან განვითარდა მარტოვის ჯგუფში.

ამავე ოპორტუნიზმმა თავი იჩინა შემდეგ დროებით რევოლუციონურ მთავრობაში მონაწილეობის საკითხის გარჩევის დროს, როგორც ვიცით, დროებითი მთავრობას 1905 წ. მარტოვის ჯგუფი სტოვებდა მხოლოდ ბურჟუაზიის ამარა. ისინი გადაჭრით უარყოფდენ პროლეტარიატის მონაწილეობას აქ, ისევე, როგორც პროლეტარიატის დიქტატურას საერთოდ.

მეორე ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია სტაროვერისა შეიცავს მენშევიზმს, ამ გზისთვის მენშევიკებს არც შემდეგ უღალატნიათ. 1905 წ. 9 იანვრის ამბებს რევოლუციის დაწყება და მისი შემდეგი განვითარება მოჰყვა, 6 აგვისტოს 1905 წ. რევოლუციით შეშინებულმა რუსეთის იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი სახელმ. სათათბიროს მოწვევის შესახებ. ამ სათათბიროს საარჩევნო უფლება ისე იყო მოჭრილი, რომ მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები მიიღებდა მონაწილეობას მასში. ამ სათათბიროს ავტორი იყო სენატორი ბულიგინი და „სათათბიროს" სახელწოდებაც შევიდა ისტორიაში, როგორც ბულიგინის სათათბირო. სათათბიროს ბოლშევიკებმა ბოიკოტით უპასუხეს და შეიარაღებული აჯანყება წამოაყენეს ლოზუნგად.

მენშევიკები იყვნენ ბოიკოტის წინააღმდეგნი და—კაპიტულაციონურ მათ „რევოლიუციონური თვითმმართველობის ორგანიზაცია", ოქტომბერმა ბულიგინის სათათბირო უკუაგდო და 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით თვითმპყრობელობა მეტ დათმობისაკენ მიდიოდა, ვინემ ბულიგინის სათათბირო იყო. ახალი 11 დეკემბერს კანონით იწვევდა სათათბიროს, რომელიც ფაქტიურად მუშებს და გლეხებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების არ აძლევდა. ბოლშევიკებმა ამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი სთქვეს, მენშევიკებმა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს, კადეტები ამ სათათბიროს შეუმდგენები იყვნენ, მენშევიკები მათთან მონაწილეობდენ და მოითხოვდენ „პასუხისმგებელ სამინისტროს შიგნით". (იხ. სათათბიროს დეპუტატის, ისიდორე რამიშვილის სიტყვა).

მაშინაც, როცა რევოლიუციონური სიტუაცია მუშათა კლასის სასარგებლო იყო და პროლეტარიატი ქუჩაში საბრძოლველად გამოდიოდა, გლეხობა მემამულეებს ებრძოდა, მეზღვაურები თავიანთ სამხედრო გემებით თვითმპყრობელობის დასანგრევად მიიწევდა, მარტოვის მომხრენი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად პასუხისმგებელ სამინისტროს მოითხოვდნენ.

ცხადია, მეორესა და შემდეგ სახელმწიფო სათათბიროებში ბოლშევიკები მონაწილეობას იღებდენ და ეს ხდებოდა რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ეს გამომდინარეობდა ლეგალურ საშუალებათა გამოყენების ტაქტიკიდან, ეს ტაქტიკა იყო არალეგალური მუშაობის დამატება.

ლიბერალურ ბურჟუაზიასთან შეთანხმების მომხრენი და ავტორნი მარტოვი, დანი, პოტრესოვი, ლარინი და ლევიცკი 1911—12 წლებში უკვე ლიკვიდატორები გახდნენ, რაც ლოღიკური დასკვნა იყო მეორე ყრილობაზე რომ შეუდგენ მარტოვის ტაქტიკისა.

ლიკვიდატორების მთავარი აზრი იმაში გამოიხატებოდა, რომ 1905 წ. რევოლუცია მათი შეხედულებით სრულებით დამარცხებულია, მისი განმეორება არ მოხდება და ამიტომ ხელი უნდა აეღოთ ყოველგვარ არალეგალურ მუშაობაზე და შეეცვალათ მუშათა კლასის ეკონომიური პირობების გაუმჯობესების ლეგალური და მშვიდობიანი გზით. აი,—გაგრძელება ეკონომიზმის და სტრუვეს „მარქსიზმის".

ცნობილია, რომ ამ დროს ბოლშევიკებშიც გაჩნდა სხვადასხვა მიმდინარეობა: მაგალითად ოტზოვისტები და ულტიმატისტები. ესენი მემარცხენეებიდან. ოტზოვისტები ვერ ამჩნევდენ რევოლუციის და რეაქციის სხვადასხვა პერიოდებს და იმეორებდენ იმას, რასაც პირველი სათათბიროს არჩევნების დროს ამბობდენ. როგორ შეიძლება სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა, დეპუტატები უნდა გავიწვიოთო.. რა უნდა ჩვენს დეპუტატებს შავრაზმულ სათათბიროში. ოტზოვისტები აგრეთვე უარყოფდენ ლეგალურ საშუალებათა გამოყენებას, ბოლშევიკების საქმიანობას პროფკავშირებში და სხვ.

ულტიმატისტები კი უმატებდენ დეპუტატებს ულტიმატუმი წაუყენეთ ც.-კ.-მ და თუ არ დაემორჩილა, მაშინ საჩქაროდ გავიწვიოთ უკანვეო.

ამ მიმართულებათა სათავეში იყვნენ: ლუნაჩარსკი, ბოგდანოვი, პოკროვსკი, ლიადოვი და სხვ.

პლეხანოვის ჯგუფიც ცალკე იყო, მისი მიმართულება ლიკვიდატორებისაგან მხოლოდ არალეგალურ მუშაობის საკითხში განსხვავდებოდა.

ტროცკი და მისი ჯგუფი თავის თავს ფრაქციათა გარეშე სთვლიდა, იცავდა „ნეიტრალიტეტს" და ქადაგებდა ფრაქციათა შეთანხმებას, მის შესახებ ლენინი სწერდა: „ყველა ის, ვინც მხარს უჭერს ტროცკის, მხარს უჭერს სიცრუეს და მუშების მოტყუების პოლიტიკას".

მეორე ყრილობის უმრავლესობამ გამოაშკარავა აგრეთვე სოციალისტ-რევოლიუციონერების წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება და ის აღიარა ბურჟუაზიულ-რევოლიუციონურ პარტიად, გადაჭრით უარჰყო ყოველივე ცდა მასთან კავშირის. ყრილობამ მხოლოდ შესაძლებლად სცნო მათთან კერძო შეთანხმება ცალკე შემთხვევაში თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს. აქსელროდის რეზოლიუციაში ასეთი შესწორება შეტანილ იქნა პლეხანოვის მიერ. ამ შესწორებას მხარი დაუჭირა ამხ. ლენინმა.

მეორე ყრილობის მიერ სოც.-რევოლიუციონერების წვრილ-ბურჟუაზიული ბუნების გამოაშკარავება კიდევ უფრო ნათელი გახდა შემდეგში.

თ. ჟღენტი.

ფურცელი წარსულიდან

პარტიის მეორე ყრილობიდან კავკასიელ დელეგატების ამხ. არშაკ ზურაბოვის და ბოგდან კნუნიანის დაბრუნების შემდეგ კავკასიის საკავშირო კომიტეტმა გადასწყვიტა მოეწყო კრება, რათა საბოლოოდ გამოერკვია თავისი დამოკიდებულება იმ უთანხმოებებისადმი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ყრილობაზე.

აქ საჭირო იყო მოხერხებული ადგილის გამონახვა კრების მოსაწყობად, რათა თავიდან აგვეცილებინა მარცხი, ვინაიდან იმ დროს ჟანდარმერია გაფაცხებით თვალყურს ადევნებდა კომიტეტის წევრებს ყოველ ნაბიჯზე და უკანასკნელნი მიმართავდენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომ როგორმე თავი დაეღწიათ ოხრანკისაგან.

დაბოლოს შევჩერდით ამხ. ზურაბოვის, როგორც თავისი პატრონის, ბინაზე და სხდომის დღე შეუფარდით ნათლიღების დღესასწაულის წინა დღეს, ე. ი. 5 იანვარს.

„სადღესასწაულო" მზადება დავალებული ჰქონდა მე და ამხ. როზა ლოკერმანს, რომელიც ახალი გამოქცეული იყო ტაგანროგის ციხიდან და არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში. ჩვენ დიდ ხანს მოუნდით სუფრის გაწყობას, მაგრამ სამაგიეროთ ის ხვასიებთ „სადღესასწაულო" გამოვიდა.

როგორც კომოსალომდა შეიკრიბენ სტუმრები". 7 საათზე უკვე მოსული იყვნენ. ბ. კნუნიანი, მ. ცხაკაია, მ. ბოჭორიძე, პოსტალოვსკი, რომლებიც „გახსნილების" შემდეგ შეუდგენ მუშაობას.

მე და ამხ. როზა შევედით მეზობელ ოთახში და ყურადღებით უსმენდით საკითხის განხილვას. ყველა ამხანაგები მხარს უჭერდენ უმრავლესობის ხაზს.

დაახლოებით ღამის 11 საათზე ამხ. არშაკმა სთქვა, „წყნარად ამხანაგებო" და გავიდა აივანზე, სადაც დაუყოვნებლივ შემობრუნდა და გვაცნობა, რომ მოვიდნენ „ჟანდარმები". მან სწრაფად აკრიფა ქაღალდები მაგიდიდან და გამართა ავადმყოფი ცოლის ოთახისკენ. იმავე წუთში მეც დავავლე ხელი ბალიშ ქვეშ გადამალულ არალეგალურ ლიტერატურის მთელ დასტას და გავყევი ამხ. არშაკს. როგორც კი შევიხედეთ ყოველივე ეს არშაკის ცოლის საბან ქვეშ, კარებში გამოჩნდა ჟანდარმთა ოფიცრის ფიგურა.

არშაკი არ დაიბნა და ავადმყოფი ცოლის მძიმე მდგომარეობის გამო სთხოვა ოფიცერს არ გაეჩხრიკა ეს ოთახი, ოფიცერი დასთანხმდა და იმ პირობით, თუ ოთახში არავინ არ შევიდოდა.

ჩვენ ცოტათი დავმშვიდდით, დარწმუნებულნი, რომ ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, საიმედო ადგილასაა გადამალული. იმ წამშივე ჟანდარმები შეუდგენ ჩხრეკას და დამსწრეთა პიროვნების გამორკვევას, ამხანაგებს ვერაფერი ვერ აღმოუჩინეს და მხოლოდ ჩამოართვეს მისამართები (რასაკვირველია ფიქტიური), რის შემდეგ ოფიცერმა მათ ნება დართო წასულიყვნენ. დააკავეს მხოლოდ ამხ. კნუნიანი, რომელმაც ჩხრეკის დროს დახია რაღაც ქაღალდი, რაც შეამჩნია ჟანდარმმა. კნუნიანი არ დაიბნა და განაცხადა, რომ ქაღალდზე იყო მისი მისამართი და დაასახელა რომელიღაც ცნობილი მდიდარი ხომეხი, რის შემდეგ ოფიცერმა ისიც განთავისუფლა.

ბინის ჩხრეკა გაგრძელდა ღამის 8 საათამდე. ჩხრეკის დროს ჩვენ დამშვიდებული ვიყავით, ვფიქრობდით რა, რომ ყველაფერი გადამალულია. უეცრად ოფიცერმა არშაკს უჩვენა ქუდიდან ამოღებული წერილი, რომელიც არშაკს დამზადებული ჰქონდა არალეგალურ ჟურნალ „ბრძოლა"-სთვის. ოფიცერს სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა. მან წერილი შეინახა ჯიბეში და როცა ჩხრეკის დამთავრების შემდეგ შეუდგა ოქმის შედგენას, მას სრულებით გადაავიწყდა ეს წერილი და შემდეგ არც დაკითხვის, არც არშაკისათვის წაყენებულ ბრალდებებში, ეს დოკუმენტი არ ყოფილა მოხსენებული.

ჩხრეკის დამთავრების შემდეგ არშაკს წინადადება მისცეს გაჰყოლოდა ჟანდარმებს სამპატიმროში, სადაც მან დაჰყო სამი თვე, რის შემდეგ ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს ასტრახანში.

ჟანდარმების წასვლის შემდეგ მე და ამხ. როზა შევუდგით ბინის დალაგებას. ყველაფერი თავდაყირა იყო გადაბრუნებული. ჩვენ ოთახში საწოლს და კედლის შუა ჩვენ აღმოვაჩინეთ დამუშნებული ქაღალდის ფურცლები, რომლებიც შეუმჩნეველი დარჩა პოლიციას. ეს იყო საკ. კომიტეტის რეზოლიუციის პროექტი ლონდონის ყრილობის შესახებ. პროექტი სავსებით იწონებდა ბოლშევიკების ხაზს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ამხ. მიხა ცხაკაიამ მოხერხებულ მომენტში ეს რეზოლიუცია შეაგდო ჩემს ოთახში იმ იმედით, რომ მე შევძლებდი მის გადამალვას. საბედნიეროდ ეს უდრისად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჟანდარმებმა ვერ ჩაიგდეს ხელში.

„ოპერაციის ზიზღი" ძვირად დაუჯდა ჟანდარმთა ოფიცერს. ის დასაჯეს იმით, რომ დაითხოვეს სამსახურიდან და გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში.

ნ. ალ.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

30 ივლისს შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზედაც ავლაბარში თეატრის აგებისა და სათეატრო შენობის პროექტის დამუშავების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. სიხარულიძემ. პრეზიდიუმმა ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენების შემდეგ დაამტკიცა სპეციალურად გამოყოფილი ჟიურის მიერ მოწონებული პროექტი, რომელიც აღმოჩნდა შედგენილი ინჟ. ფ. ზარომჩენსკის მიერ.

პროექტით ავლაბარში აგებული უნდა იქნეს დიდი ორ-იარუსიანი სახალხო თეატრი 750 ადგილით. თეატრის აგება და მოწყობა გეგმის თანახმად დაჯდება სულ 331.600 მანეთი.

ადგილობრივი მეურნეობის წარმოებების ბალანსის შესახებ მოსმენილი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1926-27 წლის განმავლობაში ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას წარმოებებიდან შემოსულია 127.035 მან. ნაღდი მოგება. აქედან აგურის წარმოებას მოუტანია 11.835 მანეთი, ლუდის წარმოებას — 93. 907 მანეთი, „თეჭას" 21.230 მან. და სხვა. ამავე პერიოდის განმავლობაში ხის დამმუშავებელ წარმოებას მოუტანია 22.000 მანეთის ზარალი. მოგების განაწილება პრეზიდიუმმა დაამტკიცა შემდეგი სახით: 16.850 მ. გადაიდო საშემოსავლო გადასახადის დასაფარავად; 11.068 მან. — მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდის გასაძლიერებლად. 10 პროცენტი — წარმოების სათადარიგო ფონდში, 25 პროცენტი სამრეწველო ფონდის გასაძლიერებლად, 10 პროცენტი მრეწველობისათვის გრძელვადიანი სესხების გაბაცემ ფონდის გასაძლიერებლად და სხვა.

სამზადისი საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

საშემოდგომო თესვის კამპანიის შესახებ პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება გააკეთა საადგილმამულო განყოფილების წარმომადგენელმა შ. ადიკაშვილმა. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა ის პირობები, რომელშიაც მოხდა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარება და აღნიშნა, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანიის გამოცდილების შემდეგ, საჭირო იქნება საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის ეხლავე იქნეს დაწყებული წინასწარი სამზადისი, რათა კამპანიის ჩატარებაში მეტი შედეგი გამოიღოს საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს, მომხსენებლის ცნობით, სულ თბილისის მაზრაში დათესილი უნდა ყოფილიყო 29 ათასი დესეტინა მიწა. აქედან დაითესა მხოლოდ 19.892 დესეტინა. კამპანიის ჩასატარებლად დარიგებული იყო 20,000 მანეთი სესხი. გარდა ამისა კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით გამოყვანილი იყო სამუშაოდ 194 გუთანი, 22 სათესი მანქანა და 8 ტრაქტორი.

იმ მიზნით, რომ მომავალ საშემოდგომო თესვის კამპანია ჩატარებული იქნეს უფრო ნაყოფიერად, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სათესლე მასალის ხარისხს, ნიადაგის დამუშავების ტეხნიკის გაუმჯობესებას და ღარიბი მოსახლეობისათვის სხვადასხვაგვარი სახის დახმარების გაწევას (მუშა-საქონლის მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდება დახმარების აღმოჩენა თესვის შეძენაში და სხვ.).

ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თუ 1927-28 საოპერაციო წლის განმავლობაში მთელ თბილისის მაზრაში დათესილი იყო 59,664 დესეტინა მიწა, საადგილ-მამულო განყოფილების განზრახული აქვს მომავალი წლისათვის ეს სივრცე გაადიდოს 65—70 ათას დესეტინამდე. ამ სივრციდან შემოდგომისათვის დათესილი უნდა იქნეს 40.000 დესეტინა. შარშან შემოდგომაზე კი დაითესა მხოლოდ 32.000 დესეტინა.

თესვის კამპანიისათვის საჭირო სათესლე მასალა შეძენილი იქნება ადგილობრივ ბაზრებზე.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თესვის კამპანიის ჩასატარებლად თბილისის მაზრაში საჭირო იქნება 270,000 მანეთის დახარჯვა. ამ თანხიდან ნაწილი უნდა გაიღოს თბილისის აღმასკომმა, რადგან რესპუბლიკანური ფონდიდან ასეთი ხარჯის სავსებით დაფარვა არ მოხერხდება.

აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომამ მოიწონა და დაამტკიცა საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა.

ფინანსები ტეხნიკური განათლებისათვის

გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ტეხნიკური განათლების ფინანსებით მომარაგების გაძლიერებისა და სტუდენტობის მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ. საბჭოთა კავშირის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტით 1928-29 წლისათვის გათვალისწინებული თანხების გადიდება ნავარაუდევია 45 მილიონი მანეთით მაინც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით. ეს მომატებული თანხა უნდა მოხმარდეს კაპიტალურ სამუშაოებს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებსა და ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებში, ამ სასწავლებლების მასწავლებელთა პერსონალის ხელფასის გადიდებას, სტიპენდიების გადიდებასა და გამრავლებას ამ სასწავლებლების მოსწავლეთათვის და იმ ასპირანტებისათვის, რომლებიც პედაგოგიურ მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად იქნებიან დატოვებულნი უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში და ინდუსტრიალურ მეცნიერულ კვლევის ინსტიტუტებში; ხსენებული თანხა უნდა მოხმარდეს აგრეთვე დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლების და ტეხნიკუმების მასწავლებელთა პერსონალის ხელფასის გადიდებას და ამავე სასწავლებლების მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდებას და გამრავლებას.

უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური განათლების საჭიროებისათვის გადაიდება სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების (საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის) მოგებათა ანარიცხები; ამ ანარიცხების გადადება დაიწყება 1927-28 წ. ბალანსებით მიღებული მოგებიდან, მათი რაოდენობა უდრის გასანაწილებელი მოგების 3 პროცენტს. ოქტომბრის პირველიდან უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების და ინდუსტრიალური ტეხნიკუმების პროფესორებისა და მასწავლებლების ხელფასი დიდდება 30 პროცენტით მაინც, დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში კი — 15 პროცენტით მაინც. ამავე ვადიდან უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებთან და ინდუსტრიალურ სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებთან სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად დატოვებულ ასპირანტებს სტიპენდია უდიდდება 150 მანეთამდე თვეში. ასეთი სტიპენდიების რიცხვი 200-მდე დადდება. უმაღლეს სასწავლებლებში, მუშათა ფაკულტეტებზე და ტეხნიკუმებში მოსწავლეთ 1 ოქტომბრიდან სტიპენდიები უდიდდებათ: პირველ, მეორე და მესამე ზოლში — უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების უმცროს კურსებზე 35, 31 და 28 მანეთამდე, ორ უფროს კურსზე — 45, 40 და 36 მანეთამდე, დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებში და მუშათა ფაკულტეტებზე — 30, 27 და 24 მ, ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებში — 20, 18 და 16 მან. პირველ ზოლს ეკუთვნიან სამუშაო ხელფასის პირველი და მეორე სატარიფო ზოლის ფარგლებში არსებული სასწავლებლები, მეორეს — მესამე და მეოთხე სატარიფო ზოლის სასწავლებლები, ხოლო მესამეს — ყველა დანარჩენი სატარიფო ზოლის ფარგლებში არსებული სასწავლებლები. ცალკე წარმოებებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ თავის ხარჯზე და უნიშნონ მოსწავლეებს სტიპენდიები და აგრეთვე მისცენ მათ დამატებანი სახელმწიფო სტიპენდიებზე. სტიპენდიების დანიშვნის დროს ხსენებული ორგანიზაციები შეზღუდული არ არიან წინა მუხლში განსაზღვრული რაოდენობით, სტიპენდიების საერთო რიცხვს სასწავლებლებზე ანაწილებენ ის სახალხო კომისარიატები, რომელთა გამგებლობაშიაც არიან ეს სასწავლებლები, ხოლო პერსონალურად მოსწავლეებზე სტიპენდიებს ანაწილებენ სათანადო სასწავლებლების მმართველი ორგანოები. ორივე შემთხვევაში სტიპენდიების განაწილებაში მონაწილეობას ღებულობენ დაინტერესებული სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს წინადადება ეძლევათ სასწრაფოდ მიიღონ საჭირო ზომები უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების და ინდუსტრიალური ტეხნიკუმების მოსწავლეთა საბინაო პირობების და საქმიანი დახმარების გასაუმჯობესებლად. (ადს)

საბჭოთა საქართველო

წერილები

რას აკეთებს საკრედიტო ამხანაგობა

(ზუგდიდი)

„სოფლის კავშირმა" უკანასკნელ ხანებში შემოიღო ძირითად ამხანაგობების წარმომადგენლების მოხსენებების მოსმენა გამგეობის სხდომებზე. ყოველ ამხანაგობის ასეთ მოხსენებას წინ უძღვის ამხანაგობის გამოკვლევა „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორების მიერ. ამ ზომის მიზანია ამხანაგობათა საქმიანობის სუსტი მხარეების გამომჟღავნება და მეტი გარკვეულობის შეტანა ძირითად ერთეულებისა და „სოფლის კავშირის" ურთიერთობაში.

„სოფლის კავშირის" უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ზუგდიდის სას.-სამ. საკრ. ამხანაგობის მოხსენება, მისი მდგომარეობის შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ დადებით მხარეებთან ერთად (წევრთა რიცხვის თვალსაჩინო ზრდა, კოლექტიურ მეურნეობათა გაფართოება და სხ.) ამხანაგობის საქმიანობაში ადგილი აქვს მრავალ დეფექტსაც. ასე მაგალითად: საკუთარ თანხების დაგროვებას ამხანაგობა ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს: ის პირები, რომლებიც ამხანაგობიდან სესხით სარგებლობენ თავის დროზე არ იხდიან დავალიანებას და ამ რიგათ ამხანაგობას საგრძნობი თანხები აქვს დაბანდებული უმოძრაოთ. მსესხებელთა შორის მოიპოვებიან პირები, რომლებსაც საერთო არაფერი არა აქვთ სასოფლო მეურნეობასთან; ასეთ პირებზე გაცემულია 4.000 მანეთამდე. საკუთარი თანხების სიმცირის გამო ამხანაგობის მთელი საქმიანობის 94 პროცენტი დამყარებულია ნასესხ საშუალებებზე. საკუთარი თანხებით შეძენილ ტრაქტორს ამხანაგობა არ იყენებს დანიშნულებისამებრ—ეს ტრაქტორი მას გადაუცია ქალაქის აღმასკომისათვის, რომელიც ტრაქტორით სარგებლობს ქალაქის გასანათებლათ.

ამხანაგობას სუსტათ აქვს დაყენებული ანაბარების მიზიდვის საქმეც, 6.332 მანეთ ანაბარიდან ინდივიდუალურ მეანაბარეთა წილი უდრის მხოლოთ 443 მანეთს. მოუვლელობის გამო ამხანაგობას გაუფუჭდა სამაზრო აგრონომიულ განყოფილებასთან ერთად გაშენებული ვენახი, რის გამოც მან იზარალა 983 მან. ამხანაგობამ ვერ შესძლო კონტრაქტაციის ჩატარება თამბაქოზე. ამხანაგობის საქმიანობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს საკრედიტო ოპერაციებს, რომელთა შორის აღსანიშნავია სესხების გაცემა ჩაის კულტურაზე. ამხანაგობას ჩაი გაშენებული აქვს 261 დესეტინა მიწაზე.

შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლათ „სოფლის კავშირმა" შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები.

ლი.

სახალხო სახლი უნდა გვქონდეს

(კოხნარის თემი, გურია)

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი თემი დაწინაურდა კულტურულად. გახსნილ იქნა სამეურნეო სკოლა, ორი ოთხწლედი, ორი ქოხ-სამკითხველო, აგებულ იქნა შენობა გლეხკომისათვის და სხვა. ასეთ დაწინაურებულ თემს ერთი ნაკლი აქვს: არ არის სახალხო სახლი.

სახალხო სახლის აგება ადვილად შეუძლია 700 კომლიან თემს. ადგილობრივი პარტ. ორგანიზაცია და საბჭო უკვე შეუდგა ამ დიდი კულტურული საქმის შესრულებას. საჭირო არის, რომ კოხნარის თემის ის მკვიდრნი, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში მუშაობენ, გამოეხმარონ ადგილობრივ საბჭოს წამოწყებას და დაეხმარონ მას ამ საქმის წარმატებით დამთავრებაში. მათ არ უნდა დაიშურონ თავიანთი წვლილი ამ ფრიად კულტურულ საქმისათვის.

ზენია დოლიძე.

როგორ ვმუშაობთ?

(კოკის თემი, ზუგდიდის მაზრა)

კოკის თემის საკრედიტო ამხ. „კოკი"-ს დიდი ხნისა არსებობის ისტორია არა აქვს, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მას პირველი ადგილი უჭირავს მთელ ზუგდიდის მაზრაში. ამხანაგობამ, როგორც ყოველთვის, ისე წელსაც მისცა სესხი თავის წევრებს უღარიბეს გლეხობას. წელს, ცუდი მოსავლის გამო, ჩვენში სიმინდის ნაკლებობა იყო. კერძო ვაჭრებმა და კულაკებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და შეეცადნენ „ხელი მოეთბოთ". ისინი ფუთ სიმინდში ნახევარ ფუთ თხილს მოითხოვდნენ გლეხისგან. საკრედიტო ამხანაგობამ დროზე ალაგმა კულაკები. მან მოიტანა 6.000 ფუთამდე სიმინდი. და მიაწოდა გლეხებს. გარდა ამისა მისცა ღარიბ გლეხობას ავანსი თხილში, და ამრიგათ დაიხსნა ისინი ჩარჩების კლანჭებისაგან. დღემდის ამხანაგობას გაცემული აქვს 20.000 ფუთი თხილის ავანსი. ამხანაგობა კულტურულ მცენარეთა მოშენებასაც მისდევს. წელს ამხანაგობა აბრეშუმის პარკის დამზადებას შეუდგა და 1.200 ფუთამდე აბრეშუმის პარკი შეიძინა. თავის დროზე დამზადებული იყო 22.300 ფუთი სათესლე სიმინდი. დამზადებული სიმინდი დაურიგდა მაზრის სხვა თემებსაც. ადგილობრივ მშრომელი მასა კმაყოფილია ამხანაგობის საქმიანობით.

ვანო კოკელი.

ნიგვზიანის აფ-კარგი

(გურია)

ნიგვზიანის თემის ყველა სოფლებში ძლიერ დაგვიანებით ღებულობენ წერილებს, დეპეშებს და აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებს. არ იქნა და ვერ მოწესრიგდა ჯუმათის ფოსტის მუშაობა. გამგე გამოსცვალეს, მაგრამ ფოსტის მუშაობის წესი ისევ ძველი დარჩა. საჩქარო დეპეშებს დღესაც ისე ღებულობს გლეხი როგორც უბრალო წერილს. სოფლებში ფოსტას დაატარებენ კვირაში ორჯერ. იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როცა ფოსტის დამტარებელს სრულებით „გამორჩება" ხოლმე რამოდენიმე სოფელში შევლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოსტის გამგე გლეხს დეპეშის ბლანკში ახდევინებს 15 კაპ. თუ ამ უკანასკნელმა უფასოდ მიღებული ერთი ბლანკი გააფუჭა. საინტერესოა ვიცოდეთ ნიგვზიანის თემის ფოსტის გამგემ საიდან მიიღო ასეთი განკარგულება? ისიც საინტერესოა ვიცოდეთ, სად აგზავნის ფოსტის გამგე ბლანკებში აღებულ სამ შაურებს.

ამავე თემში არის პარკის საშრობი ფარდული, სადაც გლეხობისგან ნაყიდ აბრეშუმის პარკს ახარისხებენ. ფარდულში ადგილობრივი გლეხის ქალები მუშაობენ. მათ უმნიშვნელო ხელფასი ეძლევათ და გარდა ამისა, 8 საათის მაგიერ 10—12 საათს ამუშავებენ. ქალები არ არიან დაზღვეული. შრომის ინსპექტორმა უნდა შეიხედოს იქ.

კოტე ქვენობნელი.

მუშაობა გაცხოველდა

(ბაშკიჩეთი, ბორჩალოს მაზრა)

ბაშკიჩეთი საერთოდ ჩამორჩენილი კუთხეა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის მხრივ. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული ძალები ბაშკიჩეთს საკმაოდ მოეპოება. მაგრამ მათი ამმოძრავებელი აქამდე არავინ იყო.

წელს ბაშკიჩეთს ამ მხრივ გამოცოცხლება დაეტყო. სახალხო სახლის ძველი გამგეობა და სარევიზიო კომისია გადახალისებული იქმნა. ახალი გამგეობა შეუდგა ენერგიულ მუშაობას. მან მოახერხა რამოდენიმე ფასიანი წარმოდგენის დადგმა და პატარა თანხაც შეაგროვა, რითაც შეაკეთა სახალხო სახლის შენობა, სცენა და შეიძინა დეკორაციები. მან ყურადღება მიაქცია აგრეთვე სამკითხველოსაც, რომელიც მიგდებული იყო ყრუ კუთხეში, გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები. მოაწყო რადიო-მიმღები აპარატი, რომლის საშუალებით გლეხები ისმენენ ლექციებსა და კონცერტებს ბაქოდან და თბილისიდან.

მოგვარებულია აგრეთვე კინო-აპარატის შეძენის საკითხიც. ამოძრავდა დრამატიული წრეც, ეხლა იგი სისტემატიურად დგამს წარმოდგენებს. თემაღმასკომს განზრახული აქვს ერთი დიდი საქმის დაწყება. ეს არის ახალი შვიდ და ცხრა წლედის შენობების აგება.

ახლო ხანში ჩვენი თემი კიდევ უფრო გააცხოველებს მუშაობას და უნდა ვიფიქროთ რომ ის ჩქარა გაუთანასწორდება მაზრის სხვა მოწინავე თემებს.

ჟანელი.

წერილებიდან

— დიდინეჯი, (ზუგდიდის მაზრა), გვაქვს ქოხ-სამკითხველო, მაგრამ ის გლეხობისათვის სრულიად მიუწვდომელია. სამკითხველოთ სარგებლობენ მხოლოდ 7 წლედის მასწავლებლები, რომელთაც ჟურნალ-გაზეთები ისედაც ბლომად მოსდით. ამის მიზეზია ის, რომ სამკითხველო მოთავსებულია ისეთ ადგილას, სადაც გლეხობა ნაკლებად ხვდება. უკანასკნელნი უმრავლესად იკრიბებიან დუქნებში და იქვე მდებარე კოოპერატივის შენობაში. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება. ზუგდიდის სამპოლიტგანმა სამკითხველო უნდა მოათავსოს იქ, სადაც ეს მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება გლეხობისათვის.

მახვილი.

— ველისციხე (კახეთი) წელს ჩვენი რაიონი ძლიერ დააზარალა სეტყვამ. ჯერ იყო და 23 ივნისს მოსულმა სეტყვამ გაანადგურა ვენახების და ნათესების 40 პროცენტი, 30 ივნისს კი მეორეთ წამოვიდა სეტყვა და რაც დარჩა ისიც მოსპო.

დასეტყვილი ვენახი მომავალ წელსაც ვერ იხეირებს, რადგან ზოგან ვაზები მთლიანათ არის დაგლეჯილი, ზოგან კი რქებია დამსხვრეული.

ეხლავეა საჭირო ზრუნვა იმისათვის, რომ მოსახლეობას დახმარება აღმოეჩინოს.

ვინმე.

— ყაზბეგი. აქ ხშირად იდგმება წარმოდგენები, უმეტეს წილად ფასიანი.

იმ მიზნით, რომ მეტი შემოსავალი ექნეს თეატრის სალაროს, წარმოდგენის დროს ხშირად ეწყობა ხოლმე ბუფეტი. აქ საძრახისი არაფერი იქნებოდა, ბუფეტი რომ წარმოდგენის დამთავრებისას იხურებოდეს და იქ რომ მაგარ სასმელებს არ ყიდდენ. უბედურება ისაა, რომ წარმოდგენას იმდენი „მუშტარი" არა ჰყავს, რამდენიც ბუფეტს.

ყველაზე მეტ აქტიურ მონაწილეობას ბუფეტის „საქმიანობაში" ღებულობენ ადგილობრივი მოსამსახურეები. ზოგი „აქტიური" მეორე დღესაც აქ ზის ხოლმე და მრავალჟამიერს აგუგუნებს. საკითხავია ვინ აქეზებს ბუფეტის „აქტივისტის" საქმეს მის სამსახურის ადგილზე?

ელგუჯა.

კონკურსი საბჭოების საუკეთესო სექციაზე

რომელი სექციებია წარდგენილი დასაჯილდოვებლად

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში 27 ივლისს შესდგა უწყებების და სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საუკეთესო სექციების გამოყოფის და დაჯილდოების საკითხი.

თათბირზე გამოყოფილი იქნა საუკეთესოთ მომუშავე ცხრა სექცია, რომლებიც დასაჯილდოებლათ წარედგინა საქართველოს ცაკთან არსებულ საკონკურსო ჟიურის.

დასაჯილდოებლათ წარდგენილი არიან შემდეგი სექციები: 1) ქალაქ ქიათურის საბჭოს საექიმო-სასანიტარო სექცია, 2) ქუთაისის მაზრის ბაღდათის თემის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო სექცია, 3) გორის მაზრის გომის თემის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო სექცია, 4) ბათომის საბჭოს კოოპერატიული სექცია, 5) ქალაქ გორის საბჭოს კომუნალური სექცია, 6) სენაკის მაზრის აბაშის თემის კულტურულ-განმანათლებელი სექცია, 7) ერთი ჯილდო უნდა გადაეცეს აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ადგილობრივ ჩაატარებს კონკურსს. სექციათა ამიერ-კავკასიის კონკურსზე, თათბირის დადგენილებით წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საბჭოს კომუნალური სექცია და ბაღდათის თემის (ქუთაისის მაზრა) საბჭოს კეთილ მოწყობის სექცია.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკონკურსო ჟიური ამ დღეებში განიხილავს წარდგენილ სიას.

სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამთავრა საქართველოს სასოფლო მეურნეობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის პირველი ვარიანტის შედგენა. ამ გეგმის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკის მეცნიერული ძალები და სახელმწიფო, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

იმ მიზნით, რომ პერსპექტიულ გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს ყველა ადგილობრივმა მუშაკმა, გამოყენებული იქნეს ადგილობრივ მუშაკთა პრაქტიკული გამოცდილება, რომ მთლიანად იქნეს გათვალისწინებული ცალკე რაიონის სპეციფიური მოთხოვნილება - საჭიროებანი და ცენტრის მუშაკები უფრო დაახლოვებით გაეცნონ ადგილობრივ წარმოებულ მუშაობას, სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 8-დან 19 აგვისტომდე ავტონომიურ რესპუბლიკებს და მაზრებში ჩატარებული იქნება ადგილობრივი თათბირები, რომელზედაც განხილული იქნება პერსპექტიული გეგმის პირველი ვარიანტი. თათბირებს დაესწრებიან საგეგმო კომისიის წარმომადგენლები.

ადგილობრივ თათბირების დამთავრების შემდეგ, 21 აგვისტოს თბილისში გაიხსნება რესპუბლიკანური თათბირი, რომელზედაც თვითეულ მაზრიდან და ავტონომიურ რესპუბლიკიდან მოწვეული იქნება ხუთ-ხუთი წარმომადგენელი.

აჭარისწყლის ჰიდროელსადგური

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში აჭარის-წყალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა უფროსის მოადგილემ ინჟინერმა ავდულოვმა შემდეგი განაცხადა სადგურის სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ:

„ჰიდროსადგურის შენებლობის საერთო გეგმის გადასინჯვასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის განზრახული იყო შემდეგ სამუშაოთა შესრულება: მთავარი კაშხალის ქიმის მოგება ცემენტით და სადერივაციო საწნეო გვირაბის გამოშენება. ამჟამად ეს მუშაობა სასწრაფოდ მიმდინარეობს და კიდევ უფრო დაჩქარების მიზნით მთელი დღე-ღამე სწარმოებს. ამჟამად მუშაობა კაშხალის ქიმისათვის თხრილის გასაყვანად შესრულებულია 90 პროცენტზე მეტით და მხოლოდ ალაგ-ალაგ უნდა იქნეს ამოთხრილი მიწა, სანამ მიღწეული იქნებოდეს მთლიანი კლდე, რის შემდეგაც დაიწყება ცემენტის მოგება (უკვე მოგებულ მარცხენა ნაწილის გარდა) ქიმის შუა და მარჯვენა ნაწილებზე. ამისათვის სულ საჭირო იქნება 250-მდე კუბ. მეტრი ცემენტის ამოშენება. მთელი ქიმის ცემენტით ამოშენება დამთავრდება ერთი თვის შემდეგ. ვინაიდან ჩატარებულია დიდი მუშაობა დამცველ ნაგებობათა და ჯებირების ასაშენად და გასაძლიერებლად, მომავალში კიდევაც რომ ექნეს ადგილი ძლიერ წყალდიდობას, ის სერიოზულ ზიანს ვერ მიაყენებს სადგურის აღმშენებლობას და უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ შეაჩერებს მუშაობას წყალის დაკლებამდე.

აგრეთვე ფართოდ გაჩაღდა მუშაობა სადერივაციო გვირაბის შიგნითა კედლების ამოსაშენებლად. უნდა აღინიშნოს, რომ საწნეო გვირაბის გამოშენება რკინის არმატურიანი ცემენტი (რკინაბეტონით) პირველად ხდება საბჭოთა კავშირში. გვირაბმა უნდა გაატაროს წყალი სამი ატმოსფერის წნევით.

გვირაბის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შესავალი ნაწილის ცემენტით გამოშენება დამთავრდება აგვისტოს დასაწყისში, რის შემდეგაც გამოშენებული იქნება გამოსავალი ნაწილი. ხოლო მთელი გვირაბის გამოშენება უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის. კაშხალის ქიმის და საწნეო გვირაბის გამოშენების დამთავრების შემდეგ ყველაზე უფრო რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს (ადს).

არის თუ არა ეს ზაჰესის ნაკლი

(საუბარი ინჟ. ბ. ჭიჭინაძესთან

თბილისში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდის უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელთა სტუდენტების მრავალი ექსკურსიები და სხვადასხვა სპეციალისტთა ჯგუფები ზაჰესის დასათვალიერებლად. აღნიშნულმა ექსკურსიებმა და ჯგუფებმა რამოდენიმეჯერ მიმართეს ზაჰესის სამუშაოთა სამმართველოს და კერძოთ ზაჰესის საამშენებლო სამუშაოთა ყოფილ უფროსს ინჟ. ბ. ჭიჭინაძეს, რომელსაც ეკითხებოდენ იმ მოვლენის შესახებ, თუ რატომ ხდება ზაჰესის მთავარი საგუბარის ამოსილვა და ხრეშით ამოვსება და ან იყო თუ არა ასეთი მოვლენა გათვალისწინებული სადგურის საამშენებლო პროექტით. აღნიშნული საკითხის შესახებ ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, განაცხადა შემდეგი:

— წყალსაცავის ამოსილვა ისეთ მდინარეების ელექტრო-სადგურების საგუბარებში, როგორიცაა ზაჰესი, იქნება რიონჰესი და აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგური ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა. ამიტომ ასეთ მდინარეებზე სადგურის აგების დროს ყოველთვის წინასწარაა გათვალისწინებული, რომ მოხდება საგუბარის ამოსილვა, ვინაიდან ისეთ მდინარეს, როგორიცაა ამ შემთხვევაში მდ. მტკვარი, ყოველთვის უხვად მოაქვს სილა და ხრეში. რა თქმა უნდა ეს მოვლენა გათვალისწინებული იყო ზაჰესის პროექტითაც და რადგანაც ასეთი მოვლენა ე. ი. საგუბარის და წყალსაცავის ამოსილვა—ზოგიერთ ექსკურსანტების ჯგუფებს და სპეციალისტებსაც მიაჩნიათ დეფექტათ, ამიტომ ამის შესახებ შეიძლება განმარტებისათვის ითქვას შემდეგი: არსებობს სრულიად მარტივი საშუალება წყალსაცავის ამოსილვასთან საბრძოლველად. ეს საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ წყალდიდობის დროს ე. ი. მაშინ, როდესაც მდინარეს მოაქვს დიდძალი სილა და ხრეში წყალსაცავში წყლის დონეს აჩერებენ ე. წ მინიმუმამდე. ამიტომ სილისა და ხრეშის დასილვა და დალექვა ხდება უფრო ნაკლები რაოდენობით, ხოლო მაშინ, როდესაც წყალი დაწმენდილი მოდის შეიძლება მოხდეს აღნიშნული დონის აწევა და დასილვას ადგილი მაინც აღარ ექნება. ერთი სიტყვით, წყალსაცავის ამოსილვასთან ბრძოლა სწარმოებს ჩვეულებრივი ტექნიკური საშუალებებით ანუ წყლის დონის რეგულირიზაციით.

ზაჰესისათვის, მაშინ, როდესაც იგი მაქსიმუმამდე იქნება დატვირთული, საჭიროა დღე-ღამეში სამი მილიონი კუბიკური მეტრი წყალი. ჯერ-ჯერობით კი ზაჰესისათვის საჭიროა გაცილებით ნაკლები რაოდენობის წყლის მარაგი. ზაჰესის წყალსაცავში კი შესაძლებელია შენახულ იქნეს 20მილ. კუბი მეტრი წყალი, ამიტომ გარდა ჩვენთვის მაქსიმალურად საჭირო წყლის რაოდენობისა, სათადარიგოთ არის დარჩენილი დაახლოებით 15—17 მილიონი კუბიკური მეტრი წყალი. როგორც უკვე აღვნიშნე წყალსაცავის ამოსილვა თავიდანვე იყო გათვალისწინებული და საამისოდ დატოვებულია წყალსაცავის შესაფერი მარაგი. ამ მხრივ სადგურის მუშაობას სრულიად არავითარი საფრთხე არ მოელის. არატექნიკოსთათვის შეიძლება ამ მოვლენას აქვს რაიმე ეფექტი, მაგრამ ჰიდრო-ელსადგურების მუშაობასთან დაახლოებულ სპეციალისტისათვის ასეთი მოვლენა სრულიად ნორმალურია ზაჰესის თანდათანი ამოსილვა გაგრძელდება კიდევ დაახლოებით სამი წელიწადი.

თბილისის და დუშეთის სამაზრო აღმასკომების გაერთიანებული პლენუმი

თბილისის და დუშეთის მაზრების გაერთიანება

გუშინ, 30 ივლისს საღამოს შესდგა თბილისისა და დუშეთის მაზრის აღმასკომების გაერთიანებული პლენუმი.

დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი თბილისის და დუშეთის მაზრების გაერთიანების შესახებ. მოკლე საინფორმაციო მოხსენება ამის შესახებ გააკეთა ამხ. ვ. მესხმა. მომხსენებელმა პლენუმს მოკლედ გააცნო ის მოსაზრებები, რომელიც საფუძვლად დაედვა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას საქართველოს ზოგიერთი მაზრების, კერძოთ თბილისისა და დუშეთის მაზრების გაერთიანების შესახებ. გაერთიანება ისეთი მაზრებისა, რომელნიც ეკონომიურად და ტერიტორიალურად ერთ მთლიან რაიონს წარმოადგენენ, ნაკარნახევია ერთი მხრით, იმ მოსაზრებით, რომ გაერთიანება ამ მაზრების სამეურნეო განვითარებას ჩააყენებს უფრო მტკიცე გეგმიან კალაპოტში და მეორე მხრით, საგრძნობლად შეამცირებს ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯებს. ეს მოსაზრებები დაედო საფუძვლად სიღნაღის და თელავის მაზრების და რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებას. ამავე მოსაზრებით არის ნაკარნახევი თბილისისა და დუშეთის მაზრების გაერთიანება, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება დუშეთის მაზრისათვის, რადგან ამიერიდან დუშეთის მაზრა ადმინისტრატიულად უკავშირდება ეკონომიურად უფრო ძლიერ ერთეულს.

ამ მოკლე საინფორმაციო მოხსენების შემდეგ გაერთიანებული პლენუმი ერთ ხმად ღებულობს შემდეგ გადაწყვეტილებას: საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება თბილისისა და დუშეთის მაზრების გაერთიანების შესახებ შესრულებული იქნეს.

გაერთიანებული მაზრების ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს ამიერიდან ეწოდება თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი

გაერთიანებული აღმასკომების პლენუმის დადგენილებით, თბილისისა და მისი მაზრის აღმასკომის პლენუმში მთლიანად შეყვანილია დუშეთის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. **ვანო ბოლქვაძე**, მის მოადგილეთ ამხ. **ვართან ავაქოვი**.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში შეყვანილია ყოფილ დუშეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **სუჯიაშვილი** და სამი გლეხი ამავე მაზრიდან: ამხ. **აფციაური** (კომუნისტი), ამხ. **გიგაევი** (კომუნისტი) და ამხ. **კობტაშვილი** (უპარტიო).

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის საადგილ-მამულო განყოფილების გამგეთ არჩეულია დუშეთის მაზრის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების ყოფ. გამგე ამხ. **იორდანიშვილი**; საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად დუშეთის სამაზრო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ყოფ. გამგე ამხ. **ჯალიაშვილი**.

პლენუმის დადგენილებით, ყოფილ დუშეთის მაზრიდან პრეზიდიუმის მიერ საფინანსო დარგში სამუშაოდ მოწვეულ უნდა იქნეს აგრეთვე ერთ-ერთი მუშაკი. გარდა ამისა პრეზიდიუმს ევალება, საჭიროებისამებრ, თბილისის აღმასკომში საპასუხისმგებლო სამუშაოებზე მოიწვიოს მუშაკები ყოფილ დუშეთის მაზრიდან.

გაერთიანებულმა პლენუმმა პრეზიდიუმს დაავალა აგრეთვე აღმასკომის განყოფილებების წარმომადგენლებიდან მოაწყოს კომისია, რომელსაც დაეკისრება ყოფილ დუშეთის მაზრის მიღება და ყველა იმ საკითხების მოწესრიგება, რომელიც გაერთიანებასთან არის დაკავშირებული.

დასასრულ, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებებში მომხდარ ცვლილებების გამო, აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის წევრებათ არჩეულ იქნენ ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. **ფანცხავა** და ადმინისტრატიულ განყოფილების გამგე ამხ. **საჯაია**.

ამით ამოიწურა თბილისისა და დუშეთის სამაზრო აღმასკომების გაერთიანებული პლენუმის დღის წესრიგი.

ხელფასის ფონდის გადიდება

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინნასთა სახ. კომისარიატს 1927-28 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ დამატებით თანხიდან (860,000 მანეთი) 158.000 მან. გაუნაწილოს რესპუბლიკანურ მიწად-მოქმედების, შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის კომისარიატის ხელფასის დამატებითი კრედიტის სახით. თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს — მიწად. მოქმედების სახ. კომისარიატს —24.000 მან. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს — 17.000 მან. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს — 48.000 მან.; აზერბეიჯანის მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს — 9.000, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს — 4.000 მან. და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს — 28.000 მან., სომხეთის მიწად-მოქმედების სახ. კომის. 8.000 მან. შინაგან საქმეთა სახ. კომ. — 4.000 მან. და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს — 21.000 მან.

აღნიშნული თანხა გამოყენებული უნდა იქნეს სანიტარულ - სამკურნალო დაწესებულებების და საპატიმრო ადგილების შტატის გასაფართოებლათ იმ დონემდე, რომ შესაძლებელი შეიქნეს მუშა - მოსამსახურეთათვის ყოველკვირეული 42 საათიანი დასვენების შემოღება. საქართველოში გადიდებული უნდა იქნეს ტყის მცველების შტატი; გარდა ამისა გადიდებული უნდა იქნეს სამკურნალო დაწესებულებების დაბალი პერსონალის, ტყის მცველების და საპატიმრო ადგილების უმცროსი და უფროსი ზედამხედველების ხელფასი.

შრომის სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცა ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაონ დამატებითი საშტატო საგანაკვეთო უწყებები, რომლის მიხედვითაც იწარმოებს თანხების გაცემა.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ხელფასის ფონდი

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს მხედველობაში იქონიონ, რომ ხელფასის ფონდი გადიდებული არ უნდა იქნეს.

ხელფასის თანხა შეიძლება გადიდებულ იქნეს მხოლოდ იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც მომავალ სამეურნეო წელში იქნებიან გადაყვანილი სახელმწიფო ბიუჯეტზე, ან შტატების გადიდების შემთხვევაში, როცა გამოწვეული იქნება დაწესებულების ბუნებრივი აუცილებლობით.

გრძელვადიანი სესხი სამრეწველო კოოპერაციას

კოოპერაციის მიერ 1927-28 წელში შექმნილი გრძელვადიანი სესხის ფონდი 63.764 მან. რაოდენობით ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ სესხათ გადასცა სამრეწველო კოოპერაციას. ხსენებული ფონდი რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული: საქართველოს სამრეწველო კოოპერაციას მიეცემა — 25.506 მან. აზერბეიჯანის — 25.000 მან. და სომხეთის — 12.752 მან.

სას.-სამ. შრომის ინსპექტორების შტატის გადიდება

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ მომავალი წლიდან ა.-კ. სას.-სამ. შრომის ინსპექტორის შტატი გადიდებული იქნეს 15 კაცით.

საბანკო საქმეთა ა.-კ. თათბირი

ამიერ - კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატთან არსებულ საბანკო საქმეთა თათბირის წევრებათ ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. ფინ. სახ. კომისარიატის სავალიუტო განყოფილების გამგე ამხ. ა. საფარიანი და ა.-კ. სას. სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე კ. ჩხენკელი.

ქრონიკა

სარეწაო კოოპერატივთა საბჭოს პლენუმი

29 ივლისს გაიხსნა საქართველოს სარეწაო კოოპერატივთა საბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც მოსმენილ იქნა გამგეობის წევრის ამხ. პოპოვის მოხსენება სარეწაო კოოპერატივთა კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ გასული წლის განმავლობაში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, უკანასკნელი წლის განმავლობაში სარეწაო კოოპერატივთა ორგანიზაციებს ეტყობა დიდი რიცხვობრივი ზრდა. 1927 წლის ივლისში სულ ყოფილა 40 კოოპერატიული არტელი, რომლებიც აერთიანებდნენ 1.638 წევრს. 1928 წლის პირველი იანვრისათვის კი არტელების რიცხვი გაიზარდა 93-მდე, ხოლო წევრთა რიცხვმა მიაღწია 3.958-დი. სულ. უკანასკნელი ცნობებით, სარეწაო კოოპერაციაში გაერთიანებულია 4.000 მეტი წევრი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგან კერძო ვაჭრები სარგებლობენ სარეწაო კოოპერაციის სახელით და თავიანთ საქმეებს აკეთებენ. ამის გამო პლენუმზე გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა მოხდეს ასეთი კოოპერატივების მუშაობის შემოწმება და ის უნდა გაიწმინდოს არა მშრომელი ელემენტებისაგან.

პლენუმმა დაავალა გამგეობას, მიიღოს ზომები სარეწაო კოოპერაციის წევრთა უფლებების გასათანაბრებლად პროფკავშირების წევრებთან.

თამბაქოს საცალო ვაჭრობა

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფ. კავშირთან არსებულმა უმუშევართა კოლექტივმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) წინაშე, რომ თამბაქოს საცალო ვაჭრობა მონოპოლიურათ გადაეცეს მას, ან უფლება მიეცეს კოლექტივს გახსნას თბილისში 75 თამბაქოს სავაჭრო ფარდული.

თამბაქოს საცალო ვაჭრობის მონოპოლიური უფლება თბილისის აღმასკომის დადგენილებით მინიჭებული აქვს კოოპერატიულ არტელ „გლარჯა"-ს, რომელიც ამჟამად აკავშირებს 60 პროცენტ ინვალიდებს და 40 პროცენტ კერძო პირებს.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი სოლარიუმების მოსაწყობათ.** აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ამუშავებს თბილისში სოლარიუმების მოწყობის გეგმას.

◆ **სავალდებულო სწავლება.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით, მომავალი სამოსწავლო წლიდან შემოღებული იქნება საყოველთაო სავალდებულო სწავლება. სახლის მეპატრონეებს და მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების გამგეებს ევალებათ აღმასკომს შეატყობინონ იმ მშობლების ვინაობა, რომლებიც არ მიაბარებენ შვილებს სკოლაში 8-დან 11 წლის ასაკამდე.

◆ **გოგირდის ახალი წყაროები.** კომუნალური განყოფილება აწარმოებს გოგირდის ახალი წყაროების გამოჩენას. ჯერ-ჯერობით მონახულია გოგირდის ორი ახალი წყარო.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში

◆ **საუწყებათაშორისო სახანძრე კომისია** შინაგან საქმეთა კომისარიატთან მოეწყო საუწყებათაშორისო სახანძრე კომისია ამხ. შ. ბერიძის თავმჯდომარეობით.

◆ **პატიმართა ნამუშევრების გამოფენა.** შრომის საქმეთა სახალხო კომისარიატი ამზადებს ნიმუშებს პატიმართა ნამუშევრებს სრულიად საკავშირო გამოფენისათვის, რომელიც გაიხსნება მოსკოვში სექტემბრის შუა რიცხვებში.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **სასკოლო ლაბორატორიების მოსაწყობათ** განათლების კომისარიატის სახელზე მიღებულია საზღვარგარეთიდან მიკროსკოპები და სხვა მოწყობილობანი სასკოლო ქიმიური ლაბორატორიების მოსაწყობათ.

◆ **სასწავლო წლის დასაწყისი.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან, ხოლო სკოლებში მიღება და გამოცდების ჩატარება იწარმოებს პირველი სექტემბრიდან.

◆ **სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.** სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველოს ცნობით წელს დაბალი საფეხურის სკოლები უზრუნველყოფილი იქნებიან საჭირო სახელმძღვანელოებით, რომელთა ბეჭდვაც ნაწილობრივ დამთავრებულია.

მონადირეთა კავშირში

◆ **ნადირობის სეზონი.** მონადირეთა კავშირი აცხადებს, რომ ნადირობის სეზონი მთელ ამიერ-კავკასიაში იწყება 15 აგვისტოდან.

◆ **სანადირო მასალათა მაღაზიის გახსნა.** მონადირეთა კავშირმა თბილისში (პუშკინის ქ.) გახსნა სანადირო იარაღებისა და მასალების კოოპერატიული მაღაზია.

◆ **გამოსცვალეთ საწევრო წიგნაკები.** მონადირეთა კავშირი შეუდგა საწევრო წიგნაკების გამოცვლას 1928—29 წლისათვის. კავშირის წევრებს წინადადება ეძლევათ დაიჩქარონ საწევრო წიგნაკების გამოცვლა.

სხვადასხვა

◆ **ქაღალდის ქარხნის ასაგებათ** საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც მივლინებული იყო შამგონის და სვანეთის რაიონში ტყეების შესასწავლად და ქაღალდის დასამზადებლად საჭირო ნედლი მასალის გამოსაკვლევად, უკვე დაბრუნდა თბილისში.

◆ **სპეციალური მოხსენებები.** საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება საინჟინერო ცენტრ. ბიუროსთან ერთად აწყობს ორ მოხსენებას: პირველ აგვისტოს საინჟინერო კლუბში საღამოს 7 საათზე გაკეთებულ იქნება ინჟ. გ. გეგეჭკორის მოხსენება კოლხიდის დაბლობის დაშრობის შესახებ და 2 აგვისტოს მუშათა სასახლის მეორე დარბაზში ინჟ. ვ. ავალიანის მოხსენება საქართველოს სატყეო ტრესტის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

◆ **შრომითი დახმარება უმუშევრებს.** საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილება შეუდგა უმუშევართათვის მომავალ წელში შრომითი დახმარების ხარჯთაღრიცხვის შედგენას.

„მემარცხენეობა № 2

გამოვიდა და იყიდება ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტის კრებული „მემარცხენეობა" № 2.

კრებულში მოთავსებულია შემდეგი მასალები: ბეს. ჟღენტი—დღევანდელობის დირექტივები, ბ. აბულაძე—ბრძანება საბჭოთა თავდაცვისათვის, ბრძოლა წყალდიდობასთან დ. გაჩეჩილაძე—გუთანი. შ. ა. ალხაზიშვილი—ახალი ხელოვნების კვალიფიკაცია, დ. კაკაბაძე—დღევანდელი ჩვენი არხიტექტურა, ვ. ჟურული—პატრიოტიზმის დასასრული, ა. ბელიაშვილი—ერთი პარტიის ისტორია, ლ. ასათიანი—პოეზია და ზაუმი. ა. გაწერელია—ახალი ლექსების შესახებ, მ. კალატოზიშვილი—კინო-მასალის ჩვენების მეთოდები. დ. შენგელაია—თეთრი დღეები, სტ. კახრაძე—ურთიერთობა, ლ. ესაკია—სურათ „სამანჯზე"-ს დადგმა, ს. ჩიქოვანი ბედი-რესპუბლიკა, ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე. შ. ალხაზიშვილი—დ. კაკაბაძის მხატვრობა ს. ტრეტიაკოვი—მტერს ნუ დავეხმარებით ნ. შენგელაია—სურათ „ელისო"-ს დადგმა მ. კალატოზიშვილი და ნ. ღოღობერიძე—როგორ ვამზადებთ კინო ქრონიკას. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე რეპროდუქციები დ. კაკაბაძის და ირ. გამრეკელის ნამუშევრებიდან და კინო კადრები ნ. შენგელაიას, მ. კალატოზიშვილის, ნ. ღოღობერიძის, ლ. ესაკიას და ს. დოლიძის ნამუშევრებიდან. კრებული შეიცავს 64 გვერდს, და ღირს 50 კაპ.

ქუთაისი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პროფბიუროს პლენუმი

დამთავრდა სამაზრო პროფბიუროს პლენუმი, პლენუმმა, სხვათა შორის, მიიღო შემდეგი დადგენილებანი; გადახალისებულ იქნეს შრ. ბირჟის შტატი და უმუშევართა შემადგენლობა მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესამოწმებლად. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს იმ ადმინისტრატორებს, რომლებიც გვერდს უვლიან შრომის ბირჟას და პროტექციით ღებულობენ მუშა ხელს; ასეთი პირები უნდა მიეცემულ იქნენ პასუხისგებაში, როგორც კანონმდებლობის დამრღვევნი.

რათა უფრო ნაყოფიერი იქნეს შრომის ინსპექციისა და შრომის ბირჟის მუშაობა, შრ. ბირჟა გადატანილ უნდა იქნეს სხვა შენობაში. მეტი ყურადღება მიექცეს კოლექტივების გაძლიერებას. ასეთებში ჩაბმული უნდა იქნენ ცენზისაგან დაზარალებული ებრაელები. კოოპერატიული საბინაო მშენებლობა გაფართოვებული უნდა იქნეს.

წინადადება მიეცეს შრომის სასამართლოს აღმასრულებელს რათა შრომის საქმეები დაჩქარებით იქნეს მოყვანილი სისრულეში.

რადგან რაიონებში საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობა მოისუსტებს, ამიტომ მიღებული იქნეს ზომები მათ გამოსაცოცხლებლად, რისთვისაც მიეცეთ მათ შემდეგი პრაქტიკული მითითებანი: 1) საწარმოო კომისიებს და თათბირებს გაუწიოს ხელმძღვანელობა სამაზრო კავშირებმა.

2) ჩამოყალიბებული იქნეს ყველა წარმოება-დაწესებულებებში საწარმოო კომისიები და თათბირები, 3) საწარმოო კომისიის წევრები გამოყოფილი უნდა იქნეს ადკომის მიერ და სხვ.

ადგილკომების მუშაობის გამოკვლევა

საბჭოთა მუშაკების კავშირმა დაიწყო ადგილკომების მუშაობის გამოკვლევა, როგორც ქალაქად, ისე რაიონებში.

კოოპერაცია

ერთიანი მომხ. საზ. „კოოპერაცია", „ალიანსის" დღის აღსანიშნავად კოოპერაციაში წევრად იღებს 200 უღარიბეს გლეხს. აქედან 70 პროც. კოოპერაციაში ჩაბმული იქნება სოფლად, ხოლო 30 პროც. ქალაქად.

„კოოპერაცია" თავის ხარჯზე ზრდის ორ უპატრონო ბავშვს საბავშვო სახლში.

რიონჰესში გახსნილია სასადილო მუშებისათვის. აყვანილია კოოპერატიული წრის ხელმძღვანელები. კულტურულ მუშაობისათვის ჩამოყალიბებულია სოფლად 7 და ქალაქად 9 წრე.

ტყიბულის მაღაროებში

ელექტრო-სადგურში, დადგმულია სამი დინამო 150 ძალიანი. მიღებულია ახალი ქვაბი რომლის დადგმის შემდეგ შეიძლება 100 პროცენტით დაკმაყოფილებულ იქნეს განათება როგორც ბინების, ისე გვირაბების და მიეცეს საჭირო ენერგია აგურის ქარხანასაც, რომელსაც ამჟამად ენერგია არ ყოფნის.

მაღაროები პურით უზრუნველყოფილია. სასადილოები გაფართოებულია.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრობა და მოსავალი

ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. მცხოვრებთა საერთო რიცხვიდან 77,7% სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული და მთელ სახალხო მეურნეობის შემოსავალში სოფლის მეურნეობის შემოსავალი 69,8% უდრის. მიუხედავათ იმისა, რომ სოფლის მეურნეობას ასე დიდი ადგილი უკავია ჩვენს სახალხო მეურნეობაში, ის ძლიერ ჩამორჩენილია.

სახალხო მეურნეობის აღორძინება, მისი პროდუქციის გაზრდა-გაუმჯობესება შეუძლებელია, თუ შეცვლილი არ იქნა სასოფლო მეურნეობის წარმოება-დამუშავების ფორმები. სოფლის მეურნეობა ახალ ტეხნიკურ საფუძველზე უნდა აშენდეს.

სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობა დამოკიდებულია, როგორც ნიადაგის დამუშავების ფორმებზე, ისე ნიადაგის ნოყიერებაზე.

უძველეს დროიდან დიდი ყურადღება ექცევა ნიადაგის განოყიერებას, რადგან მიწა განსაზღვრულ დროის შემდეგ იღლება, იფიტება იმ ნივთიერებიდან, რომლებიც საჭიროა მცენარეულობის ზრდა-განვითარებისათვის. ძველ დროს და ახლაც იქ, სადაც მიწის სიჭარბეა, ნიადაგს ასვენებდენ. შემდეგ კი ასეთ ადგილებზე დაიწყეს იონჯის თესვა, რაც ნიადაგს ნოყიერებასაც უბრუნებდა და მესაქონლეობასაც უწყობდა ხელს.

ნიადაგის გასანოყიერებლათ დასვენებას გარდა იმ დავითვე შემოიღეს ნიადაგის განოყიერება ნაკელით და ეს ნიადაგის განოყიერების ერთად ერთი საშუალებაა ჩამორჩენილ ქვეყნებში.

წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნაკელი მოქმედებს არა თავისი ორგანიული შემადგენელ ნივთიერებებით, არამედ ამ ნივთიერებათა დაშლით მიღებულ მინერალურ ელემენტებით. ასეთ დასკვნიდან კი გამომდინარეობდა ცხოველთა ნაკელის შეცვლის შესაძლებლობა ქიმიური არა ხელოვნური სასუქით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ხელოვნურ სასუქების დამზადება და ნიადაგის განოყიერება მათი საშუალებით, რაც დიდ ცვლილებებს ახდენს სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გაზრდის საქმეში.

ხელოვნურ სასუქის სარგებლიანობა ნათლათ სჩანს შემდეგ ციფრებიდან.

ომის წინ ყოველ ჰექტარზე ხარჯავდენ სასუქს (აზოტი, ტვიტი, ფოსფორი და სხვა): ბელგიაში—236 კილოგრამს, გერმანიაში—166 კილგ., შეერთებულ შტატებში—112 კლგ., საფრანგეთში—57,6 კლგ., რუსეთში—6,9 კლგ.

პურის მოსავლიანობა ჰექტარზე ხელოვნურ სასუქის ხმარების შემდეგ, ომის წინ უდრიდა:

დანიაში—1619 კლგ., ბელგიაში—1237 გერმანიაში—1154 კლგ., საფრანგეთში—740 კლგ., რუსეთში—323 კლგ.

მთელ დედამიწაზე ომამდე ყოველ წლიურად ხარჯავდენ 25 მილიონ ტონამდე ხელოვნურ სასუქს. ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ხელოვნურ სასუქის დამზადება: ერთ-ერთ ხელოვნურ სასუქის—სუპერფოსფატის პროდუქცია 1925 წელს 12.957.000 ტონს უდრიდა აქედან შეერთებულმა შტატებმა დაამზადა 3.489.000 ტონა, საფრანგეთმა—2.380.000 ტ., იტალიამ—1.465.000 ტ. საბჭოთა კავშირმა კი მხოლოდ 57.200 ტონა.

ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენება არასდროს არ ჩერდება ერთ წერტილზე. ადამიანის გონება სულ ახალ და ახალ გზებს და საშუალებებს ეძებს, როგორც ცოდნის გასაღრმავებლათ, ისე ცოდნის პრაქტიკულ გამოყენების გასაფართოებლათ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნიადაგის მოსავლიანობის გასაზრდელათ მეცნიერებამ შექმნა ხელოვნური სასუქი, რაც ქიმიურ ელემენტების დამზადებაში და შემდეგ მათი საშუალებით ნიადაგის განოყიერებაში გამოიხატება მაგრამ მეცნიერება არ ჩერდება ამაზე და ეძებს და იკვლევს მოსავლიანობის, მცენარეულობის და პურნახულის ზრდა -გახარების გამაუმჯობესებელ და დამაჩქარებელ საშუალებებს როგორც ვიცით ელექტრო-ენერგია მრავალნაირათ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეურნეობის ყოველ დარგში. მრეწველობაში აღარაა ისეთი დარგი, სადაც არ მომხდარიყოს სრული ელექტროფიკაცია. ბოლო ხანებში ელექტროფიკაციამ გავრცელება იწყო სასოფლო მეურნეობაშიაც. მაგრამ ამ უკანასკნელში ელექტრო-ენერგია შეიძლება გამოყენებული იქნეს არა მარტო მექანიკურ ენერგიის, სინათლის და სითბოს მისაღებათ, არამედ მოსავლიანობის გასაზრდელათაც. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს შეამჩნიეს ელექტროდენის დადებითი მოქმედება მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე, მაგრამ სისტემატიური მუშაობა ამ დარგში იწყება წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ცდებს ელექტრო-დენის მცენარეულობაზე მოქმედების გამოსაკვლევათ იწყებს ინგლისელი ბუნებისმეტყველი შეპარი. ანალოგიურ ცდებს შეპარის შემდეგ სხვა მრავალი მკვლევარნიც აწარმოებდენ სხვადასხვა პურნახულით დათესილ ადგილებზე, მაგრამ ელდენის იმ დროინდელ წყაროების სიძვირის გამო, მათმა ცდებმა მიუხედავათ დადებითი შედეგებისა, ვერ ჰპოვა ფართე პრაქტიკული გამოყენება.

ელექტრო-კულტურის გავრცელებას ელენერგიის სიძვირის გარდა წინ ეღობებოდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ნიადაგის ელექტრიზაციის შედეგები ხშირად უარყოფითი აღმოჩნდა, რადგან აქ მნიშვნელობა ქონდა არა მარტო ნიადაგის ელექტრობით „გასუქებას", არამედ სხვა მრავალ მომენტებსაც: როგორიცაა ჰავა, ამინდი და თვით მცენარე. მიუხედავათ ამისა, ცდები მაინც სწარმოებდა და თანდათანობით ირკვეოდა ნიადაგის ელექტრო-გასუქების პირობები. გავეცნოთ ზოგიერთ ასეთ ცდებს:

ინგლისელ ბუნებისმეტყველის შეპარის მიერ წარმოებულ ცდების მსგავს ცდებს რუსეთში აწარმოებდა აგრონომი პოლსუდსკი. ის ამბობს: „..ჩემ მიერ ნახმარი ხერხი მდგომარეობდა იმაში, რომ მე ვსარგებლობდი დედამიწის და ატმოსფერულ ელექტრობით, რისთვისაც მიწაში ვფლავდი სხვადასხვა ლითონის ფირფიტებს. ეს ფირფიტები შეერთებული იყო მავთულით ასე, რომ ვღებულობთ გალვანიურ ელემენტს მიწაში არსებული მარილები ელ-დენით იშლება და მიღებული სასუქით იკვებება მცენარე. უკეთეს შედეგების მისაღებათ შეიძლება ატმოსფერულ ელექტრობითაც ვისარგებლოთ. ასეთმა განოყიერებამ მოსავლიანობა 50—130 პროცენტით გაზარდა. გამოირკვა აგრეთვე, რომ ელექტრიზაციაქმნილ მინდვრებზე მოსულ ქერხალში, ყურძენში და კარტოფილში შაქრის და კრახმალის მეტი პროცენტი მოიპოება". მიწაში ჩაფლულ მავთულებით შეერთებულ ფირფიტების გარდა იხმარებოდა შემდეგი ხერხი. საცდელ ადგილის ზემოდან აკეთებდენ ხის ბოძებზე დამაგრებულ მავთულების ბადეს, რომელსაც უერთებდენ მაღალ ძაბვის დენის სიხშირის ელექტრო-დენის წყაროს. ასეთ ცდებს რუსეთში (პსკოვის გუბ.) აწარმოებდა სპეშნევი, რომელმაც ამგვარი წესით ხორბლის მოსავლიანობა გაზარდა—56 პროცენტით, შვრიის—62 პროცენტით, ქერის—55 პროცენტით, მუხუდოსი—25 პროცენტით, იონჯისა—31 პროცენტ., კარტოფილის—11 პროც. და სელის 44 პროც..

ზოგიერთი მკვლევარნი ფიქრობდენ, რომ მოსავლიანობის გასაზრდელათ ნიადაგის ელექტრიზაცია შეიძლება შეცვლილი იქნეს თესლეულის ელექტრიზაციით და მართლაც ინგლისში ნორფოლკის საცდელ სადგურზე თესლეულს ათავსებდენ აზოტმჟავა მარილების ხსნარში და მასში 5 საათის განმავლობაში ატარებდენ ელექტრო-დენს. ელექტრიზაციაქმნილმა თესლეულმა მოსავლიანობა 30 პრ. გაზარდა. ასეთსავე ცდებს აწარმოებდა ზემოხსენებული სპეშნევი. მუხუდო და დოცა 4 დღის მაგიერ 2 დღეში ამოსცენდა, მზესუმზირა—15 დღის მაგიერ 8 დღეში.

ჩვენ აქამდე ლაპარაკი გვქონდა ელექტრო-დენის მოქმედების შესახებ მოსავლიანობის და საერთოდ მცენარეულობის გახარება-ზრდაზე, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ელექტრო-სინათლის გავლენაც, რომელსაც აგრეთვე მიექცა ყურადღება და შედეგებიც მეტათ დამაკმაყოფილებელი გამოდგა. ელექტრო-სინათლის ქვეშ ცერცვმა 21 დღის მაგიერ გაიხარა 13 დღეში, სტაფილომ—26 მაგიერ 17 დღეში, კომბოსტომ—26 დღის მაგიერ 6 დღეში, სიმინდმა—57 დღის მაგიერ—8 დღეში და მუხუდომ 16 დღის მაგიერ 7 დღეში.

ელექტრო-კულტურის დარგში ჯერ-ჯერობით ამ უკანასკნელმა (მცენარეულობაზე ელ-სინათლით მოქმედებამ) მეტი გავრცელება ჰპოვა—სათბურებში.

უკანასკნელი დროის ცდებს შორის აღსანიშნავია ამერიკელ გამილტონ როუს მიერ ნახმარი ხერხი. ეს ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ ნიადაგის დამუშავების დროს გუთნით მიწაში ტარდება ამა თუ იმ ძაბვის ელდენი. გამილტონ როუს ხერხით დამუშავება ზრდის საგრძნობლათ ნიადაგის მოსავლიანობას, ამასთან ერთად სპობს ნიადაგში მყოფ მცენარეულობის მავნებლებს. ეს ცდები ევროპაშიაც (საფრანგეთში) გაიმეორეს და მას იქაც შედეგათ მოსავლიანობის გაზრდა მოჰყვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ცდები ჯერ მხოლოთ საცდელ მინდვრებზე და ლაბორატორიებში სწარმოებს, ე. ი. საკითხი შესწავლის და კვლევის პერიოდშია. მართალია, ცდებმა მეტ ნაწილათ დადებითი შედეგები გამოიღო, ე. ი. ელექტრო-დენის და ელექტრო-სინათლის მოქმედება მცენარეულობაზე შესამჩნევათ ზრდის მოსავლიანობას, მაგრამ ელექტრო-ენერგიის სიძვირის გამო ეს წესი ფართო გავრცელებას ვერ პოულობს. სოფელში არსებული სამეურნეო ერთეულები ვერ შესძლებენ ელექტრო-კულტურისათვის საჭირო ძვირ დაჯდომობათა მოწყობას და მხოლოდ მაშინ, როდესაც მეურნეობის სხვა დარგების ელექტროფიკაცია მიიღებს ფართე ხასიათს, როდესაც ელექტრო-ენერგია გაიაფდება და ხელმისაწვდომი გახდება, ნიადაგის გასუქება ელექტრობით ქიმიურ სასუქებთან ერთად გაზრდის და გააუმჯობესებს სოფლის მეურნეობას და ითამაშებს დიდ როლს საერთო მეურნეობის აღორძინება-განვითარების საქმეში.

კ. ბ—ძე.

პროფ. ანდრეევის ცდები

მკვდრების გაცოცხლების გზაზე

უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები კვდებიან ავადმყოფობისაგან, ე. ი. შემთხვევითი მიზეზებისაგან. ბუნებრივი, ნორმალური სიკვდილი ღრმა მოხუცებულობაში, იშვიათი მოვლენაა. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხი დიდი ხანია აინტერესებს კაცობრიობას. ორგანიზმი წარმოადგენს განუწყვეტლივ მომუშავე მანქანას. მუშაობის ხანგრძლივობას მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრავენ და აწესრიგებენ მემკვიდრეობით გადაცემული თვისებები. იგი უმთავრესად დამოკიდებულია გარეგან პირობებთან შეგუების ხარისხზე.

განუწყვეტელ მუშაობაში ორგანიზმი თანდათანობით იცვითება და ავადმყოფობისა და სიკვდილის მსხვერპლი ხდება. სიკვდილის მექანიზმის შესწავლას აწარმოებს განსაკუთრებული მეცნიერება—ტანატოლოგია, მეცნიერება სიკვდილის შესახებ.

რამოდენიმე ხნის წინათ, გამოჩენილმა მეცნიერმა ტანატოლოგმა პროფ. ანდრეევმა მოსკოვში გააკეთა საჯარო მოხს. ტანატოლოგიის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ. ეს მოხსენება, რომელიც ემყარება ცდებით მიღებულ შედეგებს, პირდაპირ განცვიფრებას იწვევს. მისი შინაარსი მოკლედ ასეთია:

როგორც ვიცით, ადამიანის ორგანიზმი განუწყვეტელი ცვლილებების პროცესში იმყოფება: ცალკე ელემენტების (სისხლის წითელი ბურთულები, ლორწოვან გარსების უჯრედები და სხვ.) კვდება და მათ ადგილს ახლები იკავებენ. „სიკვდილის" პროცესი შემჩნეულია სიცოცხლის დროს, და პირიქით: გარეგნული (ВИДИМАЯ) სიკვდილი ერთბაშად არ სპობს ცალკე ორგანოების სიცოცხლის უნარიანობას. მოახერხეს მკვდარი ადამიანის ორგანიზმიდან ამოღებული ცალკე ორგანოების გაცოცხლება: სისხლძარღვში მილებში სპეციალური სითხის გატარების საშუალებით არაერთხელ გაუცოცხლებიათ გული, თირკმლები და სხვ. ერთი თვის გარდაცვალებულ კაცს მოაჭრეს თითი, რომელიც მოათავსეს სპეციალურ სითხეში. რამოდენიმე ხნის შემდეგ შენიშნეს, რომ მოჭრილ თითზე გაიზარდა ფრჩხილი,

განსაცვიფრებელი ცდები მოახდინეს ძაღლებზე; ძაღლს მოსჭრეს თავი, რომელშიც გაატარეს სპეციალური სითხე და ამ დროს ძაღლს (უფრო სწორათ ძაღლის თავს) სახელი დაუძახეს: მოჭრილმა თავმა იქით მოაბრუნა თვალები, რა მხრიდანაც ეძახდნენ. მაგრამ ეს ცოტაა: მოახერხეს არა მარტო ცალკე ორგანოების გამოცოცხლება, არამედ ძაღლის მთელი გვამის. ძაღლს კლავდენ რომელიმე შხამით და სიკვდილიდან 5—10 წუთისა და ზოგჯერ ნახევარი საათის შემდეგ აცოცხლებდენ. გაცოცხლებული ცხოველი ამის შემდეგ მთელ რიგ წლების განმავლობაში განაგრძობდა ნორმალურად ცხოვრებას. ზოგიერთი ცხოველი ორჯერ მოჰკლეს და ორჯერ გააცოცხლეს. თვით სიკვდილის მომენტს—გულის მუშაობისა და სუნთქვის შეწყვეტას—აღნიშნავს სპეციალური მანქანები.

„მკვდრეთით აღდგომას" ასე ახდენდნენ: არტერიაში —გულის მიმართულებით შეჰყავდათ რინგერის სითხე (სითხე, რომელიც შესდგება სისხლში შემავალ მარილებიდან) ადრენალინთან ერთად. გული მაშინათვე იწყებდა მუშაობას, ჩნდებოდა სუნთქვა და მოძრაობის უნარი—მკვდარი ცხოველი ცოცხლდებოდა.

ამ ცდების მიხედვით პროფ. ანდრეევი ამტკიცებს, რომ გულის მოქმედების და სუნთქვის შეწყვეტა არ წარმოადგენს სიკვდილის გადამწყვეტ ნიშანს. სიკვდილი იწყება მხოლოდ გულისა და სასუნთქავ ცენტრების უჯრედების დაღუპვის შემდეგ. ეს კი სხვადასხვა ორგანიზმებში სხვადასხვა დროს ხდება.

ამის შემდეგ იბადება ყველაზე საინტერესო კითხვა: შეიძლება თუ არა ადამიანის გვამის გაცოცხლება? პროფ. ანდრეევი ამ კითხვაზე კატეგორიული დადებით პასუხს იძლევა, მაგრამ დასძენს, რომ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ორგანო სერიოზულად არ არის დაზიანებული ან შეცვლილი ავადმყოფობის ზეგავლენით. მეცნიერებას უკვე აქვს მაგალითები მკვდრად შობილი ბავშვების გაცოცხლებისა და ადრენალინის შეშხაპუნებით გულში; არის აგრეთვე მაგალითები სიცოცხლის დაბრუნებისა ოპერაციების დროს გარდაცვლილთათვის.

ა.

დრო, როგორც ფიზიოლოგიური ფუნქცია

რომ ადამიანები სხვადასხვანაირად შეიგრძნობენ დროს,—ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. დროის ერთი და იგივე შუალედი ერთისა და იმავე პიროვნებისათვის უსასრულოდ გრძელია, თუ ის მოუთმენლად მოელის რამეს ან თვალის დახამხამებაში გარბის რომელიმე სხვა პირობებში. ფსიქოლოგია ამ ფაქტს ხსნის, როგორც „ყურადღების სპეციალურ თავისებურობას, რომლის გამო განცდათა მაქსიმუმი, თავმოყრილი დროის განსაზღვრულ ერთეულში, ხდის მას ხანგრძლივათ ან ხანმოკლედ (გარემოებათა მიხედვით)". ფიზიოლოგია შეეცადა ამ ბუნდოვან განმარტებისათვის უფრო სწორი საფუძველი გამოენახა. ფიზიოლოგია ამბობდა, რომ ორგანიზმი დროს აღნიშნავს გულის ქვეცნობიერი მოქმედებით: თუ რაიმე მიზეზების გამო მაჯისცემა მატულობს წუთში, ეს წუთი ჩვენს შეგნებაში აღიბეჭდება, როგორც უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ის წუთი, როცა პულსაცია შენელებულია.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ერთი ფრანგი ფიზიოლოგი შეეცადა საკითხის გადაჭრას მისდგომოდა—დროის შეგრძნობაზე ტემპერატურის ზეგავლენის შესწავლის გზით. მან დასვა კითხვა: თუ რომელიმე პიროვნება წამში იძლევა მოძრაობითი რეაქციების განსაზღვრულ რიცხვს, გაზომილს სპეციალური ზუსტი ხელსაწყოების საშუალებით, რამდენი ასეთი რეაქციის მიღება შეიძლება მისი ტემპერატურის აწევის დროს? ცდები ამგვარად მოახდინეს, გამოსაცდელ პიროვნებებს სთხოვეს 3-ჯერ დაეჭირებიათ ხელი მორზეს აპარატის ნიშნების გასაგზავნ ხელზე—(ჩვეულებრივ სამ ნიშნის გაგზავნა მორზეს აპარატით—ეს არის ზუსტი საზომი წამის ნორმალური შეგრძნობისა და ის სხვადასხვა პიროვნებებს თითქმის ერთნაირი აქვს). შემდეგ გამოსაცდელი პიროვნების ტანში ელექტროდენის უვნებელი დოზის გატარებით მის ტემპერატურას ერთი გრადუსით ადიდებდნენ და ამ მდგომარეობაში ამყოფებდნენ მას ნახევარი საათის განმავლობაში, აღმოჩნდა, რომ ტემპერატურის ასეთი გადიდების შემდეგ დროის რეგისტრაცია იცვლება: გამოსაცდელი პიროვნება წამში იძლევა არა სამ, არამედ 4—12 ნიშანს.

ამრიგად ტემპერატურის აწევის დროს (რაც წააგავს „მოუთმენლად" ლოდინს) დროს ჩვენ ფიზიოლოგიურად განვიცდით როგორც გახანგრძლივებულს. დამახასიათებელია, რომ ამ შემთხვევაში, როცა მიუხედავად ელექტრო-დენის გატარებისა, გამოსაცდელი პიროვნების ტემპერატურა უცვლელი რჩებოდა,—(ერთ შემთხვევაში კი კიდეც დაიკლო) დროის რეგისტრაციამ ექსპერიმენტატორებს მისცა ნორმალური ციფრი—3. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ელექტროდენის გატარების დროს, გამოსაცდელ პიროვნებების მაჯისცემა (პულსი) არ შეცვლილა.

ხელოვნური წვიმის გამოსაწვევად



სურათზე ნაჩვენებია სახელმწიფო-სამეცნიერო მელიორატიული ინსტიტუტის (ლენინგრადშია) ელექტრო-ფიზიკური ლაბორატორია სადაც დადგმულია სპეციალური აპარატები წვიმის ხელოვნურად გამოწვევის ცდების მოსახდენად.

მსოფლიოში უდიდესი ცეპელინი

ამჟამად გერმანიაში შენდება ცეპელინის სისტემის დირიჟაბლი, უდიდესი დღემდე აგებულ დირიჟაბლებს შორის. ვინაიდან არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ მოეპოება დირიჟაბლების ასაგებათ საჭირო ისეთი დიდი სპეციალური შენობა, როგორიცაა გერმანიას აქვს ახალი დირიჟაბლი დიდი ხნით შეინარჩუნებს თავის პირველობა.

დირიჟაბლი, რომელიც ამჟამად გერმანიაში შენდება, მე-127-ეა რიცხვით და ატარებს სახელს „LZ 127". ამას წინად აგებული დირიჟაბლი „LZ 126", რომელიც სიდიდითა და სიმძლავრით ჩამოუვარდება ახალს,—როგორც ვიცით, გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულების თანახმად დაუთმო შეერთებულ შტატებს (დირიჟაბლი „LZ—126" წარმატებით გადაფრინდა ატლანტის ოკეანეზე).

დირიჟაბლი „LZ" 127" იფრენს ესპანეთსა და არგენტინას შორის, გადაიყვანს მგზავრებს და წაიღებს ფოსტას.

დირიჟაბლი შესძლებს 900 ფუთი ტვირთის გადაზიდვას, დირიჟაბლის წონა ტვირთით მიაღწევს 8.000 ფუთამდე.

მგზავრებისათვის გარდა ოთახ-სასადილოსა (5×5 მეტრი) მოწყობილი იქნება 10 ცალკე (ორადგილიანი) ოთახი.

თუ რამდენად წინ წავიდა დირიჟაბლების აღმშენებლობის ტეხნიკა, ამას ამტკიცებს შემდეგი ცნობები „LZ—127" შესახებ (შესადარებლად ფრჩხილებში მოყვანილია შესაფერი ცნობები „LZ—126"-ის შესახებ):



ორადგილიანი კაიუტა ახალ დირიჟაბლში



სასადილო დირიჟაბლზე

„LZ—127"-ზე დადგმულია ხუთი 520 ძალიანი (თითო) მოტორი (ხუთი 420 ძალიანი „LZ — 126"-ზე), ამ მოტორებით „LZ—127" საათში განავითარებს 130 კილომეტრს (120 კილომეტრი); გადაფრენის მანძილი, სიდიდის გამო, „LZ—127"-ს ნაკლები ექნება —12.000 კილომეტრი—მიწაზე დაუშვებლად (12.500 კილომეტრი); დირიჟაბლის სიგრძე უდრის 236 მეტრს. განი—30,5 მეტრს (200 და 27,6).

გულის რთული ოპერაცია

სულ რამდენიმე წლის წინად გულის ჭრილობების ამოკერვა ან ტყვიის ამოღება გულიდან მეტად ძნელ ოპერაციად ითვლებოდა და მას იშვიათად მიმართავდნენ. ახლა ასეთი ოპერაციები ხშირია.

მაგრამ გულის უფრო რთულ ოპერაციებს დიდი დაბრკოლებები გადაეღობა. მაგალითად ზოგჯერ შეუძლებელია ოპერაცია სანამ გული ფეთქს. შეიძლებოდა გულის მუშაობის შეჩერება, მაგრამ მაშინ 5 წუთში მოკვდებოდა ტვინი. ამრიგად, გულის ხანგრძლივად გაჩერება შეუძლებელია, და ამიტომ, თითქოს, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო უფრო სერიოზული ოპერაციების შესრულება მასზე.

და აი, ამ რთული ამოცანის (გულის უფრო ხანგრძლივად გაჩერება ტვინის სიცოცხლის დაცვის პირობებში) გადასაჭრელად სამხედრო საექიმო აკადემიის (მოსკოვშია) პრივატ-დოცენტმა მ. ხ. ლისიცინმა პროფ. ხ. ვ. ანიჩკოვთან ერთად შესანიშნავი ცდები მოახდინა ძაღლებზე. ერთ ძაღლს გაუკეთეს ოპერაცია. მეორე ასრულებდა „დონერის", ე. ი. ისეთი ცხოველის როლს, რომელიც სისხლს უთმობდა მეორე ძაღლს. „დონერ"-ძაღლის სისხლი შუშის მილების საშუალებით მიეწოდებოდა ოპერაცია-გასაკეთებელ ძაღლის ტვინს და ამრიგად მოხერხდა ოპერაცია-გასაკეთებელ ძაღლის გულის მუშაობის შეჩერება 15 წუთით (ზოგჯერ კი უფრო მეტი დროით).

ოპერაციის დასრულების შემდეგ მილებს ხსნიდენ და ოპერაცია-გაკეთებულ ძაღლს გული ადრენალინის და სხვ. ნივთიერებათა შეშხაპუნების ზეგავლენით ანახლებდა ნორმალურ მუშაობას.

ამრიგად, ძაღლზე მოხდენილი ცდა ამტკიცებს გულის მუშაობის უფრო ხანგრძლივად შეჩერების შესაძლებლობას და აგრეთვე იმას რომ შესაძლებელია ამგვარი ოპერაციების გაკეთება ადამიანისათვისაც.

საჭიროა მხოლოდ, რომ 2 კაცის სისხლი—ოპერაცია-გასაკეთებელისა და დონერისა—თავისი თვისებებით ერთმანეთს ჰგავდეს.

მფრინავი სამეთვალყურეო სადგური

გერმანიაში ამ რამდენიმე ხნის წინათ მოაწყვეს ახალი სამეთვალყურეო სადგური, რომელიც აეროსტატზეა დადგმული. სადგური დანიშნულია ატმოსფერის ზედა-ფენების გამოსაკვლევად და აგრეთვე მოტორების გამოსაცდელად. აეროსტატის დიამეტრი უდრის 80 მეტრს და გავსებულია წყალბადით.

საცდელი გაფრენის დროს აეროსტატზე იმყოფებოდა 7 მგზავრი. ახალი მფრინავი სამეთვალყურეო სადგური ყველაზე დიდია მსოფლიოში.

სასამართლო

ქალის გატაცების ცდა

ზარუსი გედევანისძე შუბითიძეს (სოფ. ნადაბაურის მცხოვრები, (შორაპნის მაზრა) ძლიერ მოსწონდა თავისი მეზობლის სანდრო გელაშვილის ქალიშვილი—ნადეჟდა.

— არ მომათხოვებენ მშობლები თუ იცი? რას იტყვი გედევან!—ეუბნებოდა ზარუსი მამას..

— არ მოგათხოვონ და მამაშანი ხომ არ მომკვდარა. იმდენს ვიზამ, რომ თუ ნებაყოფლობით ეს საქმე არ მოეწყო, მოვიტაცებთ ქალს.

— აბა მამაჩემო, რაკი იმ ქალს არ ვიცნობ შენ უნდა მოაწყო ეს საქმე.

— ჯავრი ნუ გაქვს. განა მაგათი დასაწუნი ბიჭი ხარ. ვნახოთ ვინ გაიტანს თავისას ჩვენ, თუ ისინი,—აიმედებს გედევან თავის ვაჟს.

გედევან შეუდგა შვილის დავალების შესრულებას. შუბითიძის მაჭანკლები წამდაუწუმ დადიან სანდრო გელაშვილის სახლში. უქებენ მათ ზარუსი შუბითიძეს და ურჩევენ თავისი ქალიშვილი მიათხოვონ მას.—

— თუმცა გაჭირვებული ვარ, მაგრამ ქალს ვერ გავათხოვებ,—უპასუხებს სანდრო მაჭანკლებს.

როცა მაჭანკლებმა ასეთი პასუხი მიუტანეს გედევან შუბითიძეს, უკანასკნელი განრისხდა და დაიმუქრა:

— კაცი არ ვიქნები, თუ ხვალვე არ მოვიტაცო სანდროს ქალიშვილიო.

ერთ დღეს გედევანმა მიიპატიჟა თავის ოჯახში გრიგოლ ვასილისძე და ვასილ უფლისასძე ჯალაბაძე, ალექსანდრე არტემისძე მაჭარაშვილი, ბიკტორ სამსონისძე შუბითიძე და ქეიფი გაუმართა მათ.

როცა სტუმრები შეთვრენ, გედევანმა ამცნო მათ თავისი გადაწყვეტილება ნ. გელაშვილის ქალის მოტაცების შესახებ.

შეზარხოშებულმა სტუმრებმაც აღუთქვეს მას სრული დახმარება.

ქეიფის დასრულების შემდეგ, ხსენებულმა პირებმა აისხეს იარაღი და წავიდენ ქალის მოსატაცებლად.

ღამეა... გელაშვილის სახლში სინათლე მოსჩანს.

— აბა, დავიწყოთ,—მისცა ნიშანი გედევანმა.

— კარი გაგვიღე ჩქარა! მოესმა ძლიერ ბრახუნი კარებზე გელაშვილს, რომელმაც იგრძნო, რომ საეჭვო ხალხი იყო და არ გაუღო კარი.

თავდამსხმელებმა შეამტვრიეს კარები და ხელში მომარჯვებული თოფებით შევარდენ ოთახში.

—ხელები ზევით! მე ვარ თქვენი მომავალი ნათესავი გედევან შუბითიძე. გამომგვარეთ სარძლო—აბა, ჩქარა!

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალებმა მორთეს კივილი.

თავდამსხმელები ხანჯლებით დაერიენ ოჯახის წევრებს და ხანჯლით დასჭრეს გელაშვილის სიძე—ისიდორე იოსებისძე ხარაიშვილი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

— მიშველეთ! ისმოდა სანდრო გელაშვილის გულშემზარავი ყვირილი, მაგრამ მალე თოფის კონდახი ისე მძლავრად მოხვდა მას თავში, რომ გრძნობა დაკარგული დაეცა ძირს.

— მხოლოდ მამაჩემს, ნუ მომიკლავთ და მე წამოგყვებით, ეუბნებოდა ნადეჟდა თავდამსხმელებს.

მაგრამ ხმაურობაზე გამოეღვიძა მეზობლებს. ეს შენიშნეს ბოროტმოქმედებმა და მოქუსლეს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ თავდამსხმელები დააპატიმრეს.

მათი საქმე ამ დღეებში გაარჩია შორაპანში სამაზრო სასამართლომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ალ. ნაკაიძე, სახალხო მსაჯულები იყვნენ: მიხეილ პაპოვი, და დავით ფერაძე. ბრალს სდებს პროკურორი ლ. ჯანჯღავა.

სასამართლომ გედევან შუბითიძეს მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით; ბიქტორ შუბითიძეს და ალექსანდრე მაჭარაშვილს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენ ბრალდებულებს კი პატიმრობა სამი წლით თვითეულს. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულ გრიგოლ ჯალაბაძის, ვასილ ჯალაბაძის და გედევან შუბითიძის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუნიშნა 6 წელი.

გასამართლებას დიდძალი ხალხი დაესწრო

თ.

პროფკავშირებში

სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გამოცემა

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ც. გამგეობამ საჭიროდ სცნო სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გამოცემა მიწსახკომის და საქართ. „ჩაი"-ს მიერ.

დახმარება ქუთაისის დაზარალებულთ

ქუთაისის, ოზურგეთის, ფოთის სამპროფბიუროს მიერ დღემდე ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შეგროვილია 3655 მან.; ლეჩხუმის პროფბიურომ ამავე მიზნით შეაგროვა 140 მანეთი; აფხაზეთის პ.-ს. 450 მანეთი.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის პლენუმი და კონფერენცია

საქ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგ. გადასწყვიტა მე-2 პლენუმი და კონფერენცია მოიწვიოს ა.-წ. 25 სექტემბერს.

აფხაზეთის პროფსაბჭოს ახალი მდივანი

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა აფ. პროფსაბჭოს მდივანი ამხ. აბზიანიძე გაანთავისუფლა მდივნის თანამდებობიდან მისი მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის მოადგილეთ გადაყვანის გამო. აფხაზეთის პროფსაბჭოს მდივნათ არჩეულია ამხ. ჩოლაკუა.

ავიაქიმში

შეჯიბრება სროლაში

კვირას, 5 აგვისტოს თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო აწყობს ფართო საქალაქო შეჯიბრებას სროლაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა რაიონები.

მონაწილეთა საერთო რიცხვი უდრის 200 კაცს.

რაიონების მიერ უკვე გამოყოფილია საუკეთესო მსროლელები.

შეჯიბრება ჩატარდება ა.-კ. ქვეითი სკოლის სასროლო მოედანზე.

სროლას ხელმძღვანელობას გაუწევს ა.-კ. ქვეითი სკოლის უფროსი ამხ. კლემენტიევი.

თავდაცვის კვირეული ზუგდიდის მაზრაში

თავდაცვის კვირეულის დროს ქ. ზუგდიდში და მაზრაში დაარსდა 30 ახალი უჯრედი და გაიხსნა სამი სამხედრო კუთხე.

თავდაცვა-ავიაქიმის მასიური მუშაობას განმტკიცების ფონდში შეგროვილი იქნა 453 მანეთი.

„თავდაცვა და ფიზკულტურა"

აგვისტოს პირველ რიცხვებში გამოვა ჟურ. „თავდაცვა და ფიზკულტურა"-ს მეორე ნომერი.

შემთხვევები

გაუპატიურება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა შალვა ირადიონისძე რაზმაძე, რომელსაც ბრალდება: თ. ბ—ის ქალის გაუპატიურება.

დაჯახება

გუშინწინ, ავტომანქანა № 202 მცხეთას მახლობლად დაეჯახა ალექსი ნიკოლოზისძე გოგიაშვილს (7 წლისა) და მსუბუქად დააშავა. შოფერი გიორგი ვარნაზოვი დაპატიმრებულია.

დახრჩობა

გოგილოს აბანოს პირდაპირ მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო გიორგი ავაქისძე ხუდავერდოვი (8 წლისა).

თავის მოწამვლა

თვითმკვლელობის მიზნით იოდით თავი მოიწამლა გოგოია ხარიტონის ასულმა კეკელიძემ რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს.

დაჭრა

— გუშინ, დღისით, ვიღაც ბოროტმოქმედმა რევოლვერით დასჭრა ალიბეკ გიორგისძე სუკიასოვი (მცხოვრები სპარსის ქუჩა № 2).

— ანდრო ნიკოლოზისძე კარლოვმა დანით დასჭრა ამაიაკ დრუზბარაში (მცხ. გოგოლის ქუჩა № 13), დაჭრილი გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ჯიბგირობა

გუშინწინ, ღამით, ნესტორ მარჯანიშვილს სადგურის ქუჩაზე ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 406 მანეთი და მიიმალა.

ქურდობა

კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს ივანე ყუჟიაშვილის ბინა (საბჭოთა ქ. № 125) წაიღეს 100 მანეთის ნივთები;—გაქურდეს მარგალიტა კილურაძის ბინა (მლეთის ქუჩა № 4), მოპარულია 1500 მანეთის ტანსაცმელი;—ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ელ. აკოფჯანოვის ბინა (მუზეუმის შესახვევი № 1), მოპარულია 215 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა, ამ საქმეზე დააპატიმრეს გურგენ სოლომონოვი, რომელიც გამოტყდა დანაშაულში.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი—რეციდივისტები: ავეტიკ გიურქისძე ალავერდოვი და ალექსანდრე მიხეილისძე ქვარიანი.

ვის ჩამოერთმევა სახლები

მიხეილ მერაბიშვილს (ფურცელაძის ქ. №3) ალექსანდრე ალიხანოვს (ლაგოდეხის ქ. № 7), არუთინსკის და დოლგორუკოვს (დაღესტანის ქ № 6—8), ალექსანდრე გრიგოლაშვილს (ტრიბუნალის ქ. № 17—16), აბაშიძეს და დევდარიანს (კლარა ცეტკინის ქ. № 167—2), მაიკაპუმ ნერსესოვს (ჩახრუხაძის და ბებელის ქ. № 1—9), ნინო მღალოვას (გერმენის ქ. № 3), ივანე ლეჟნინს (სადგურის ქ. № 23), ვარლამოვს (დიდუბის ქ. № 12), ლიონოზოვს (ერევანსკის და ხივინსკის ქ. № 4—30), მ. ლიხუტოვს და კ. ჩოჩუას (გოგოლის და სადგურის ქ. № 72—32), ი. და ე. ბაზირაშვილებს (ავლევის № 1—10), ნალბანდიშვილს (ბაზანას და ვახტანგოვის ქ. № 8—20), ლოსკუტოვს (ბორჯომის ქ. № 17), ლიუსიკა დანდუროვას (საგურამოს ქ. № 22), არჩილ სხირტლაძეს (ვერცხლის ქ. № 1—25), ი. ზავრიევს და ა. შახბუდაგოვს (ჭავჭავაძის ქ. № 11—33).

ფიზკულტურა

გემო-კვების მუშაკები- ქალაქის მილიცია

კვირას, 29 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირის და ქალაქის მილიციის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

გემო-კვების მუშაკები ამ მატჩში თითქმის იმავე შემადგენლობით თამაშობდნენ, როგორითაც ისინი მოგზაურობდნენ უკრაინაში (არ თამაშობდნენ მხოლოდ იმნაძე და სოლონინი), ამიტომ ეს მატჩი ერთგვარად ამ გუნდის საგასტროლო მოგზაურობის მიღწევათა დემონსტრაცია იყო.

ამ გუნდის მოთამაშეებს ყოველთვის ახასიათებდა ერთმანეთთან შეთანხმებული თამაში, გასტროლების შემდეგ ეს მხარე კიდევ უფრო გაუმჯობესებულა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მარბთა სამეული (დიაკოვი, ასლამაზოვი, მაღალაშვილი) მეტად მოხდენილი თამაში. საგრძნობი გაუმჯობესება ეტყობა დანარჩენი მოთამაშეების კლასსაც.

სულ სხვაგვარ „ტაქტიკით" თამაშობს მილიციის გუნდი. აქ შეიძლება ითქვას, რომ არავითარ ტაქტიკას და მოფიქრებულ კომბინაციებს არ აქვს ადგილი. თვითეული მოთამაშე თამაშობს ისე, როგორც მოეხასიათება ამიტომ იყო, რომ გუნდმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

შეჯიბრება დამთავრდა 4:0 გემო-კვების მუშაკების სასარგებლოდ.

ფიზკულტურის დღესასწაული აჭარისტანში

აჭარისტანის პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აჭარისტანის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან ერთად ბათომში აწყობს აჭარისტანის ფიზკულტურის პირველ საკავშირთაშორისო დღესასწაულს. დღესასწაულის პროგრამაში, რომელიც შემუშავებულია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, შედის: სროლა, სპორტთამაშობანი, წყალის სპორტის ყველა სახეები, ჭადრაკი, ველოსიპედი და ინდივიდუალური ცილობა მძლეოსნობასა და ძალოსნობაში, სროლაში, ველოსიპედში, ტენისში და სხვ. ჯილდოები გაცემული იქნება ცალკე დარგების მიხედვით კავშირი, რომელიც პირველ ადგილს დაიჭერს, მიიღებს აჭარისტანის პროფსაბჭოს გარდამავალ ჯილდოს—წითელ დროშას და სიგელს. დანარჩენები—დიპლომებს.

სულ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 1.000 კაცი.

ფიზკულტურის ყველა წრეები გაცხოველებით ემზადებიან დღესასწაულისათვის, რომლის გახსნა განზრახულია ახალ სტადიონზე სექტემბრის პირველ რიცხვებში.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 31 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ტიმოთე კოსროძე, ელენე ზაბროცკაია, ზინა კოსტიკოვა; ლ. შაფერი; ანტონინა პუკასი მატრონე ბაბილაშვილი, ვლადიმერ გულიევი ალექსანდრე მანუკოვი, ლ. ბრეგაძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ქეთევან ბუაჩიძე, თამარ გუგუშვილი, ნიკოლოზ სამხარაძე, მიხეილ სარაჯიშვილი, არჩილ მაჩაბელი, ნადეჟდა ახვერდოვა, ოლღა შავლაძე, ლიუბა ლავრიევა; ლიუბა აგარონოვა, ანა დადიანი, ევგენია კეცხოველი; ელენე შახმუდაგოვა; დავით სიხარულიძე; ვლადიმერ შავგულიძე, დავით ლოლაძე; პოლოს არადიანი, ზაქარია მაქმინი, ამფ. კონტრიძე სედრაკ ფერიხინი; ეკატერინე ბაბილოვა; ნატალია ბეჟანოვა; ზაქარია გაქმინოვი; მარგარიტა მეზაუროვა, ალექსანდრე გვასალია, გიორგი მნაცაკანიანი; პავლე კალმახაშვილი მიხეილ ჭელიძე, ვლადიმერ ჭრელაშვილი, მარიამ სვანიძე, ალექსი საგინაშვილი, აკაკი ბერიშვილი, ელისაბედ გარმანი, სოფიო იუზბაშევა; რუბენ მესროპიანი; მიხეილ კილურაძე, ნინო ჯანდიერი; ნიკოლოზ ქაჯაია; ხახანაშვილი; ნადეჟდა ბახტაძე; ვერა საფრონოვა, ნინო ბაქრაძე, ალექსანდრე ბოკუჩავა; თამარ ნოზაძე, პავლე ლაზარევიჩი, ბარბალე ტაგიევა; ლარისა მამფორია; ელისაბედ ნუცუბიძე; ვალენტინა ეორელიანი; ელენე მამულაშვილი, მელიტონ ხუციშვილი, ანნა მჭედლიშვილი; ალეკო ხიდიშელი; ივანე დაღოშვილი, სერგო მელქონიანი; ნინო გელაშვილი; ოლღა მაჭარაშვილი; თამარ ჩხაიძე და სოფიო ჩხიკვიშვილი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ვასილ შაქერაზიშვილი; სიმონ კუზინსკი; ხაჩატურ ასრატოვი და სიმონ მატეოსიანი.

რკინის გზელთა სექციიდან: თამარ ქუთათელაძე; თამარ დევდარიანი; ქსენია შავდიაანტონინა გულევერი, ვლადიმერ კვალიაშვილი ნინო ანტონოვა, ნინო გეხტმანი, ირა ბაბილაშვილი, გიორგი ფაილოძე და იოსებ კრუგერი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ისაკ გევორქიანი; გიორგი აზაროვი; ონიფანტე გაბაშვილი და შალვა გუნცაძე.

მედსექციიდან, აპოლონ წულაძე, პეტრე ბებურიშვილი, გიორგი ჯიბუტი; ტაგი ასლანიკიანი, ად თამო სეთნელიშვილი.

ბიბლიოგრაფია

ქართული მწერლობა № 5.

საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანო. სახელგამი 1928 წ.

ჟურნ. „ქართული მწერლობის" ეს ნომერი გაყოფილია ორ ნაწილად: 1) მაქსიმ გორკის 35 წ. ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის მიძღვნილი მასალები და 2) მხატვრული ლიტერატურა.

ჟურნალი იწყება გ. ტაბიძის ლექსით: „მოგონება გორკიზე", აქ მკრთალად არის აღწერილი „ცხრაას ჩვიდმეტი წელი, თავისი ქარიშხალით და ამბოხებით". დასახელებულია მხოლოდ ერთად-ერთი კონკრეტი ფაქტი მაქსიმ გორკის ცხოვრებიდან: „ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი გათეთრებული თოვლიან მხრებით". მიუხედავად ამისა ავტორი ფიქრობს, რომ ეს არის „მოგონება გორკიზე" არის ერთგვარი ტრივიალური დონე შედარებების, სახეების და სხვა.

შემდეგ მიდის „ფაქტები გორკის ცხოვრებიდან" ლ. ა—ნისა, სერგო რობაქიძის „მაქსიმ გორკი თბილისში და გაზეთ „ცნობის ფურცლები" დაბეჭდილი მაქსიმ გორკის თანამგზავრის მოგონება. სერგო რობაქიძის პირად მოგონებაში საინტერესოა მხოლოდ გორკისა და ეგნატე ნინოშვილის მცირე გასაუბრება.

საყურადღებოა მაქსიმ გორკის თანამგზავრის მოგონება 1903 წელს „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილი. გორკიმ დასწერა მოთხრობა: „ჩემი თანამგზავრი". გმირად იყო გამოყვანილი ქართველი და ცუდ კაცად. „ქართული მწერლობის" რედაქცია იმეორებს „ცნობის ფურცელში" მოთავსებულ მაქსიმ გორკის თანამგზავრის ნაამბობს. თანამგზავრი დასავლეთ საქართველოდან ყოფილა გვარად არა ფთაძე, არამედ ს—ძე, ხოლო ხელობით რკინის გზის კონდუქტორი. ნამდვილ გვარს არ აქვეყნებდა „ცნობის ფურცელი" და ის არ ახსოვს ეხლა არც მაშინდელ მდივანს ილია ალადაძეს, ხოლო თავადი კი არ ყოფილა. თანამგზავრი გარედ ნამყოფი. გაქექილი დენდი ლმენია, რომელსაც ისეთ ნივთებს ჰპარავენ (?), რომ ის იწყებს მის საძებნელად მოგზაურობას ბათომიდან ოდესაში. ს—ძე ამბობს: „ტანისამოსი კარგი მეცვა, ახალი", ისეთი რომ დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი მისთვის უცნობი გორკი მას შაურს სთხოვს. მიუხედავად ასეთი ტანისამოსისა ს—ძე თითონ მშიერი ყოფილა. სხვათა შორის ჩემი ტანისამოსი ევროპიული იყო და არა ჩოხა-ახალუხიო. ესეც საქმის ვითარებას არ შველის. ევროპიული ტანსაცმლის გარდა მას ჰქონდა ტროსტი, შლიაპა, პალტო და ფრანგული ფული. ის ყოფილა ფაქიზი. შრომისა და ცხოვრებასთან ბრძოლის უნარს მოკლებული პარაზიტი, ფეოდალურ საქართველოს წოდებრივ უთანასწოროთ მოცემული ტიპი. თითონ ს—ძის სიტყვით პეშკოვი ხშირად იუბნებოდა მას: „შენ გაჭირვებას არა ხარ შეჩვეულიო. როდესაც ცოტა საჭმელი გვქონდა მეტს მე მაძლევდა. საერთოდ მთელს მგზავრობის განმავლობაში კარგის მეტი არა მახსოვს რა იმისგანო". ვიყოთ ბოლომდის გულწრფელი და ვაღიაროთ, რომ ს—ძეს გორკის გაყვლეფა მოუნდომებია და რომ „კუდაბზიკა იმერელმა" ასეთი ღარიბ-ღატაკი გულუბრყვილო რუსის „ბროდიაგასთან" მგზავრობით თავის დედა ქალაქში თბილისში ითაკილა და პევრ განსაცდელში და წვალებაში მისი დამხმარე მეგობარი მიატოვა ვერის ხიდთან.

ამმორტავანი ს—ძე თითონ აღიარებს, რომ „დღისით მე თბილისში შემოსვლა არ მინდოდა, რადგან ნაცნობები მყავდა, შეიძლება შევხვედროდიო. რცხვენოდა ცუდ ტანსაცმლის. ბოლოს ამატებს, რომ მე გორკი წავიყვანე შორეულ ნათესავ რკინის გზის სახელოსნოს მოსამსახურე სელესტრთანო. მან მიიღო თურმე ისინი, ასვა-აჭამა. ტანისამოსიც კი გამოუცვალა ორთავეს და ასე გასინჯეთ—აბანოშიაც განბანა (?). გორკის თანამგზავრი შეიძლება თავადი არ იყოს და არც ფთაძე მაგრამ მწერალმა სისწორით ასახა ის ჩვენი ცხოვრების მაშინდელ ვითარებიდან. თითონ ს—ძის განცხადებიდან სჩანს, რომ ის ყოფილა კარგად ჩაცმული, დახურული. გაჭირვებას უჩვევი, სხვის ხარჯზე ცხოვრებას ჩვეული ის იჯდა და გორკი პოულობდა საარსებო წყაროებს და გულუბრყვილო „ბრადიაგას" შრომა—ამაგი თავის სამშობლოში მოსვლისას არ გადაუხადა.

თავადი ფთაძე ფიქრობდა: მუჟიკი და ბრადიაგა მაქსიმიჩი მე მემსახუროს—ბუნებრივიაო. არ არის საჭირო დიდი ექსპერტობა ეს აშკარად სჩანს თითონ მაქსიმ გორკის თანამგზავრის ნაამბობიდან.

რა თქმა უნდა ნაციონალისტებისათვის მაქსიმ გორკის მოთხრობა, სადაც ქართველი ცუდ კაცად არის გამოყვანილი საწყენი დარჩა და ამით აიხსნება ის შენიშვნაც, რომელიც გორკის ნაამბობს გაუკეთა „ცნობის ფურცლის" რედაქციამ, მაგრამ „ქართული მწერლობის" მიერ მისი გამომზეურება გაუმართლებელია. დღევანდელ ქართველ მკითხველს სხვა მასალა უნდა მივაწოდოთ. მით უმეტეს, ისეთ მწერალს, როგორიც გორკია ჩვენ ვერ შევსწამებთ ტყუილს და მსგავს მიკერძოებას.

ზომლეთელის ლექსში „შევარდენს და ქარიშხალს" თვითმპყრობელი რუსეთის ბატონობაა მოცემული. როგორც ველზე გაწოლილი დიდი გველი „უდავი" ლექსი არაფრით განსხვავდება ზომლეთელის უკვე ცნობილ ლექსებისაგან.

ჟურნალში მოთავსებული ვ. რუხაძის და ალ. ქუთათელაძის ლექსები: „მაქსიმ გორკი".

ლექსის შენებისა და ტექნიკის მხრივ საინტერესოა ალ. ქუთათელაძის ლექსის პირველი ნახევარი. იქ სადაც „ბეატი" დაკავშირებულია ბლოკის სახელთან, „ბრენტა"—პუშკინი ხოლო „სორენტო"—გორკის. ლექსის მეორე ნახევარი—ტრადიციული ძველი ლექსთაწყობაა, მაგრამ მთავარი მომენტები გორკის შემოქმედებებიდან და ცხოვრებიდან კარგად არის ნაჩვენები. მაგალითად: ყაზანის უნივერსიტეტში გამოჩენილ ბეხტერევს უსმენდა თურმე „ინტელიგენტი მებულკე"—გორკი. ლექსი იწყება ამრიგად:

მე არ მაკვირვებს
ბლოკის „ბეატო".
და უფრო მეტად
პუშკინის „ბრენტა"!
მე ვიტყვი მარტო:
„კასტალამარე!"

და თქვენ დარჩებით სხვა ცის ამარა" და სხვა. ჟურნალის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში პირველი ადგილი აქვს დათმობილი ტ. ტაბიძის ლექსს: „გემები ორპირში".

ავტორი ლექსს უძღვნის თავის მეზობლებს და ინჟენერ ავდეევს. ციებ-ცხელებითა და დახაშმულ ფშანებით განადგურებულ დასავლეთ საქართველოს ხალხის ერთი ნაწილის ხსნას ის უკავშირებს საბჭოთა ხელისუფლებას და კერძოთ საბჭოთა საქართველოში წარმოებულ აღმშენებლობას.

ადიდებული რიონი, რომელიც წალეკავდა ორპირს, ქალადიდს და მიმყოლ ველებს, იქცეოდა მყრალ ფშანებათ და ქვეყანას „მალარიის ცივი მიროშათ" ანადგურებდა. ეხლა ის შრება; მდინარეზე კეთდება დამბები ელექტრო-სადგურები, არხები, კლიმატურ გაჯანსაღებისათვის საჭირო ზომებიც მიღებულია და ყველა ეს „ახალ ცხოვრების და ოქტომბრის მაცოცხლებელი ქარის წყალობით". პოეტი ამბობს:

„ჩვენი ბავშვობის ოცნება ახდა:
ვხედავთ ორპირში ორთქლმავალ გემებს.
ახლოს გაგვიარს ეზო და სახლთან
და საბჭოების მზეს მოგვაგებებს.

ეს მეტად საგულისხმო ამბავია—„ცისფერი ყანწელი", სიმბოლისტი პოეტი დარწმუნებულა ძველი ცხოვრების დანგრევაში და ახალი ადამიანის მოსვლაში.

ფუტურისტები, მემარცხენეობის წარმომადგენელნი მუშაობენ ახალი ფორმის შექმნაზე, მაგრამ ახალი მსოფლმხედველობის—მარქსიზმის გამომხატველი — პროლეტარული პოეზიაა... ამ გზაზე ყოველი თანამგზავრობა ახლო მოსვლა სალამის ღირსია. „გემები ორპირში" ძველ ტრადიციულ ლექსთა წყობით და ფორმით არის შესრულებული.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოეტს ნამდვილი საქმისათვის მოუკიდია ხელი.

ჩვენ გვერდს აუვლით ვ. გორგაძეს და შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ს. ჩიქოვანის ლექსზე „მორდუ". ამ ლექსში შინაარსი არ ეგუება ფორმას. თუმცაღა რა ფორმაა აქ? თოთხმეტმარცვლოვანი გარითმული სტრიქონები (ბარათაშვილური) და ახირებული შედარებები. ს. ჩიქოვანს თემატიკის მიხედვით გადაჰყავართ ფეოდალურ, გვარეულ ურთიერთობისა და სისხლის აღების დროინდელ საქართველოში... შინაარსი: მორდუმ-მურზას მამის გაზრდილმა—გააპარტახა და ამოსწყვიტა უკანასკნელის ოჯახი. მრავალი, წლების შემდეგ, მურზა შეხვდა მოხუც მორდუს „და მოინდომა მან მტრის (მორდუს) მკერდში ხანჯლის ტრიალი". მათრახით გაუხია მას სახე, დაამარცხა და მიწას დაახალა. დაშორებული თანამედროვე საუკუნის მიერ წოდებულ თემებს და ახალ ერას, ს. ჩიქოვანის მემარცხენეობა და სიახლე, ნივთებისა და მოვლენათა ახალი თვალთახედვით გადალაგება გამოიხატება თურმე ალიტერაცია, ფიგურალურ ოქმებში და უნიჭოდ შედგენილ ქართულ სიტყვათა ხმარებაში.

მემარცხენეობის ერთ-ერთი „თეორეტიკოსი" ჟღენტი ხშირად ამტკიცებს, (უფრო გაიძახის) თავის ლიტერატურულ გამოსვლებში, რომ ჩვენ ვქმნით ახალ სინტაქსის, ლექსიკაო... მე კი მოვაგონებ მას, რომ ასეთი მახარობა კი არ არის საჭირო, არამედ სიტყვის, ბგერის და ენის ევოლიუციის შესწავლა და კოდნა მისი ელემენტარულ კანონების მაინც. მაგალითისათვის მოვიყვანთ ს. ჩიქოვანის „მორდუ". მურზა და მორდუ შეხვდენ ერთმანეთს ტყის პირად. ავტორი მორდუს შესახებ ამბობს: „მორდუ ცხენეჯო". შესაძლოა ეს არის მეგრული სიტყვა, მაგრამ ასოციაციის ძალით არავითარ წარმოდგენას არ უკავშირებს ის არა მეგრელისათვის. მაგრამ ეს ერთი შემთხვევაა და არა უმსავს. შემდეგ:

მურზა ყოფილა ავტორის თქმით, ვაჟკაცი ეს და დატანჯული ყორანებთა გადიხველებით". „ყორანებთა" არსად გაგონილა, „ყორანთა" კი გაგვიგია! მაგრამ საქმე აქ შემდეგშია. ს. ჩიქოვანის ლექსი ძველი, ტრადიციული (ბარათაშვილური) თოთხმეტ-მარცვლიანია და თუ იხმარდა „ყორანთა და არა „ყორანებთა", მაშინ ის მიიღებდა არა 5+4+5, არამედ: 5+3+5 ლექსთაწყობას რაიც დაარღვევდა სტრიქონში განაწილებულ ხმოვან ბგერათა რაოდენობას (14) და რიტმს. მაგრამ საკვირველია ასეთი ტრადიციული პედანტობა იმ პოეტისაგან, რომელიც თავისთავს ფუტურიზმს და მემარცხენობას აკუთვნებს, რომლის მიხედვითაც ის უნდა ამაყობდეს ნეოლოგიზმებით, ლექსთაწყობისა და მეტრაჟის დარღვევით ასონანებათა და არარითმებით და სხვა. სულ სხვაა: „კლდეოს კორტოხზე", „დედა გალახე" და სხვა, იმიტომ, რომ გმირის სიტყვებია და შესაძლოა აქ დაშვებულ იქმნას „დიალექტიზმი"—„ვარვარიზმი". მაგრამ „მას დარჩეს ჩვენში სინიდისი გამორეცხილი" არ შეიძლება იმიტომ რომ სინიდისი კი არ არის გამორეცხილი არამედ ადამიანი „სინდისისაგან გარეცხილი" ამას ხალხის შვილიც ასე იტყვის: შემდეგ „გამოარჯულებს", „არ მოსჩანს ხორცი ტყავიდან", რა ქართულია? შესაძლოა მორიდუმ სთქვას: „მახსოვს მე მურზა წარსულებში რაც ვიმოქმედე", ან კიდევ „მომავლებში", „ფოთებში", „ცხენის წყლებში". მაგრამ ლექსის ავტორი არ უნდა სწერდეს „ჩონჩხებივით გადიხარხარა" და ასე ბოლომდე.

ქართულ მწერლობაში იბეჭდება გრ. რობაქიძის ახალი რომანი „ფალესტრა". რომანი ჯერ-ჯერობით თანამედროვე დიდ ქალაქის ფონზე იშლება.

რამდენადაც რომანი დამთავრებული არ არის, მთლიანად მის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია. ამავე დროს მოთხრობის (ან თხრობის) ჟანრს, მოცულობას დიდი მნიშვნელობა აქვს: როგორ განალაგებს ავტორი ფაბულურ მასალას, როგორ აააშენებს სიუჟეტს, როგორ სახეს მისცემს ის აქ თავის თემატიკას. კლასიფიკაციის მიხედვით ის შეიძლება მივაკუთვნოთ ზოგადი თხრობის კლასს. რომანი დაწერილია აჟეული, მაღალი სტილით, ისე როგორც „გველის პერანგი". გმირები: ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროდანაა. ადამიანთა და მოვლენათა ასახვის დროს არ არის დაცული კონკრეტობა და „სიმართლე". ამიტომ მკითხველზე სტილი ყალბსა და ბუტაფორულ შთაბეჭდილებას ახდენს. სისტემა მოტივაციისა, დაკავშირებული ამა თუ იმ პერსონაჟთან ნაძალადევია და მაშასადამე დახასიათებაც: გმირის ფსიქოლოგია, ხასიათი, გმირის ლექსიკა, ლაპარაკის სტილი, თემები, რომელსაც ის ეხება თავის სიტყვაში ეკუთვნის თვით ავტორს და ამით გმირს ესპობა საშუალება საკუთარ ცხოვრებისა, სპეციფიურობის ურთიერთისადმი დამოკიდებულება პერსონაჟებისა, კოლიზიები და ინტრიგა არის ნაძალადევი, არა მართალი, არამედ ყალბი.

თანამედროვე ევროპის ქალაქი — გიგანტი შპენგლერის პესიმისტურ ასპექტშია გატარებული. რა ადვილია ამ მოძრაობის ქაოსში დიდი ქალაქის უსაქმო კაცმა იგრძნო თავი უცხოდ და იგრძნო მარტოობა?!

თვალწინ იშლება ქალაქში გამეფებული ბოროტება, სიავე, სადაც ყველაფერი იტანჯება, სტირის და წვალობს და სიგიჟის გზას ადგია, მაგრამ გამოსავალი ამ ყოფიდან არ ესახება ავტორს, ის ვერ ხედავს იმ ძალას, რომელიც იკისრებს საზოგადოების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნას — მუშათა კლასს. და მხოლოდ ერთად ერთი შტრიხი და ბედნიერი მიგნება არის აქ, სადაც გრ. რობაქიძე აგვიწერს იმპერიალისტურ ომში დასახიჩრებულ ბრმას და აგრეთვე „დაფარულ ბოღმით სავსე თვალებიან" მუშებს ასფალტის ჩამომსხმელთ. და თუ ოდესმე გრ. რობაქიძეს თავის ნაწარმოებში აუხდია გაკეთებული და ყალბი მასკა (მასკის პრობლემას ტყუილა კი არ ეხება ტყუილა კი არ აწვალებს ის მის გმირს ჰუგოს) სახიდან, ეს სწორედ ამ შტრიხში, სადაც ავტორი თავის გმირს უნგარს დაანახვებს ქუჩაზე მუშებს. უფრო კარგი ადგილი შეეძლო გამოენახა მუშათა ყოფა-ცხოვრებას ასაწერად ავტორს, ხოლო კაფე - ვარიეტეებსა და დეგენერატ ხალხის ფოქსტროტის ნაცვლად უნდა ენახა წარმოების ცენტრები, ნავთსადგურები, ფაბრიკა-ქარხნები... და მაშინ კეთილშობილი ახდა „მასკისა" მოხდებოდა ბოლომდე მუშების წინაშე, რომლებიც შემცვლიან ძველს და შექმნიან ახალს სოციალისტურ ქვეყანას, უნგარი კიდევ უფრო ვერ გაუძლებდა მუშათა თვალებს, შერცხვებოდა თავის-თავისა მათ წინაშე და პასუხს გასცემდა წამოჭრილ კითხვას: „რატომ აქამდე არ მიუქცევია ამგვარ მომუშავეთათვის ყურადღება".

დასასრულ უნდა ვიკითხოთ ვის რათ ესაჭიროება ისეთი ლექსი, როგორიც ჩიქოვანის „მორდუ"? საზოგადოების რომელი ფენა წაიკითხავს და დაინტერესდება ამ ლექსით? საჭიროა მასალის მეტი შერჩევა.

ალ—ანი.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 31 ივლისი

დღეს, 31 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი,—განმარტება ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო გაზეთი—ქართულ ენაზე.

მორიგი გაწვევა წითელ არმიაში—მოხს. ქართულ ენაზე.

მორიგი გაწვევა წითელ არმიაში—მოს. ქართულ ენაზე.

მუშკორთა საერთაშორისო კავშირი—მოხს. რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

საბჭოთა და კულტურული აღმშენებლობა ეროვნ. უმც. რესპუბლიკებში—მოხს. სომხურ ენაზე.

გაზ. „პროლეტარი"—სომხურ ენაზე.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე.

ამიერ-კავკასიის სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელ გვარდიელებისა და აგრეთვე მათ შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობათათვის ხარის- ხოვანი სათესლე მასალის შეღავათიანი პირობებში მიწოდების შესახებ:

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად 1928 წლის თებერვლის 23-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა. კ. სფსრ კან. კრებ. 1928 წ № 5, მუხ. 50) მე-2 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ხარისხოვანი სათესლე მასალის დამამზადებელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელ გვარდიელებისა და აგრეთვე მათი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობათათვის სათესლე მასალის მიცემის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით.

შენიშვნა: წითელ პარტიზანად და წითელ გვარდიელად ჩაითვლება ის პირი, ვინც რეგულიარულ შეიარაღებულ ძალთა მოწყობამდე იბრძოდა წითელი გვარდიისა და წითელი პარტიზანების რიგებში პროლეტარული ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა საქმისათვის.

2. ერთი ფუთი სათესლე მასალის საგასაცემო ფასი ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელგვარდიელებისა და აგრეთვე მათი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობათათვის შემცირებულ უნდა იქნეს 10 პროც.-ით ამა თუ იმ რაიონში ერთ ფუთ გასაცემ სათესლე მასალაზე არსებულ ფასთან შედარებით.

3. სათესლე მასალის შეღავათიან პირობებში მიცემა სწარმოებს იმ სიების მიხედვით, რასაც ადგილობრივ შეიმუშავებენ საკრედიტო ამხანაგობებისა და სათემო აღმასკომების წარმომადგენელთაგან შემდგარი სპეციალური კომისიები — სათანადო ორგანოების მიერ ხარისხოვანი სათესლე მასალის მისაღებათ გაცემული მოწმობებით.

4. სათესლე მასალის რეალიზაციის შემდეგ სათესლე ჯგუფის მეურნეობანი და სათესლე მასალის დამამზადებელი დაწესებულებანი და ორგანიზაციები წარუდგენენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით, საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს ცნობებს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული კატეგორიის პირთა დაკმაყოფილების შესახებ თესლის როგორც საბაზრო, ისე საგასაცემო ფასის აღნიშვნით, — მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ფორმისამებრ.

5. თვალყურის დევნება ამა დადგენილების ასრულებისათვის დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივანოვ-კავკაზსკი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეზრელიშვილი.

1928 წ. ივნისის 19.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისია იუწყება, რომ 1-ლ აგვისტოს, საღამოს 5 საათზე საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას შენობაში (რუსთაველის პროსპ. 20) შესდგება აღნიშნულ საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ საკონფლიქტო კომისიის ყველა წევრები და აღნიშნულ კომისიაზე მიმაგრებული ამხანაგები.

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს 1-ლ აგვისტოს თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება **საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი** რაიკომების პლენუმებისა და თბილისის კომიტეტის და რაიკომების სარევიზო კომისიებთან ერთად.

თბილისის კომიტეტის და რაიკომის პლენუმის წევრ-კანდიდატები უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 31 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან:

ალექსანდრე მიქაძე, ქსენია კიკაევა, ხარ. პაკურია, გიორგი სურგულაძე, ნ. ლორთქიფანიძე, სტეფანე მახარაძე, ელენე ტატიშვილი, კლავდია ცირიღავა, აიშ. ჰაირაპეტიანი, მარიამ შარაძენიძე, ლაზარე ლოგინოვი, ანა მოზდოკელი, კონსტანტინე გოგობერიძე, ნოე პაიჭაძე, ზაქარია ჯაფარიძე, ბიძინა აბისაძე, იპოლიტე სურგულაძე, ჰუსეინ ხინიკაძე, ნინა ჩიჩუა, ბ. კაკულია, ვასილ მდივანი, აკაკი ჯანაშია, ვლადიმერ ხურდაძე, ვალერიან ფოფხაძე, ილია ჩხენკელი, ვალერიან უჩანეიშვილი, მიხეილ სვანიძე, ალექსანდრე ჯაბაძე, ნ. ჭელიძე, მარიამ თოლორდავა, მ. მენაბდე, ა. მუსელიანი, ალექსანდრე მარტიროსოვი. ა. მუსაელიანი, ვასილ მდივანი, დავით ციციშვილი, ნინა გიგოლაშვილი, იასონ კვირიკაძე, აკაკი კიკვაძე, შალვა კვირიკაძე, გიორგი ჭილაძე, ვალერიან იაშვილი, შალვა გიგაური, მიხეილ სიმონია, გრიგოლ კალანდარიშვილი, მიხეილ ნუცუბიძე, ბადე კისკაძე, თომა სარილავა, ირაკლი უჩანეიშვილი, ნინო დეარკინა, ვახტანგ გენძეხაძე, გრიგოლ კვაჭაძე, ლავრენტი გლადავა, ვახტანგ ხატიაშვილი, ალექსანდრე კაკულია, ნ. ლაშხი, მ. გვაზავა, მიხეილ გოგორიშვილი, ვახტანგ გვერდწითელი, ლიდია გაგუა, ო. გაგუა, თამარა შათირიშვილი, კ. კალანდაძე, ა. ხარაზიანი, ნინო დოლაბერიძე, მ. უთალიშვილი, ქეთევან ნაცვლიშვილი, ილია კანდელაკი, ს. აზნაურიანი, პ. შახნაზარიანი, გ. გიბრაძე, ილია კანდელაკი, იულია ბაქრაძე, გ. სალტხუციშვილი, ზ. კიურჩკიანი, ა. გრიგორიანი, რუბენ არაქელიანი, ტ. მარინიანი, ჰოანეს მანუკიანი, დავით ნამგალური, ლიუდმილა ბუაჩიძე, ვერა ზაალიშვილი, სოფიო ქაჯაია, მ. გაბრუაშვილი, ნინა ლორთქიფანიძე, მ. ხელაძე, ვერა ცაგარეიშვილი, მ. ბენდიაშვილი, ბ. ხარანაური, ბ. კობალია ქ. გოდერძიშვილი, ვასილ კიკვაძე, ვლადიმერ ბახტაძე, ნ. ბასილაშვილი, ე. გუბელი, ე. წიფლიძე, გრიგოლ სოსელია, დელიბარხარი, იოსებაშვილი, ავრაამოვა, აშოთ ავაქიანი, პ. ჟღენტი, პ. მიქაძე, სევერიანე სვანიძე, სევერიან, მატიაში, ტიტე კვინტრაძე, ა. კოჰარიანი, ირაიდა ზუბაძე, ზინაიდა ხუპრუნი, ლ. დადიანი, გიორგი ხამათაშვილი, კვაჭანტირაძე, საკიანი, ქეთო სეფაშვილი, ხანაგიანი, ივანე ბურძგლა, ვასილ არევაძე, კოძაშვილი, ა. პაპილიანი, ტ. მარტიროსიანი, ა. პურჩიანი, მარგარიტა კანანიანი, ქეთევან ნაცვლიშვილი, შოთა სულაბერიძე, საშა ართილავა, აკაკი არუსამიძე, ვლადიმერ ქურდაძე, ციხისთავი, ტიტიანოვი, კონიაშვილი.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ვარლამი და ლიუბა, ძმა მიშა ქარქაშაძეები ბებიები: მინადორა ქარქაშაძის და ფოტინე ჩიხლაძისა, ბიძები: შალიკო ქარქაშაძე ცოლშვილით, იპოლიტე ჩიხლაძე ცოლშვილით, სერგო ჭანკალეიშვილი ცოლშვილით, მამიდა ტერეზი ღლონტისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ბიძინა (ბესარიონ) ვარლამის-ძე ქარქაშაძე

დაკრძალვა ქუთაისში, საფიჩხის სასაფლაოზე.

თბილისის რკ. გზ. მე-6 შრომის სკოლის პედსაბჭო და მოწაფენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავიანთ საყვარელ ამხანაგა—მასწავლებლის

ალექსანდრე (შურა) მაღალაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. ჩიჩეთში (გორის მაზრა).
3167

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი უბედური დედა ელისაბედი ვასილის ასული, დები: ჟულიეტა და თამარი, ძმისშვილები: ქეთო და შალიკო ლომთათიძეები აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი

არტემ (შუტუ) ლომთათიძე

დასაფლავება ს. პაჭისეულში (გურია) სამშაბათს, 31 ივლისს.

მუშათა ახალი კლუბი
დღეს, 31 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
ნ. ზ. ხეიფეცის ხელმძღვანელობით
სოლისტ ე. კაპელნიცკის მონაწილეობით. პროგრამაში: მიასკოვსკი, ლისტი, ბრუხი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბაღში კინო. სიმფონიურ კონცერტზე აღებული ბილეთები გამოდგება კინოშიაც. შეძღვნილია მოწაფეთა ბილეთები. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
1 აგვისტოს კონცერტი საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კლუბში
მალე ცნობილ დირიჟორის ხესინის გასტროლები. ნ. 1436

საქკინმრეწველობის კინოები

განთიადი	რიჩარდ ბარტელმეს და ლილიან გიშ სურათში **გადატეხილი ზამბახი**
საზაფხულო ეთერი	ნიკოლოზ კოლინი მხატვრულ სურათში **საყვარელი მანანწალა**
საზაფხულო დარბაზი	ახალი სურათი **ჭირვეული დედაკაცი** რუთ კლიფორდის მონაწილეობით.
საზაფხულო პალასი	საინტერესო კინო-რომანი **რობინზონ კრუზო** 3 და 4 სერია
პროლეტარი ავლაბარი	**„ამერიკელი ქალის თავგადასავალი"** 3 და 4 სერია

ანონსი ამ დღეებში კინო ეთერში მხატვრული სურათი „დიდ ქალაქში" 0-51

ქალ. ქუთაისში
გაზ. „კომუნისტ"-ზე **ხელისმოწერა**
ბინაზე მიტანით **მიიღება კონტრაგენტ**
მინა ტყაბლაძესთან
როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64
6—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქ. ქუთაისის 2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
დ. აშორდია
ამით აცხადებს, რომ ის 4 აგვისტოს 1928 წ. დღის 11 საათზე სოფ. ოფშკვითში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანტონ მარგველაშვილის მოძრავ ქონებას, რომელიც შეიცავს შკაფს, ნოხს, მაგიდებს, საწნეხელს, ჭურებს და სხვ. შეფასებულს 141 მანეთად, მელიტონ ნატბილაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთ. მე-2 სახელმწიფო სანოტარიო კანტორის 10 მარტს 1928 წ. თარიღით, № 249 და 251 გაცემული აღმასრულებელ ფურცლისა.
3168

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთაცვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

ბორის ჟიტკოვი — გრიგალი (საბავშო წიგნაკი) გვ. 40, ფ. 30 კაპ.

ს. ამაღლობელი — თეატრი და კინო გვ. 424, ფ. 3 მან.

ს. ერთაწმინდელი — ცეკვა ბებუთით (პიესა სოფლის თეატრებისთვის) გვ. 64, ფ. 70 კაპ.

ნის. 1385

ქ. ონსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება სახელგამის განყოფილებაში
ამხ. **ს. ბერიშვილთან**
5—3. მთავარი კანტორა

ქ. ჭრებალოში და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ
ამხ. **კოტე ცხვედიანთან**
6—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და სალ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს | 7—9 კაცებს
| 6—7 ქალებს.

ბაღდადის და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერას და განცხადებების მიღებას აწარმოებს ადგილობრივ პროფკავშირთა წიგნის მაღაზიაში რწმუნებული
ალექსანდრე აბულაძე
6—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
გ. კილაძე
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 6 აგვისტოს ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** დაბა საჩხერეში ბაგრატ სამსონის-ძე აბრამიშვილის აწერილ ერთი სახლისა მდებარე ინტერნაციონალის ქუჩაზე თავის საეზოვე ოცდაათ (30) ოთხ. კუთხ. საჟ. ადგილით შემდეგ საზღვრებს შორის: აღმოსავლეთით ლენინის ქუჩა, დასავლეთით თედორე კალმახელიძის ადგილი, სამხ. პეტრე აბრამიშვილი და ჩრდილოეთით გზა და სამსონ ციმაკურიძე—2) ერთი ტანისამოსის შკაფი შეფასებული 110 მანეთად დასაკმაყოფილებლად ხვთისწყალობა ხვთისიევის 220 მან. და საჩხერის საკრედიტო ამხანაგობის 68 მ. ვალისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა გაცემული საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს მიერ 30 ივლისის 1927 წ. თარიღით № 1579 და თანახმად ბრძანებისა ამავე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივლისის 1927 წ. თარიღით. № 1513 სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის მე-310 და 311 მუხლის თანახმად. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები და აგრეთვე შეფასების 10 პროც. 3164

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და ძეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

დაიკარგა: მარტვილის რაი-სამხედრო მაგიდის მიერ მოცემული პირადი წიგნაკი № 261 დავით იაკობის-ძე გაზოკიძეს სახელზე, ჩ. გ. 3165

დაიკარგა: ჯარში სამსახურის წიგნაკი, მიღებული ბორჯომის სამხ. მაგიდ. გამგესაგან და დუქნის პატენტი № 100 მიღებული მე 9 უბნის ფინინსპექტორისაგან ეგნატე ტოგონიძის სახელზე, ჩ. გ. 3166

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათად. 5—7 საათ. საღ. — მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

ქალ. რაიონული საშეფო საზოგადოების საბჭო

აცხადებს მოქალაქეების საყურადღებოთ, რომ საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო 28 ივლისს ამავე საზოგადოების სასარგებლოდ, გადადებულია 5 აგვისტო თვის. გაყიდული ბილეთები გამოსადეგია აღნიშნულ რიცხვისათვის.

საღამოს მომწყობი კომისია
3170

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით 8—9 სალ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—

დაიკარგა: პარტ - ბილეთი № 085435 და კავშირის წიგნაკი № 10168 პლატონ გუტიძეს სახელზე ჩ. გ. 3171

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული. საშარდე — სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი და დრ. მოწმობა პედ. ინსტიტუტის დამთავრების შესახებ დარეჯან ბერიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3162

დაიკარგა: პარტ-საკანდიდატო ბარათი № 12243 გრიგოლ ყარგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3163

დაიკარგა: საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 10729 გრიგოლ ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 3161

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი ვანუშა ქითესის-ძე დაბლიაშკილის სახელზე, ჩ. გ. 3161

დაიკარგა: მედ'სანშრომ ის კავშირის წიგნაკი № 26 გერონტი ნესტორის ძე ცვარიანის სახელზე, ჩ. გ. 3169

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბილეთი № 250242 გაცემული ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მიერ ბაგრატ ნესტორის-ძე კუპრაშვილის სახელზე ჩ. გ. 3168

დაიკარგა: პირადობის მოწმობა გაცემული არმავირის ადმინისტრატიული განყოფილების მიერ, მეტრიკული ამონაწერი და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ალექსანდრე მაქსიმეს-ძე ჭელიძის სახელზე, ჩ. გ. 3168

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 305 გაცემული უწერის სამხედრო მაგიდის მიერ ნიკოლოზ ანდრიას ძე მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 3168

დაიკარგა: მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი № 1765 ილია იოსების ასული ლეკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3172

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.